გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru

№162 (221) 20-27 მარტი 2012 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი



# ალექსანდრე ჭაჭია: როგორია საქართველო ივანიშვილის «ოცნებაში»? როგორია ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების მისეული სტრატეგია? ეს ჯერჯერობით გაუგებარია...



ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე გაზეთ **„საქართველო და მსოფლიოს“** ესაუბრება ცნობილი ქართველი პოლიტოლოგი

**ალექსანდრე ჭაჭია.**

**– ბატონო ალექსანდრე, თქვენ, ძალიან დიდი ხანია, არ გამოსულხართ ქართული პრესის ფურცლებზე. მეოთხე წელია, ჩვენი გაზეთი გამოდის და ეს პირველი ინტერვიუა თქვენთან. ბოლო დროს ქვეყანაში ბევრი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა მოხდა, რომელთა თაობაზეც მკითხველს უთუოდ დააინტერესებს თქვენი აზრი, მით უმეტეს, რომ, როგორც წესი, თქვენი პოლიტიკური პროგნოზები მართლდება.**

– ზუსტად ამიტომ აღარ ვაკეთებ პროგნოზებს – როდესაც ისინი აქტუალურია, მათ ყურს არავინ უგდებს, მაგრამ აღიარებენ მათ სიზუსტეს იმის შემდეგ, რაც ისინი რეალობად იქცევა. რა აზრი აქვს პროგნოზების კეთებას, თუ მათ არ ითვალისწინებენ...

**– ჩვენი ხელისუფლება ცნობილია იმით, რომ კვალიფიციური პროგნოზები დასამართლიანი შეფასებები მათ არ სჭირდებათ...**

– საქმე მხოლოდ ხელისუფლებაში როდია. ჩვენი ხელისუფლება არ არის დამოუკიდებელი და არ შეუძლია ერისა და სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე მიიღოს გადაწყვეტილებები. საქმე ჩვენს საზოგადოებაშია, რომელიც აღარაა ერთიანი, მოაზროვნე ეროვნული ორგანიზმი. ასეთი საზოგადოება ადვილად ტყუვდება, ადვილად ექვემდებარება მანიპულირებას; მას აღარ შესწევს უნარი, ეფექტური წინააღმდეგობა გაუწიოს ხელისუფლების დამღუპველ პოლიტიკას, არ ძალუძს, ჩამოაყალიბოს აქტიური, ეროვნული პოლიტიკური ძალა, რომელიც შეძლებს ქვეყანაში სიტუაციის რეალურად შეცვლას.

**– დღეს საქართველოში ყალიბდება პოლიტიკური პარტია ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საპარლამენტო არჩევნებში და ასევე იმედოვნებს სრულ გამარჯვებას. როგორ შეაფასებთ მის პერსპექტივას?**

– იმისათვის, რომ საქართველოში დამაჯერებლად მოიგო საპარლამენტო არჩევნები, ანუ მიიღო ადგილების უმრავლესობა პარლამენტში, საჭიროა ოთხი მნიშვნელოვანი ფაქტორი: ლიდერის მაღალი პირადი ავტორიტეტი; სერიოზული ფინანსური სახსრები; ქვეყნის განვითარების ალტერნატიული პროგრამა; უმწიკვლო წარსულის მქონე თანამოაზრეთა კვალიფიციური გუნდი, რომლის წევრებიც რეგიონებში ავტორიტეტით სარგებლობენ. პირველი ორი ფაქტორი ივანიშვილს გააჩნია, მაგრამ მესამე და მეოთხე არ ჩანს.

**– თქვენ თქვით, რომ ივანიშვილს არ აქვს ალტერნატიული პროგრამა. ალბათ, ის მასზე მუშაობს და საზოგადოებას არჩევნების წინ წარუდგენს.**

– რა თქმა უნდა, წარუდგენს. მაგრამ, მისივე განცხადებებიდან გამომდინარე, მისი პროგრამა არ იქნება ალტერნატიული. თუ არ მივაქცევთ ყურადღებას ლირიკულ დემაგოგიას **«ქართული ოცნების»** შესახებ, მაშინ დანალექში ჩვენ დავინახავთ იმავე საბაზისო ორიენტირებს, რომლებიც დღევანდელი ხელისუფლების საქმიანობას ახასიათებს: ქვეყნის შიგნით – უკიდურესად ლიბერალური კაპიტალიზმის იგივე მოდელი, რომელიც კრახს განიცდის მთელ მსოფლიოში და განსაკუთრებით დამღუპველია მცირე ქვეყნებისთვის; საგარეო პოლიტიკაში – აშშ-ის სატელიტის როლი, რომელიც გააგრძელებს ბრძოლას ამერიკული ინტერესებისთვის ავღანეთში, მზადაა ირანთან საომრად, ნატოში შესასვლელად, ანუ საქართველოს გადააქცევს აშშ-ისა და თურქეთის სამხედრო პლაცდარმად, რაც ავტომატურად რუსეთისა და ირანის მტრად გვაქცევს.

მისი განცხადებებიდან არ ჩანს, როგორ ხედავს ის საქართველოს როლს და ფუნქციას თანამედროვე მსოფლიოში. შევარდნაძე გულახდილად აცხადებდა, რომ საქართველომ უნდა შეასრულოს ტრანზიტული დერეფნის როლი, სააკაშვილი ირწმუნება, რომ საქართველოს დანიშნულებაა, გახდეს სამოთხე ტურისტებისთვის. ორივე ფუნქცია ქართველი ერის მოსამსახურე პერსონალად გადაქცევას გულისხმობს, ამიტომ განადგურდა განათლების სისტემა, აკადემიური მეცნიერება, თეატრებში სტრიპტიზი იდგმება, ტელევიზიით პორნოგრაფიას აჩვენებენ და ა. შ. და ეს გასაგებიცაა: განათლება, მეცნიერება და კულტურა მოსამსახურე პერსონალს არ სჭირდება. მაგრამ როგორია საქართველო ივანიშვილის **«ოცნებაში»?** როგორია ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების მისეული სტრატეგია? ეს ჯერჯერობით გაუგებარია.

მეც, როგორც ბევრი სხვა საქართველოში, იმედიანად შევხვდი ივანიშვილის გამოსვლას პოლიტიკურ არენაზე, განსაკუთრებით მისი განცხადების შემდეგ იმის თაობაზე, რომ ის დიდხანს ემზადებოდა ამ ნაბიჯისთვის, ყველაფერი გათვალა და მზადაა მძიმე ბრძოლისთვის. ეს იყო სერიოზული ადამიანის განცხადება, რაც თავისთავად იშვიათობაა ქართულ პოლიტიკაში, განსაკუთრებით თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ამ ადამიანის ყიდვა შეუძლებელია. მაგრამ გამოხდა ხანი და აღმოჩნდა, რომ ჩამოყალიბებული პროგრამა მას არ აქვს, კადრები არ ჰყავს, მოქმედი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები არ გააჩნია, საკუთარი მოქალაქეობის საკითხიც კი არ ჰქონდა წინასწარ მოგვარებული. როგორ გავიგოთ ეს?

კიდევ ერთი: მე ძალიან ვაფასებ გულახდილობას პოლიტიკაში. საერთოდ, ქართველებმა 20 წლის განმავლობაში იმდენი ტყუილი მოისმინეს შევარდნაძისგან, სააკაშვილისგან და მათი თანამზრახველებისგან, რომ გულახდილი და პატიოსანი სიტყვა სწყურიათ. ივანიშვილის პირველ გამოსვლაში იყო ეს მიმზიდველი გულახდილობა, მაგრამ შემდეგ ჩვენ გავიგეთ, რომ მის ხელში საქართველო შევა ნატოში და ამასთანავე აღიდგენს ტერიტორიულ მთლიანობას. დღეს თითოეული ადამიანი, თუნდაც 3 კლასის განათლებით, ხვდება, რომ ეს არის ორი ურთიერთგამომრიცხავი რამ. როდესაც 15 წლის წინ მე ვწერდი, რომ შევარდნაძე გვატყუებს, როცა გვპირდება ერთდროულად აფხაზეთის დაბრუნებას და ნატოში გაწევრიანებას-თქო, ძალიან ბევრ ბრიყვ ადამიანს შევარდნაძის სჯეროდა. შემდეგ ეს ბრიყვები სააკაშვილს უჯერებდნენ, მაგრამ დღეს ასეთი სულელები, მგონი, აღარ არსებობენ. ყველა ხვდება, რომ ნატოში შესვლის მცდელობაც კი აბსოლუტურად გამორიცხავს საქართველოს აღდგენას იმ სახით, როგორიც ის შევარდნაძემდე იყო. ეს ივანიშვილსაც ესმის. მაშ, რა საჭიროა ასეთი დაპირებები?

იმავე კატეგორიას განეკუთვნება ივანიშვილის დაპირება რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენის თაობაზე. როგორ უთანხმდება ეს იმას, რომ იგი სააკაშვილივით უარს ამბობს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე რუსული სამხედრო ბაზების გაყვანამდე აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან, ანუ დიპურთიერთობები არ აღდგება არასოდეს? ხომ ნათელია, რომ დღეს არსებული რეალიები უნდა გავითვალისწინოთ და თვისობრივად ახალ საინტეგრაციო პროექტზე ვიმუშაოთ, რომელიც გაითვალისწინებს ყველა მხარის ინტერესებს. ხომ ყველასთვის გასაგებია, რომ სრულმასშტაბიანი დიალოგი დიპლომატიური ურთიერთობების გარეშე ვერ გაიმართება? მაშინ რისთვის გვპირდება ივანიშვილი ურთიერთობების აღდგენას რუსეთთან?

გარდა ამისა, მე უსიამოვნოდ განმაცვიფრა ივანიშვილის მიერ **«საბჭოთა ოკუპაციის»** წლისთავის ირგვლივ გამართული ბაქანალიის მხარდაჭერამ. საქმე ისაა, რომ ოკუპანტები არ აშენებენ უნივერსიტეტებს, სკოლებს, საბავშვო ბაღებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, ქარხნებსა და ფაბრიკებს, თეატრებსა და კულტურის სასახლეებს, საავადმყოფოებსა და პოლიკლინიკებს, ოკუპანტების დროს არ იზრდება შობადობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელი და არ მცირდება სიკვდილიანობა. ოკუპანტები ყველაფერს პირიქით აკეთებენ, სწორედ ისე, როგორც, ბოლო 20 წელია, **«დამოუკიდებელ»** საქართველოში ვხედავთ. შევარდნაძე-სააკაშვილის რეჟიმმა მიზნად დაისახა, საქართველო სატრანსპორტო დერეფნად და ტურისტულ ბაზად, ხოლო ქართველები მოსამსახურე პერსონალად ექცია: მზარეულების, ოფიციანტების, გუვერნანტკების, სტრიპტიზიორებისა და მეძავების ერად. ხოლო **«საბჭოთა ოკუპანტი»** ლავრენტი ბერია მეორე **«საბჭოთა ოკუპანტის»** – იოსებ სტალინის მხარდაჭერით სხვა ამოცანას ისახავდა: გადაექცია საქართველო განვითარებულ აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყნად, ხოლო ქართველები – ინჟინრებისა და აგრონომების, ექიმებისა და მასწავლებლების, მეცნიერებისა და მსახიობების ერად, და წარმოუდგენლად მოკლე ვადაში შეძლო კიდეც ეს.

თუ ჩვენ, უპასუხისმგებლო პოლიტიკოსების ნებით, გარე ძალების საამებლად უარს ვიტყვით ჩვენი ისტორიის ამა თუ იმ პერიოდზე, შავ საღებავს მივასხამთ ჩვენი წინაპრების ამა თუ იმ თაობას, ჩვენ არსებობას შევწყვეტთ, როგორც სრულფასოვანი ერი. ერი, უპირველეს ყოვლისა, არის ყველა თაობის ერთიანობა, რომელთაგან ყოველი ჩვენს პატივისცემას იმსახურებს. განსაკუთრებით ეს საბჭოთა პერიოდში ჩვენი მამებისა და პაპების მოღვაწეობას ეხება. მათ ააშენეს საქართველო, ქართველები ერთიან ერად შეკრეს, დაგვიტოვეს ერთიანი, განვითარებული, კულტურული ქვეყანა განათლებული და მატერიალურად უზრუნველყოფილი მოსახლეობით. ჩვენ შევარდნაძის, სააკაშვილისა და მათი ამერიკელი მრჩევლების ხელმძღვანელობით შევძელით, დაგვენგრია, გაგვეძარცვა და გაგვეყიდა ქვეყანა, ვაიძულეთ მოსახლეობის მესამედი, ემიგრაციაში წასულიყო, სხვები კი სიღარიბისთვის და მორალური გახრწნისთვის გავწირეთ. საბჭოთა პერიოდში საქართველო ქართული კულტურისა და ქართული ტრადიციების ქვეყანა იყო. სადაა დღეს ჩვენი ეროვნული კულტურა და ეროვნული ტრადიციები? სხვათა შორის, მმართველი კლასი, რომელიც დღეს საბჭოთა პერიოდს აფურთხებს, პირველ რიგში, სწორედ მას უნდა უმადლოდეს იმის გამო, რაც აქვთ: ისინი ხომ სწორედ იმის წყალობით გამდიდრდნენ, რომ მოიპარეს და გაყიდეს ის, რაც საბჭოთა პერიოდში შეიქმნა.

**– როგორ აფასებთ ივანიშვილის კოალიციის შემადგენლობას?**

– ივანიშვილს ჰქონდა ყველა შანსი, გამხდარიყო საერთო ეროვნული ოპოზიციური ლიდერი. ამისთვის არ იყო აუცილებელი არსებული პოლიტიკური პარტიების შემოერთება, რომელთა უმრავლესობა მოსახლეობის თვალში დისკრედიტირებულია. მეტიც, კოალიციაში ამა თუ იმ პარტიის ჩართვა ავტომატურად ართმევს ივანიშვილს ამ პარტიის მოწინააღმდეგე ამომრჩეველს, ივანიშვილმა კი, სამწუხაროდ, მოახერხა მოკავშირეებად აერჩია ის პარტიები, რომელთაც ყველაზე მეტი მოწინააღმდეგე ჰყავთ. საერთოდ, პრაქტიკამ აჩვენა, რომ პარტიებისგან შემდგარ ბლოკებს ეფექტი არ მოაქვს არც არჩევნების მსვლელობისას და არც არჩევნების შემდეგ. პარლამენტში ეს ბლოკები იშლება, ყოველი პარტია იწყებს საკუთარ თამაშს და ხელისუფლებას ცალ-ცალკე ევაჭრება. გაიხსენეთ 1999 წელი, როდესაც წამყვანი ძალები შევარდნაძის **«მოქალაქეთა კავშირი»** და ასლან აბაშიძის **«აღორძინება»** იყო. ასლანის მხარეს იყო ფულიც და სახელისუფლო შესაძლებლობებიც, ასევე მოსახლეობის მძლავრი ოპოზიციური განწყობა. მე ვურჩევდი მას, დისკრედიტირებულ პარტიებთან კი არ შეექმნა ბლოკი, არამედ დაყრდნობოდა ფართო საპროტესტო ფენებს, საზოგადოებრივ სტრუქტურებს, შეეყვანა სიაში რეგიონული ელიტების ავტორიტეტული წარმომადგენლები. ეს ახალი რამ იყო პოლიტიკურ პრაქტიკაში, და ასლანმა ვერ გარისკა, არჩევანი პარტიათა ბლოკზე შეაჩერა. ბლოკმა **«მოქალაქეთა კავშირთან»** არჩევნები წააგო, შემდეგ, უკვე პარლამენტში დაიშალა რამდენიმე ფრაქციად და პოლიტიკაშიც ვერაფერი არსებითი ვერ გააკეთა. დღეს ის აღარავის ახსოვს.

ვფიქრობ, ივანიშვილის პოლიტიკური იმიჯი უფრო მიმზიდველი იქნებოდა, თუ არენაზე ახალ სახეებს გამოიყვანდა ქართული საზოგადოების ფართო ფენებიდან, რომლებიც თავიანთი წარსული საქმიანობით კომპრომეტირებული არ არიან. იგი ახალი ადამიანია პოლიტიკაში და ახალ ხალხთან ერთად უნდა მოსულიყო. მგონი, ხალხი ზუსტად ამას ელოდებოდა. თუ მას სათანადო კადრები არ ჰყავს, ანუ იგი არაა მზად დამოუკიდებელი პოლიტიკური მუშაობისთვის, როგორც ეს დღეს ჩანს, მაშინ ყველა უნდა გაეერთიანებინა – სრული ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი და გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერი გამხდარიყო. მან აირჩია მესამე, ყველაზე ნაკლებეფექტიანი ვარიანტი.

**– რა შეგიძლიათ თქვათ «ქართული ოცნების» პირად შემადგენლობაზე, რამდენად ეფექტიანია იგი?**

– მათგან პირადად არავის ვიცნობ, ამიტომ არ შემიძლია ვიმსჯელო სავარაუდო ეფექტიანობის შესახებ მათი პირადი თვისებების მიხედვით. შემიძლია მხოლოდ ის ვთქვა, რომ ივანიშვილის ორგანიზაციული სტრუქტურების საქმიანობა უკმარისობის გრძნობას ტოვებს. მე ბევრად მეტს ველოდი. არჩევნებამდე, პრაქტიკულად, ნახევარი წელი დარჩა, მათ კი ჯერ კიდევ არ აქვთ ჩამოყალიბებული წინასაარჩევნო პროგრამა, არც აქტიური სტრუქტურები ჰყავთ ადგილებზე. თქვენ გგონიათ, რეგიონებში, სოფლებში იციან, ვინაა ივანიშვილი და რა სურს მას? მოსახლეობის ძირითად ნაწილს უნდა მიეწოდოს ეს ინფორმაცია და ასევე უნდა აიხსნას, რითაა ივანიშვილი მოქმედ პრეზიდენტზე უკეთესი და რით განსხვავდება მისი პარტია **«ნაციონალური მოძრაობისგან»**, მით უმეტეს, რომ მისი თანამებრძოლები სულ ცოტა ხნის წინ სააკაშვილის თანამებრძოლები იყვნენ.

ყოველ, თუნდაც ყველაზე ნაკლებად პოპულარულ ხელისუფლებას არჩევნებზე 20-პროცენტიანი რესურსი აქვს, დღევანდელ ხელისუფლებას კი, მგონი, 30 პროცენტზე ნაკლები არ უნდა ჰქონდეს. ივანიშვილს, როდესაც პირველი განცხადება გააკეთა, ელექტორალური მხარდაჭერა ძალიან მაღალი ჰქონდა – ალბათ, 25-30 პროცენტი. კოალიციის ფორმირების შემდეგ, რა თქმა უნდა, იგი შემცირდა, მაგრამ 20-პროცენტიანი ბაზა მას ყველა შემთხვევაში აქვს. დანარჩენისთვის უნდა იბრძოლონ. ბრძოლა კი არ ჩანს. ყველაზე საშიშია, რომ იგი შეიძლება თავისივე გარემოცვის მძევალი გახდეს, რომელიც დითირამბებს უმღერებს და დაარწმუნებს, რომ მასზე **«სრულიად საქართველო»** ლოცულობს. სრულიად საქართველო ღვთის წინაშეც კი არ ლოცულობს. თბილისელი მსახიობებისა და რეჟისორების აღფრთოვანება სულაც არნიშნავს იმას, რომ მთელი ერი ივანიშვილს უკვე უჭერს მხარს. აწ გარდაცვლილი ბადრი პატარკაციშვილიც კარგი ბიზნესმენი, მეცენატი იყო და ასევე უყვარდა თბილისელ პუბლიკას, ეკლესიის მხარდაჭერაც კი ჰქონდა, მაგრამ არჩევნებზე, თუ არ ვცდები, ხმების 7 პროცენტი მიიღო.

*(გაგრძელება მე-9 გვერდზე)*

აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, ბატონ თ. ხუბუას;
აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს წევრებს, ბატონებსა და ქალბატონებს: მ. ბარამიძეს, ჯ. გამახარიას, ა. ბასვიანს, გ. კალანდიას, ვ. კაჭარავას, ა. მარშანიას, ო. ნაგარნინას, ნ. მესხიას, ჯ. საჯაიას, გ. ფაცაციას, რ. ქარაიას, რ. ცატავას, რ. შამუგიას, ზ. ჯგუბურიას, შ. ხეცურიანს, ვ. ყოლბაიას...
ასლი: აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეს, ბატონ გ. ბარამიას;
ასლი: საქართველოს მედია საშუალებებს;
ასლი: ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დევნილ მოსახლეობას.

სერგი საჯაიას

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

პატივცემულო დეპუტატებო,

ბოროტმოქმედებათა ჯერმონაცვლეობა, რომლის უტიფარი ათარეშება ზოგიერთი თქვენგანის გაუმართლებელი თავშეკავების, ხოლო ზოგიერთის გულმოდგინე და საეჭვო ყურდახშობისა თუ თვალწახუჭვის გამო დღემდე დაუსჯელად ნიშანსვეტდება სახელმწიფო ქონების დატაცებაში არაერთგზის შემჩნეული **გ. გვაზავას**, მისი თანამოსაქმეების **ა. წოწონავას, დ. გვაძაბიასა** და მისთანათა **„ყოვლისშემძლეობად“**, ამჯერადაც მორიგი ჯოგური ძალისხმევის წინაპირობად იქცა.

საქმე ის გახლავთ, რომ ამ დღეებში ბოროტმოქმედებაში ეჭვმიტანილი, მაგრამ, დიახ, რამოდენიმე თქვენგანის დანაშაულებრივი მერყეობის შედეგად კანონის წინაშე ჯერჯერობით პასუხისგებას თავარიდებული გ. გვაზავა, მას შემდეგ, რაც ჩემი ავტორობით გამოიცა მამხილებელი წიგნი **„შეთქმულ თვრამეტიანელთა თაღლითობები აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში“** (თბ. 2012 წ.) და გამოქვეყნდა განცხადება ქვეყნის პრეზიდენტისა და სამართალდამცავი ორგანოების მიმართ (გაზ. **„ილორი“**, 2012 წ. 28 თებერვალი), მისთვის ჩვეული ვერაგობით, ვშიშობ, რომ ისევ ეცდება აფხაზეთის ა/რ-ის ცალკეული დეპუტატისა და პასუხისმგებელი თანამშრომლის ე. წ. **„ფირმის ღირსების დაცვის წესით“** კვლავაც ჩათრევას კოლექტიურ და ორგანიზებულ დანაშაულში. ამის მცდელობად უნდა ჩაითვალოს მისი მოწოდებები **„ერთად დგომისკენ“**, ანუ თანამშრომლებისგან არც თუ ორაზროვნად მოითხოვს მისი და თანამოსაქმეების მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებებისადმი კანონსაწინააღმდეგო წაყრუებას.

შეგახსენებთ რა თქვენს სახალხო განაწესს, კიდევ ერთხელ და, ეს უკვე მერამდენედ გაუწყებთ, რომ მე აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობისა თუ ზოგიერთი დეპუტატის მიერ ორგანიზებული, ამდენად, ე. წ. ელიტარული კორუფციის მიმართ ჩასაფრება და თქვენდამი ავმოსურნეობა არ მამოძრავებს. ასე მაგალითად, საყოველთაოდაა ცნობილი დეპუტატ **ნ. მგალობლიშვილის** პოლიტიკური და მსოფლმხედველობრივი მკვდრადშობილობისადმი ჩემი ცალსახა დაპირისპირება თუ შეუთავსებლობა, მაგრამ მას ამ შემთხვევაში ვერ დავაბრალებ ამჯერად მხილებულ დატაცებებში თანამოსაქმეობას,– იგი, სამწუხაროდ მისდა, ისევე, როგორც ზოგიერთი თქვენთაგანი, მხოლოდ წინგაუხედავად ხელდამფარებელი გახლავთ ამ კაბისკალთაჩაუწევლად გამოორღობებული თავაშვების. იგივე შემიძლია ვთქვა **რ. ქარაიაზე, თ. ლორთქიფანიძეზე,** – მიუხედავად მათ კისრებზე შემოსკუპებული არაერთი სანანებლისა, რისთვისაც მთელი სიცოცხლე ქენჯნის პერანგსა და საოხარს უნდა ატარებდნენ, ამ სიცხადეში ვერც მათ მივიჩნევ **გ. გვაზავასთან, ა. წოწონავასთან** და **დ. გვაძაბიასთან** ერთად ვარჩხილის გასაყოფად სახელმწიფო ხაზინაში მოფათურედ. ისინი ნაქურდალის ჩაჯიბვაში ეხმარებიან მათ მხოლოდ.

ყოველივე ამას, საუბედუროდ, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო მიჰყავს საბოლოო სახელგატეხვისაკენ, რასაც, მტრულ სპეცსამსახურთა გეგმების შესაბამისად, არაკეთილმოსურნეები გამოიყენებენ კიდევაც მის გასაუქმებლად. ასეთი შედეგი, უპირველეს ყოვლისა, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციის სტრატეგიისათვის საზურგე მახვილად უნდა მივიჩნიოთ, რაც არ შეიძლება წინგახედული ადამიანის მიზნად იქცეს, ამიტომ, გეუბნებით ხმის ჩახლეჩამდე: **გ. გვაზავამ** – აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, აფხაზეთის დეოკუპაციის გაქმედუნარიანებისათვის ამ მეტად საჭირო ინსტიტუციის მართვის ბერკეტები, თავის თანამოსაქმეებთან ერთად, გადააქცია კრიმინალური ძრავის საჭედ.

ამდენად და აქედან გამომდინარე, მე მხოლოდ ამ ჯოგური კორუფციის მესვეურებს ვდებ ბრალს ძალიან მკაფიო, ცხად და აულაგმავ ბოროტმოქმედებებში. თავად განსაჯეთ **1.** არის თუ არა კრიმინალი და ინტერესთა კონფლიქტი საკუთარი ოჯახის ავტომანქანის თაღლითური გზითა და საბუთების გაყალბებით (დროებით სხვაზე გადაფორმებით) პირადი სასამსახურო გამოყენებისთვის შესყიდვა და, რაც ასე საგანგაშოა, იგი სახელმწიფო ხაზინას მეტისმეტად ძვირი, საბაზრო ფასზეც კი არნახულად და საეჭვოდ აღმატებულ ღირებულებისად დაუჯინო?! **2.** მიიჩნევთ თუ არა კანონსაწინააღმდეგო საქმიანობად საოჯახო ვალის დასაფარავად სამსახურში, თანამშრომლებზე ყალბი მივლინებების გაფორმებას და სამივლინებო თანხების სათავმჯდომარეო მარჯვენით აკრეფას და ა. შ. ეს და სხვა ამგვარი თავმომჭრელობა არაერთგზის მოგხსენდათ თქვენ!

პატივცემულო დეპუტატებო,

ყოველივე ამის შესახებ მე ძალზე კეთილმოსურნე, განცხადებით მოგმართეთ 2011 წლის 2 და 3 აგვისტოს. სამწუხაროდ, ზოგიერთი თქვენგანის მიზნობრივმა უპასუხისმგებლობამ გ. გვაზავას საშუალება მისცა აეკრძალა კანცელარიისთვის ჩემი განცხადების მიღება (იგი მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ, ჩემი საგანგებო ძალისხმევით გადმოგეცით, თუმცა, დღემდე ერთი ნაწილი თქვენგან, – მაამებლური ქედდაღუნვით ფეხაწყობილი, ისევ და ისევ, ე. წ. ფირმის ღირსების **„დაცვის“** წესის შესაბამისად, ჯიუტად არ მპასუხობს მასზე, ხოლო მეორე ნაწილი საასეთდროოდ გამოხმობილი თავარიდებით დადარაჯებულ მეთვალყურედ იქცა. ერთიც და მეორეც, ნებით თუ უნებლიედ, თავისთავადაა ბოროტმოქმედებაში თანამოსაქმეობა).

ამასობაში თქვენი სიმხდალით გულმოცემული გ. გვაზავა უფრო შორს წავიდა და თქვენდამი დამისამართებული ზემოთხსენებული განცხადების საპასუხოდ, 2011 წლის 14 სექტემბერს **„საერთო გაზეთში“** ა. წოწონავას ხელმოწერით თავის ხელის ბიჭებს გამოაქვეყნებინა ჩემი სალანძღავი მორიგი წერილი, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობისადმი წაყენებულ ბრალდება-მხილებებთან. უფრო მეტიც, იმავე გაზეთში (2011 წ. 1 ოქტ.) გამოქვეყნებულ ჩემს პასუხს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს სახელით გაზეთის რედაქტორმა ბოლოკუდად (რეზიუმედ) დაურთო ავყიური და ქუჩისფსკერული ცილისწამებები, რომლებიც, ჯერ ერთი, არ და ვერ არის ჩემს მიერ წაყენებული ბრალდებების ზნეობრივი თუ შინაარსობრივი საპირწმონე და მეორეც, ეს გახლავთ კუთხეში მიმწყვდეული ჩვეულებრივი ბაცაცას ხმაბოდვითი ამონასაქმი და მე მართლა გირჩევთ, პირველ რიგში კი თქვენ, ბატონო თამაზ, ნუ გიღირთ ნურანაირი ლუკმა, ამგვარ წიდასთან თანაარსებობად, ბოლოს და ბოლოს, კაცობა მოიძიეთ თქვენშივე და გაემიჯნეთ ასეთ ორღობულ დაცემას.

...და ბოლოს, მოგმართავთ რა კიდევ ერთხელ, დაბეჯითებით მოვითხოვ, წინამდებარე განცხადება გააცნოთ სუყველას აქ დამისამართებულთაგან, ამავე დროს განიხილეთ იგი და წერილობით, მკაფიოდ გამეცით პასუხი მასში თუ თანდართულ მასალებში სად მოიძიეთ სიცრუე, სად გადააწყდით სიმართლის გამრუდებას ან ცილისწამებას, საიდან მოელით დადარაჯებული კაცის ავმოსურნეობას, რა შემთხვევაში წავიწყმიდე სული ყურითმოთრეული ჭორებით, უსაფუძვლოა თუ არა ჩემი შეკითხვები და თუ ეს ყველაფერი, სათავზაროდ ჩვენდა, სიმართლეა, მაშინ ხმამაღლა უნდა გამარკვიოთ, ამის ჩამდენი გ. გვაზავა, თავის თანამოსაქმეებთან ერთად, სულ ცოტა, თანამდებობიდან გადაყენებას იმსახურებს თუ არა?!

ამავე დროს, თუ ეს ყველაფერი წმიდა წყლის ხმაბოდვაა, თქვენ ასეთ შემთხვევაში არა თუ გევალებათ, პირდაპირ მოგეთხოვებათ, დაიცვათ **„უსამართლოდ გალანძღული“** გ. გვაზავა და სასამართლოში მიჩივლოთ როგორც ცილისმწამებელს.

მე კი ჩემის მხრივ, ვერ მოგატყუებთ, სანამ თავს მივიჩნევ **„კოლხური კოშკის“** ერთერთ რიგითად, არ დაგიმალავთ, იმაზე დიდი საქმე არ გამაჩნია, ვიდრე ჩემი ხალხის საზოგადოებრივი მაჯისცემის მიყურადებაა, ამიტომ ბოლომდე უნდა ვამხილო თაღლითი გ. გვაზავა თავის სულგაყიდულ თანამოსაქმეებთან ერთად და მათი სულიერ-ზნეობრივი ხრწნადობისგან უნდა გადავრეცხო ჩვენი საზოგადოებრივი ცნობიერების სამერმისო სვლაგეზი. საამისო ხმალთაქნევაში მე ვერ დავუზავდები ვერანაირ ხიფათს, გამოვიყენებ ზნეობით დაშვებულ ყველა საშუალებას და ჩემი ნაბიჯებით და ცხოვრების წესით დროს გავუნიშანსვეტებ თუ როგორ ყოველდღიურობენ **„კოლხური კოშკის“** სულიერი შვილები.

ჩემს შემოქმედებას რაც შეეხება, მომავალ წიგნებში გაგისაჯაროსებთ თუ რა სახეზოგადობაა ის საძრახობა, რომელიც აფხაზეთის პარტოკრატიის სახით ჩაემეტასტაზა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ცნობიერ სივრცეს, რასაც ჩვენი მამულის დროებითი გასხვისება, ამ მხარის მოსახლეობის დეპორტაცია და გენოციდი მოჰყვა.

ეს ყველაფერი არ გახლავთ აბსტრაქტული რამ, მე თქვენ დაგიზუსტებთ სულ მალე საუკუნის ღალატის არათუ სივრცით მოსაზღვრულობას, არამედ ამ სულნაცდურ თვითოობათა ნუსხას და მათ ზნეობრივ ლპობას, რამაც ჩაგვაგდო ასეთ დღეში ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ძირძველი მოსახლეობა.

აი, სიცხადე, რომელიც ჩემი აკვიატება არ არის, იგი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) დევნილი მრავალტანჯული მოსახლეობისთვის პასუხგასაცემი საკითხი გახლავთ.

არც ისაა დასამალი, რომ თქვენი პასუხი ჩემს განცხადებაზე, ასევე გაუსაჯაროსდება სრულიად საქართველოს. ჟამთაბერთან საქმეს ვერ ჩააწყობთ, თქვენს ხელშია თუ რა ვინაობით წარუდგებით შთამომავლობას.

უფლისგან დაზუსტებულ ზნეობრივ ნებადართულობაზე გადმომყნობილი გულისწყრომა მიმტევებელი იქნება და დასცხრება იმდენად, თუ რამდენად დაელიანდაგება მას თქვენი განაბიჯება სიმართლისკენ.

ასეთია სახალხო განაწესი, ასეთია საააფხაზეთო დაკვეთა, ასეთი გახლავთ ჩემი მიწიერი რწმუნება და ქრისტესმხედრული მოვალეობა!

ქრისტესმიერი კეთილმოსურნეობით

**სერგი საჯაია, მწერალი,**
*ზვიად გამსახურდიას (2004 წ.), ნიკო ნიკოლაძისა (2007 წ.) და გიორგი შერვაშიძის (2009 წ.) სახელობის პრემიათა ლაურეატი.*

# ილია მეორემ პუტინს მიულოცა



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილია მეორემ რუსეთის ფედერაციის ახლად არჩეულ პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს დეპეშა გაუგზავნა. დეპეშის ტექსტს გთავაზობთ უცვლელად:

**„მოსკოვი. კრემლი. მის აღმატებულებას, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს, ბატონ ვლადიმერ ვლადიმერის ძეს პუტინს**

**თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პრეზიდენტო!**

**მიიღეთ ჩვენი მილოცვა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მაღალ თანამდებობაზე თქვენს არჩევასთან დაკავშირებით. ვფიქრობთ, თქვენი დიდი გამოცდილება ხელს შეუწყობს მშვიდობისა და კეთილდღეობის განმტკიცებას თქვენს სახელმწიფოში.**

**რუსები და ქართველები ერთმორწმუნე ერებია, რაც გვაახლოებს, მაგრამ ვერც საქართველო და ვერც ჩვენი ეკლესია ვერასდროს შეეგუება ჩვენი სამშობლოს წიაღიდან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოწყვეტას.**

**თუმცა, ვფიქრობთ, ყველა სირთულის მიუხედავად, რუსეთსა და საქართველოს შორის სავსებით შესაძლებელია კეთილი ურთიერთობების აღდგენა, რაც მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი იზეიმებს ისტორიული სამართლია- ნობა.**

**ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ ადრე თუ გვიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა მაინც დამყარდება, მაგრამ კარგი იქნება, რომ ეს თქვენი მმართველობის პერიოდში მოხდეს.**

**ბატონო პრეზიდენტო, გისურვებთ ჯანმრთელობას, თქვენს ქვეყანას კი – შემდგომ აყვავებას.**

**პატივისცემით, ილია II,**
**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი“**

# კონტროლის პალატამ პარტიების რეგიონული ოფისების წარმომადგენლებისთვის ახსნა-განმარტებების ჩამორთმევის მიზეზი განმარტა

კონტროლის პალატამ **„ქართულ ოცნებაში“** შემავალი ოპოზიციური პარტიების რეგიონული ოფისების წარმომადგენლებისთვის ახსნა-განმარტებების ჩამორთმევის მიზეზი განმარტა.

როგორც პოლიტიკური გაერთიანებების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის განცხადებაშია ნათქვამი, პოლიტიკური ორგანიზაციებისგან მიღებული საფინანსო დეკლარაციების აუდიტის პროცესში დადგინდა, რომ ორგანიზაცია **„ქართული ოცნების“** მიერ გაწეული ხარჯები – სახელფასო, რემონტის, ოფისის იჯარის და ა.შ, არ შეესაბამება რეალობას და არ არის ასახული მათ მიერ წარმოდგენილ დეკლარაციებში.

**„მხედველობაში გვაქვს მაგალითად, ფართოდ რეკლამირებული ოფისების გახსნა, რაც კანონით ნებადართული საქმიანობაა, თუმცა, ასახული უნდა იყოს შესაბამის ფინანსურ ანგარიშგებებში. აღნიშნული მოთხოვნა დაცული არ არის. სწორედ ამ მიზნით მიმდინარეობს იმ პირთა გამოკითხვა, რომელთაც აქვთ ინფორმაცია ზემოაღნიშნულ ხარჯებთან დაკავშირებით, რათა დადგინდეს, რა ფაქტობრივი ხარჯებია გაწეული და რამდენად გამჭვირვალეა ეს თანხები. ამ ეტაპზე დადასტურებულია ინფორმაცია, რომ მაგალითად, ოფისის საიჯარო კონტრაქტები დადებულია არა პოლიტიკური გაერთიანების ან ფიზიკური პირის მიერ შემოწირულობის სახით, როგორც ამას კანონი მოითხოვს, არამედ, კერძო ფირმების – ძირითადად კი კომპანია შპს „მენეჯმენტ სერვისის“ მიერ, მიუხედავად იმისა, რომ კანონი კერძო ფირმების მიერ პოლიტიკური ორგანიზაციების დაფინანსებას კრძალავს“,** – ნათქვამია განცხადებაში.

ამავე განცხადების თანახმად, დადასტურებული ინფორმაცია არსებობს სახელფასო უზრუნველყოფასთან, რემონტის ხარჯებთან და სხვა მომსახურებებთან დაკავშირებითაც.

**„აღნიშნული განხორციელებულია ე.წ. „შავი ფულის“ სქემებით, კანონის გვერდის ავლის მიზნით და პოლიტიკური გამჭვირვალობის სხვა მოთხოვნების უგულვებელყოფით, რის შესახებაც მონიტორინგის პროცესის დასრულებისთანავე საზოგადოებას დამატებითი ინფორმაცია მიეწოდება“,** – აღნიშნულია პოლიტიკური გაერთიანებების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის განცხადებაში.

## ჭეშმარიტება და მხოლოდ ჭეშმარიტება

# საინტერესო მონაცემები ცალკეულ საენათმეცნიერო და ზოგადსამეცნიერო საკითხებზე ზოგადსაკაცობრიო პრობლემათა ჭრილში

### შტრიხები სამტომეულიდან: (ფაქტები, ჰიპოთეზები, დასკვნები)

### 1. მოკლედ მეგრული ენის ლექსიკის სიმდიდრის საბოლოო მონაცემის შესახებ

როგორც მკითხველისთვის უკვე ცნობილია, 2007 წელს გამოცემული ჩვენი შვიდტომეულის **„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“** მიხედვით, მეგრული ენის ლექსიკა ითვლის 102 773 879 სიტყვას პარალელური, იშვიათად ხმარებადი და პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ, **ქო**-დადასტურებითნაწილაკიანი ფორმების ანგარიშში ჩაუთვლელად.

მეგრულის ეს ლექსიკა (102 773 879 სიტყვა) დაფიქსირებულია (მოხმობილია და იკითხება) შვიდტომეულის 5 ტომში, ორ ნაწილად: 1) მეგრულის ზმნურ ფუძეთა ლექსიკონისა და 2) მეგრულის სხვა მეტყველების ნაწილების (გარდა ზმნებისა) ლექსიკონის სახით.

მათ შორის:

1. მეგრულის ზმნურ ფუძეთა ლექსიკონი წარმოდგენილია დაახლოებით 4 ტომში, 2500-მდე გვერდზე და ითვლის 102 747 879 სიტყვას. ამ ლექსიკონის საშუალოდ ერთი გვერდი აფიქსირებს 41 200-მდე სიტყვას, კერძოდ, ზმნებსა და სახელზმნებს.

ამ ლექსიკონში მეგრულის ზმნური ფონდი – ზმნები და სახელზმნები (მასდარები ანუ საწყისები და მიმღეობები) წარმოდგენილია ზმნისწინებისა და პრეფიქსების აქვე მოხმობის გარეშე, ანუ მხოლოდ და მხოლოდ ძირისეული თანხმოვნური და ხმოვნური ფორმების სახით, მათდამი დართვადი სუფიქსების – ანბანთრიგის მიხედვით და ერთმანეთისაგან დახრილი ხაზებით გამოყოფით – მოხმობის პირობებში. ამ სახით წარმოდგენილი მეგრულის ზმნურ ფუძეთა ლექსიკონის ყოველ ერთ სუფიქსდართულ ფორმასთან, მათდამი დართვადი ზმნისწინებისა და პრეფიქსების მოხმობით, საშუალოდ, იკითხება 117 ზმნისწინიან-პრეფიქსიანი სიტყვა. ამგვარ ფორმებთან სათანადო (მათდამი დართვადი) ზმნისწინებისა და პრეფიქსების მოხმობა კი შესაძლებელია ზეპირად, ანდა ანბანთრიგის მიხედვით დალაგებული მათი ჩამონათვალის გამოყენებით. ასე, მაგალითად, **კგრკგ** ძირისეული თანხმოვნური ფორმის ლექსიკის მონაკვეთთან: კარკგ/ა/აია/...ალგ/ალა/ალანცგ/ალაფა და ასე შემდეგ, იქ, სადაც გვაქვს ფორმა კარკგ, გვაქვს აგრეთვე ფორმები: ა-კარკგ, ათა-კარკგ, ალა-კარკგ, აშა-კარკგ, აწა-კარკგ, გა-კარკგ, გე-კარკგ... კგნო-კარკგ... მითო-კარკგ და ასე შემდეგ, ვიდრე მეგრულის თითქმის ყველა ზმნისწინის გამოყენებამდე. ანდა, იქ, სადაც გვაქვს ფორმა კარკ-ალგ, იკითხება ფორმები: ა-კარკ-ალგ, ათა-კარკ-ალგ, ა-თი-კარკ-ალგ... ალა-კარკ-ალგ, ალე-კარკ-ალგ, გა-კარკ-ალგ, გი-კარკ-ალგ, გინი-კარკ-ალგ, ინი-კარკ-ალგ, მი-კარკ-ალგ და სხვა. ანალოგიურად გვაქვს: ალა-კარკ-ალ-ანცგ, ა-კარკ-ალ-ანცგ, გა-კარკ-ალ-ანცგ, გე-კარკ-ალ-ანცგ, ინო-კარკ-ალ-ანცგ, მე-კარკ-ალ-ანცგ, კგნო-კარკ-აანცგ, მულა-კარკ-ალ-ანცგ, წგმო-კარკ-ალ-ანცგ... ალა-კარკ-ალ-აფ-ა, გე-კარკ-ალ-აფ-ა... ალა-კარკ-ალ-აფ-აფ-ა, გე-კარკ-ალ-აფ-აფ-ა... და ა. შ.

მეგრულის სხვა მეტყველების ნაწილების ლექსიკა (გარდა ზმნებისა) შვიდტომეულში წარმოდგენილია ჩვეულებრივი მეგრულ-ქართული ლექსიკონის სახით. იგი მოცემულია 401 გვერდზე და მოიცავს 26 000-მდე სიტყვას, ანუ საშუალოდ ერთ გვერდზე წარმოდგენილია 65 სიტყვა.

შვიდტომეულში გაკეთებულია ასეთი განაცხადი: მეგრული ენის აღნიშნული ლექსიკიდან (102 773 879 სიტყვა) თანამედროვე მეგრულში მეტნაკლები სიხშირით ხმარებადია სულ მცირე 20 მილიონი (შესაძლოა ბევრად მეტი) სიტყვა, როგორც ლექსიკური ერთეული.

იქვე აღნიშნულია, რომ მეგრულის ამ ლექსიკაში (103 მილიონამდე სიტყვა) ნაანგარიშევი არ არის **ქო**-დადასყურებითნაწილაკიანი ფორმები (თუმცა ზმნურ ფუძეთა ლექსიკონში ისინიც იკითხება). ამასთან, ლექსიკონში საერთოდ არ არის შეტანილი **დგ, დასგ, დასგნი, დგკო, დგკონი** და **დგნი** სუფიქსებდართული ფორმები, ანუ, შესაბამისად: წარსული უსრულის, იგივე მრავალგზისობის (ხოლმეობითობის), ნატვრითი, პირობითი, ნატვრით-პირობითი, პირობით-უსრული და პირობით-შესაძლებლობითი ფორმები.

ამრიგად, შვიდტომეულშივე აღნიშნულია, რომ მასში მოხმობილი ლექსიკა სრულიადაც არ მოიცავს (არ ამოწურავს) მეგრული ენის ლექსიკას, და, რომ მისი სრულად ან შედარებით სრულად წარმოდგენა მომავლის საქმეა.

მეგრული ენის ლექსიკის, და კერძოდ, მისი ზმნური ფონდის კოლოსალური სიმდიდრის სრულად მოხმობა-წარმოდგენა, ცხადია, მთელ რიგ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, რაც გამოიხატებოდა შემდეგში:

ჯერ ერთი, ძნელი იყო მეგრულის ზმნური ფონდის სიტყვების სრულად მოძიება და დაფიქსირება, ამ ფონდის კოლოსალური შემადგენლობის გამო. მით უმეტეს, ძნელი იყო ამ პრობლემის გადაწყვეტა, სალექსიკონო ერთეულის საკითხის გადაწყვეტის გარეშე.

მეორე და, ენათმეცნიერებისათვის მანამდე უცნობი იყო, თუნდაც ერთი მილიონი სიტყვის მქონე ენის არსებობაც კი, დედამიწაზე. ამის გამო, სპეციალისტების ერთ ნაწილს მეგრული ენის მრავალმილიონიან სიტყვობრივ მარაგზე მოსაზრების მოსმენაც კი არ სურდათ. ზოგიერთები კი, ამას მეგრულის პრიორიტეტულობის წარმოჩენის ცდად აღიქვამდნენ და აშკარა გაღიზიანებასაც გამოხატავდნენ. ამიტომ, ჩვენ, ყოველთვის ვცდილობდით, თვით მოძიებულზეც ნაკლები რიცხვი გამოგვეცხადებინა მეგრულის ლექსიკისა.

ასეთ პირობებში, ჩვენი თავდაპირველი განაცხადი, მეგრულში 3-3,5 მილიონი სიტყვის შესაძლო არსებობის შესახებ, ბევრისთვის დაუჯერებელი იყო. შემდგომში კი დაუჯერებელი იყო ჩვენს მორიგ ნაშრომში გაკეთებული განაცხადი, მეგრულში 9,5-10 მილიონამდე სიტყვის არსებობის შესახებ, თუმცა იმ დროისათვის შედგენილი მეგრულის სალექსიკონო მასალა 17 მილიონამდე სიტყვას ითვლიდა. ესე იგი, შესაძლო უზუსტობის დაშვებისა და მოსალოდნელი სკანდალის თავიდან აცილების მიზნით, 7 მილიონი სიტყვა გადავმალეთ. ეს იმიტომ, რომ ვიდრე სალექსიკონო მასალის ან ლექსიკონის გამოქვეყნებამდე, იგი დამაჯერებელი ვერ იქნებოდა.

შვიდტომეულის შედგენისას სხვა ვითარება შეიქმნა: მოგვეცა იმის საშუალება, რომ კვლევით მონაცემებთან ერთად წარმოგვედგინა მეგრულის ლექსიკონიც. ამიტომ, შევეცადეთ შეძლებისამებრ მაქსიმალურად მოგვეძია და დაგვეფიქსირებინა მეგრულის ლექსიკა. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ამიტომაც, კვლავ თვითდაზღვევის გზას მივმართეთ: მეგრულის ზმნური ფონდის გაანგარიშებისას სათვალავში არ შეგვიტანია **ქო**-დადასტურებითნაწილაკიანი ფორმები, ხოლო **დგ, დასგ, დასგნი, დგკო, დგკონი** და **დგნი** სუფიქსებდართული ფორმები შვიდტომეულში წარმოდგენილ ზმნურ ფუძეთა ლექსიკონში საერთოდ არ შეგვიტანია, და ამაზე იქ მხოლოდ უბრალო განაცხადი გავაკეთეთ.

ასეთ პირობებშიც, აღნიშნული განცდის გამო, შვიდტომეულში განვაცხადეთ: მეგრულის ლექსიკის აქ დაფიქსირებულ-გამოცხადებული შემადგენლობიდან (103 მილიონამდე სიტყვა) თანამედროვე მეგრულში მეტნაკლები სიხშირით ხმარებადია სულ ცოტა **20 მილიონამდე (თუ არა ბევრად მეტი) სიტყვა.**

ამრიგად, მეგრულის ლექსიკის სრულად მოძიება-წარმოჩენის საჭიროება კვლავ დღის წესრიგში იდგა და მოითხოვდა ამ მხრივ მუშაობის გაგრძელებას. ეს მუშაობა, ცხადია, შეეხო ზმნურ ფონდს, შევეცადეთ განგვესაზღვრა მისი საბოლოო მონაცემები.

საამისოდ **„სასინჯ ქვად“** ავიღეთ ერთ-ერთი, განსაკუთრებით მაღალპროდუქტიული, **კგრკგ** ძირისეულ თანხმოვნურ ფორმაზე დამყარებული ლექსიკა, – წარმოდგენილი შვიდტომეულში მოცემულ მეგრულის ზმნურ ფუძეთა ლექსიკონში. ეს ლექსიკა ცალკე განვათავსეთ კომპიუტერში და შემდგომ ამისა დამატებით შევიტანეთ მასში **დგ, დასგ, დასგნი, დგკო, დგკონი** და **დგნი** სუფიქსებდართული ფორმები. შედეგად, ასეთი სურათი მივიღეთ:

თუ **კგრკგ** ძირზე დამყარებული ფორმების ლექსიკა შვიდტომეულში, ანუ ზემოაღნიშნული სუფიქსებდართული ფორმების გარეშე, ითვლის **2877** სუფიქსდართულ ფორმას და შეადგენს **8 გვერდს**, იგივე ლექსიკამ ზემოაღნიშნული სუფიქსებდართული ფორმებითურთ შეადგინა სულ **8342** სუფიქსდართული ფორმა და მოიცვა **24,2 გვერდი,** ანუ გაიზარდა **8342 : 2877 = 3, 13 - ჯერ.**

ამის შემდეგ, შვიდტომეულის მონაცემების მიხედვით, კერძოდ, მასში სრულად ანუ ქო-დადასტურებითნაწილაკიანი ფორმებითურთ წარმოდგენილი **სქგრგ** ძირისეული თანხმოვნური ფორმის ლექსიკის მაგალითზე გამოანგარიშებულ იქნა **ქო**-დადასტურებითნაწილაკიანი ფორმების ხვედრითი წილი, რამაც შეადგინა **43 პროცენტი**. ესე იგი, **სქგრგ** ძირისეული თანხმოვნური ფორმის ლექსიკაში, ასევე მეგრულის ნებისმიერი სხვა ძირისეული თანხმოვნური ფორმის ლექსიკაში (საკითხი ეხება ზმნურ ფონდს) ქო-დადასტურებითნაწილაკიანი ფორმების ხვედრითი წილი შეადგენს **43 პროცენტს**.

მოკლედ რომ გამოვხატოთ, საბოლოო ანგარიშით, აღმოჩნდა, რომ შვიდტომეულში წარმოდგენილი მეგრულის ზმნური ფონდის წარმომდგენი ყოველი ძირისეული თანხმოვნური ფორმის ლექსიკა **ქო**-დადასტურებითნაწილაკიანი ფორმებითურთ ითვლის **1,43-ჯერ მეტ სიტყვას,** ხოლო მთელი ლექსიკა **დგ, დასგ, დასგნი, დგკო, დგკონი** და **დგნი** სუფიქსებდართული ფორმებითურთ და **ქო**-დადასტურებითნაწილაკიანი ფორმებითურთ დაითვლის **4,1-ჯერ მეტ სიტყვას**, ვიდრე უამათოდ, ანუ იმ ლექსიკების მიხედვით, რაც შვიდტომეულში, – მის ცხრილებში – არის წარმოდგენილი.

ასე, მაგალითად, შვიდტომეულის მიხედვით **ბგზგ** ძირისეულ თანხმოვნურ ფორმაზე დამყარებული ლექსიკა თუ შეადგენს 97 697 სიტყვას, **ქო**-დადასტურებითნაწილაკიანი ფორმებითურთ კი 97697 X 1,43 = 139 706 სიტყვას, საბოლოო მაჩვენებლების მიხედვით, ანუ **დგ, დასგ, დასგნი, დგკო, დგკონი** და **დგნი** სუფიქსებდართული და **ქო**-დადასტურებითნაწილაკიანი ფორმებითურთ იგი შეადგენს (დაითვლის): 97 697 X 4,1 = 400 558 სიტყვას. (ამჯერად, აქ, არაფერს ვამბობთ მთელ ლექსიკაზე **ვა-** და **ვე-** უარყოფითი ნაწილაკებდართული ფორმებითურთ. მასზე ქვემოთ აღვნიშნავთ).

ანალოგიურად, საბოლოო ანგარიშით (თუმცა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, საბოლოო მაჩვენებელი არც ეს არის), მაგალითად, **დგრღგ** ძირისეულ თანხმოვნურ ფორმაზე დამყარებული ლექსიკა შეადგენს: 136 579 X 4,1 = 559 910 სიტყვას, **კგრკგ** შირისეულ თანხმოვნურ ფორმაზე დამყარებული ლექსიკა შეადგენს: **336 609 X 4,1 = 1 380 097 სიტყვას** და ა. შ.

ამგვარი ანგარიშით, **მეგრულის მთელი ზმნური ფონდის ლექსიკა შეადგენს: 102 747 879 X 4,1 = 421 266 309 სიტყვას ანუ დაახლოებით 421, 3 მილიონ სიტყვას.**

ყველა აღნიშნულ ლექსიკაში იგულისხმება სიტყვობრივი მარაგი პარალელური, იშვიათად ხმარებადი და პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ, საიდანაც, სავარაუდოდ, თანამედროვე მეგრულში მეტნაკლები სიხშირით ხმარებადია სულ მცირე, ერთი მესამედი ნაწილი. ამის დაზუსტება კი შესაძლებელია მხოლოდ მეგრულ-ქართული ლექსიკონის მრავალათასტომეულის, დიახ მრავალათასტომეულის, შედგენის შემთხვევაში, რაც შორეული პერსპექტივის საქმედ ჩანს.

მეგრული ენის ლექსიკა არც ზემოაღნიშნული მონაცემით ამოიწურება.

საქმე ის არის, რომ ქართულისა და სხვა ენებისაგან განსხვავებით, მეგრულში, **ვა-** და **ვე-** უარყოფითი ნაწილაკები – **არა-**ს და **ვერა-**ს მნიშვნელობით თითოეული მათგანი – ზმნებს უშუალოდ ერთვიან და მთლიანობაში ერთი სიტყვის სახით წარმოსდგებიან. უფრო ზუსტად, **ვა-** და **ვე-** უარყოფითი ნაწილაკების **არა** მნიშვნელობით გამოყენებისას, სიტყვის ბოლოში, ჩვეულევრივ, ვლინდება **გ** ან **უ** ხმოვანი, **ვერა** მნიშვნელობით გამოყენებისას კი, **-ინ** სუფიქსი. ასე, მაგალითად: **ვა-მორთგ** არ წავიდა, **ვე-დგ** არ წავიდა, **ვა-თქუ||ვა-თქუ-უ** არ თქვა, **ვა-ლ-ინგ** ვერ წავიდა, **ვე-ლ-ინგ** წასვლა შეუძლებელ იქნა და სხვა.

ამრიგად, მეგრულის **ვა-** და **ვე-** უარყოფითნაწილაკიანი ზმნური ფორმები (სიტყვები) ჩვეულებრივ სრულუფლებიან ლექსიკურ ერთეულებს (იგივე, სალექსიკონო მასალას) წარმოადგენენ.

რადგანაც მეგრულის ზმნები **ვა-** და **ვე-** უარყოფით ნაწილაკებს, ცალ-ცალკე **არა-**სა და **ვერა-**ს მნიშვნელობებით ირთავენ, ამის გამო მეგრულის ყოველი ერთი ზმნიდან დამატებით მიიღება ორ-ორი ახალი ზმნა, ანუ **ვა-** და **ვე-** ნაწილაკიანი ფორმების წარმოდგენის პირობებში ადგილი აქვს მეგრულის ზმნების გასამკეცებას. ცხადია, ეს ეხება ზმნებს და არა სახელზმნებს, ვინაიდან სახელზმნები არც **ქო** დადასტურებით ნაწილაკს და არც **ვა-** და **ვე-** უარყოფით ნაწილაკებს არ ირთავენ.

ზემოაღნიშნული გარემოების გამო, **ვა-** და **ვე-** უარყოფითნაწილაკიანი ფორმებითურთ, მეგრული ენის ლექსიკა, ნაცვლად ზემოთ აღნიშნული **421,3 მილიონი სიტყვისა,** წინასწარი მიახლოებითი გაანგარიშებით დაითვლის **1 მილიარდ 200 მილიონამდე სიტყვას**, პარალელური, იშვიათად ხმარებადი და პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ, საიდანაც თანამედროვე მეგრულში მეტნაკლები სიხშირით ხმარებადია დაახლოებით **400 მილიონი სიტყვა, როგორც ლექსიკური ერთეული** (თუმცა, ეს მონაცემი დაზუსტების პროცესშია).

იმ შემთხვევაში, თუ შევადგენთ მეგრულის ზმნური ფონდის დრო-კილოთა და პირიან ფორმათა ლექსიკონს, იგი, 2 **მილიარდ სიტყვას** ბევრად გასცდება.

**ამგვარი კოლოსალური, დიახ ფანტასტიკური სიმდიდრით ხასიათდება თანამედროვე მეგრული ენის ლექსიკა, რაც უდავოდ მის უძირძველესობაზეც მეტყველებს.**

**რა არის მიზეზი ანუ საფუძველი მეგრული ენის ლექსიკის ესოდენ კოლოსალური, დიახ ფანტასტიკური სიმდიდრისა?** ამის შესახებ შვიდტომეულის ანოტაციაში საკმაოდ ნათლად ითქვა. აქ მხოლოდ აღვნიშნავთ შემდეგს:

ცხადია, **აურაცხელია საგანთა სიმრავლე სამყაროში და თვით ადამიანის საცხოვრის პლანეტა დედამიწაზე. მით უფრო აურაცხელია საგნების ნიშან-თვისებები, გაადგილებანი სივრცეში და ერთმანეთთან მიმართებაში, და ა. შ.**

ყოველივე ეს, ადამიანის დასაბამიდანვე მოითხოვდა შეცნობას, შესწავლას, აღწერა-აღტიცხვას, სახელდებას, რაც ადამიანური სამეტყველო ენის წარმოშობასა და განვითარებაში გამოიხატებოდა.

ენის განვითარება კი, რასაკვირველია, ენის ლექსიკის სიმდიდრეში გამოიხატება.

ესოდენ კოლოსალური ლექსიკის შედგენას მეგრული ენა, ძირისეულ ფორმათა სიმდიდრის პირობებში, უზრუნველყოფს უმდიდრესი საგრამატიკო საშუალებებით. კერძოდ, **მეგრულის ზმნებთან გვაქვს 6 ინფიქსი (ა, ე, ი, ო, უ, გ), 8 პრეფიქსი (მათ შორის, 5 ხმოვანი პრეფიქსი), 76 პირველადისაწყისისეული სუფიქსი, 178 მეორეული (მესამეული და ა. შ.) წარმოების სუფიქსი და 86 ზმნისწინი**.

მეგრულმა ენამ მოახერხა საგანთა უნივერსალური სამყაროს მრავალფეროვნების მაქსიმალურად აღწერა; აი, როგორ:

მეგრულში ორმარცვლიანი ძირისეული თანხმოვნური ფორმები ხშირად შიგაგახმოვანებულია ხუთივე ხმოვნით, ანდა ოთხი, სამი ან ორი ხმოვნით, რითაც ისინი იმთავითვე ხუთმაგდება, ოთხმაგდება და ა. შ.

ასე, მაგალითად: **ბზზზ** შორისდებულისეული წარმომავლობის **ბზგ** ძირისეული ფორმისგან ფვაქვს ფორმები: **ბაზ-ალ-ი, ბეზ-ერ-ი, ბეზ-ერ-ი-ა, ბიზ-ინ-ი, ბოზ-ორ-ი-ა, ბუზ-ურ-უ-ა, ბაზ-ალ-აფ-ა; ბაზ-ალ-აფ-აფ-ა, ბაზ-ალ-ან-ცგ, მი-ბაზ-ალგ, ალე-ბაზ-ალგ** და ასე შემდეგ, სულ **480 558 სიტყვა** პარალელური, იშვიათად ხმარებადი და პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ, მაგრამ **ვა-** და **ვე-** უარყოფითნაწილაკიანი ფორმების გარეშე. ქართულში კი, იმავე **ბზგ** ძირი შიგაგახმოვანებულია ერთადერთი **უ** ბგერით და მისგან გვაქვს ფორმები: **ბუზი, ბზუილი, ბზუილა და ბზუის,** სულ **4 სიტყვა.**

ანალოგიურად, **კრრრკრრრ** შირისდებულისეული წარმომავლობის **კგრკგ** ძირზე დამყარებით მეგრულში გვაქვს სულ **1 380 097 სიტყვა,** ქართულში კი მხოლოდ **32 სიტყვა; ბგწკგ** ძირზე დამყარებით მეგრულში გვაქვს **820 287 სიტყვა,** ქართულში კი მხოლოდ **2 სიტყვა** და ა. შ.

მეტიც კიდევ: ასე, მეგრულში, მაგ., **გვგნჯღგ** ძირზე დამყარებით გვაქვს **381 841 სიტყვა, ფგშქ**გ ძირზე დამყარებით – **579 478 სიტყვა, ღგნჯგგ** ძირზე დამყარებით – **608 260 სიტყვა** და ასე შემდეგ, მაგრამ **ამგვარძირიანი სიტყვები ქართულში საერთოდ არა გვაქვს. ასეთ უთარგმნელ ფორმებს კი, მეგრულის ლექსიკის აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი – 91,4 პროცენტი შეადგენს.**

ქართულში საკმაოდ ხშირია სტატიკური ზმნები (მაგ,. ზის, არის, ჰკიდია და სხვა), რომლებიც ზმნისწინებსა და აფიქსებს არ ირთავენ, მეგრულში კი, ასეთები მხოლოდ ერთეულებია. ასეთ პირობებში, მაგალითად, მეგრულის **რ** (რე||რენ არის) ფორმაზე დამყარებით მიღებული ლექსიკა **18000** სიტყვაზე მეტს ითვლის.

**ძირისეული ფორმებისა (იგივე ლექსიკური მორფემებისა) და საგრამატიკო საშუალებების: აფიქსების, ზმნისწინებისა და სხვათა განსაკუთრებული სიმდიდრე განაპირობებს მეგრულის ზმნური ფონდის და მთლიანად მეგრული ენის ლექსიკის განსაკუთრებულ, დიახ კოლოსალურ სიმდიდრეს.**

**მეგრული ენის კოლოსალური, ფანტასტიკური სიმდიდრე ამ ენის უძირძველობასა და განსაკუთრებულ განვითარებულობაზე მეტყველებს.**

მამანტი ძაძამია,
**პროფესორი, აკადემიკოსი,**
ცირა ძაძამია,
**პროფესორი, აკადემიკოსი**



სერგეი კრემლიოვი

# ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

ბერია კი აგრძელებს:

**„ჩვენი სამშობლოს ძლიერების გაზრდისა და პარტიის ერთიანობის განმტკიცების გარდა მე სხვა აზრი არასოდეს მქონია.**

**ჩემი ცენტრალური კომიტეტი, ჩემი მთავრობა მე კოლეგა-ამხანაგებზე ნაკლებად არასოდეს არ მიყვარდა და ყველაფერს ვაკეთებდი პარტიისა და სამშობლოსათვის, რაც კი შემეძლო. გარწმუნებთ, ყველა ბრალდება წამსვე მომეხსნება, თუ ჩემი საქმის საფუძვლიანად გამოძიებას მოისურვებთ. ვერ გამიგია, ასე რატომ ჩქარობენ. ეს ყველაფერი ხომ ეჭვს იწვევს.**

**ამხანაგებს გიორგი მალენკოვსა და ნიკიტა ხრუშჩოვს ვთხოვ, ნუ გაჯიუტდებიან, განა ცუდი საქმე იქნება ამხანაგის რეაბილიტირება?**

**ამხანაგებო, კიდევ ერთხელ გემუდარებით, ობიექტურად ჩაერიეთ ამ საქმეში და ნუ დაღუპავთ თქვენს ძველ, სრულიად უდანაშაულო მეგობარს.**

**თქვენი ლავრენტი ბერია.“**

ეს წერილი ლავრენტი ბერიას მიერ რამდენიმე ადგილასაა საგულდაგულოდ ხაზგასმული, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს წერილის ავთენტურობას: ბერია სწორედ ასე გამოყოფდა ხოლმე თავის წერილებში საკვანძო მომენტებს, ისეთებს, როგორიცაა **„გარწმუნებთ, ყველა ბრალდება წამსვე მომეხსნება, თუ ჩემი საქმის გამოძიებას მოისურვებთ“.**

მაგრამ ეს ბარათი ნამდვილად არ არის დაწერილი ინტრიგანის მიერ. ინტრიგანი – ღმერთმა დაიფაროს! – არასოდეს მისწერდა საყვედურებით სავსე ბარათს იმ ადამიანებს, ვიზედაც მისი სიცოცხლე იყო დამოკიდებული და თანაც არ მიანიშნებდა საეჭვო სიჩქარეზე. თუნდაც ეს ფაქტი ადასტურებს, რომ ბარათი დაწერილია **გულწრფელი, წესიერი** მაგრამ ემოციური ადამიანის მიერ.

ამ წერილს გააჩნია კიდევ ერთი თავისებურება, რაც ზოგადად დამახასიათებელი იყო ლავრენტი ბერიასათვის. მავანთა გულწრფელი და სიცრუით გაჯერებული აღიარებები ხშირად იწერებოდა იოსებ სტალინის სახელზე, მაგრამ მხოლოდ ლავრენტი ბერია აყენებდა საკითხს ისე, როგორც ამას გააკეთებდა ჭკვიანი და წესიერი ადამიანი. იგი არამც თუ მიიჩნევს თავს დამნაშავედ, არამედ კატეგორიულად მოითხოვს, რომ მკაცრად იქნას გამოძიებული მისი საქმე. და საქმისადმი ამგვარი მიდგომა წარმოაჩენს ლავრენტი ბერიას როგორც გამოცდილ პროფესიონალს, ჩეკისტს, გამომძიებელს, რომელმაც კარგად იცის ცხოვრების ყველა მხარე და ესმის, რომ სიტუაცია უაღრესად რთულია და თუ მან დაჰკარგა ამხანაგების ნდობა, მხოლოდ საგულდაგულო გამოძიებით შეიძლება ამ ნდობის აღდგენა.

სამწუხაროდ, საქმე გახლდათ არა ნდობის დაკარგვაში, არამედ ბერიას მიერ მისივე ამხანაგების დაფრთხობაში, სახელმწიფოსადმი გაწეული თავაუღებელი შრომის შეხსენებით, რომლისათვის ოფლის ღვრას მომავალში ისინი საერთოდ აღარ აპირებდნენ. ახლა მათ სჭირდებოდათ **„დამსახურებული“** დიდება და არა მოუსვენარი ლავრენტი პავლეს ძე.

სწორედ ამან განსაზღვრა ყველაფერი.

ანდრეი სუხომლინოვი თავის წიგნში აშკარად არ ამჟღავნებს ლოიალობას ბერიას მისამართით, და ამიტომაც დაწერა შემდეგი:

**„ვინც კი იმ დღეებში ბერიას ხედავდა (იგულისხმება სტალინის სიკვდილის შემდგომი პერიოდი – ს.კ.), ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ იგი რაღაცნაირად აღგზნებული იყო და მუდამ მუშაობდა. სკკპ ცეკას პრეზიდიუმის წევრებსაც კი იგი, სრულიად მოულოდნელად, „შენობით“ მიმართავდა. თანამშრომლები იგონებდნენ, რომ მათი თანდასწრებით, ბერია, შეგნებულად ამცირებდა ცეკას პრეზიდიუმის წევრებს და ძირითადად „პუბლიკაზე“ მუშაობდა“...**

სამწუხაროდ, ბერიას ამგვარი მხილებები მრავალმა მწერალმა ჩამოაყალიბა **„დამაჯერებლად“**. მაგალითად, რა არის ცუდი იმაში, რომ ადამიანი დღემუდამ მუშაობს, მით უმეტეს, თუ იგი ჭკვიანი ადამიანია? **„შენობით“** კი, პრეზიდიუმის წევრები ყოველთვის მიმართავდნენ ერთმანეთს. ეს ნათლად იკვეთება ბერიას მოხსენებიდან **„ანტიბერიასეულ“** პლენუმზე და ბულგანინის სიტყვებიდანაც...

რაც შეეხება **„მხილებებს“** ბერიას **„თანამედროვეთა მოგონებებიდან“**, ეს ან სუდოპლატოვისთანა **„შემოქმედების“** ფანტაზიის ნაყოფია, ან პოლიტკორექტორების შრომის შედეგი. და მასში სიმართლე ზუსტად იმდენია, რამდენიც მოთხრობებში ბერიას უხეშობის თაობაზე კოლეგების მიმართ.

სუხომლინოვი წერს ბერიაზე ამგვარად:

**„იგი უნდა ჩასაფრებულიყო, როგორც ნიკიტა ხრუშჩოვი და წინასწარ არ გაეთქვა საკუთარი გეგმები, მაგრამ იგი დიდი ხანი მიილტვოდა უმაღლესი ხელისუფლებისაკენ და უკანასკნელი შტურმის წინ აშკარად დაჰკარგა ჩვეული სიფხიზლე...“**

რა გვაქვს ამ შემთხვევაში? არის თუ არა ჭეშმარიტების მარცვალი ფრაზაში **„იგი დიდი ხანი მიილტვოდა უმაღლესი ხელისუფლებისაკენ“**. როგორ უნდა გავიგოთ ყოველივე ეს? უმაღლესი ხელისუფლება დიდი ხანია ეკუთვნოდა სტალინს და ვიდრე იგი ცოცხალი იყო, არც ბერიას და არც სხვა ვინმეს მისი ადგილის დასაკუთრების ფიქრიც კი არ შეეძლო გაევლო თავში. რაც შეეხება ბერიას მიერ საკუთარი პოტენციალის შეფასებებს, იგი შეიძლება მიიჩნევდა კიდეც, რომ ყველაზე ღირსეული იყო სტალინის მემკვიდრედ სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე.

მაგრა, აი, რაც შეეხება ხრუშჩოვის ბუნებასა და მისი შინაგან სამყაროს, იგი სუხომლინოვმა უაღრესად ზუსტად განსაზღვრა.

ხრუშჩოვი დიდი ხნის წინ ჩასაფრდა, ახლა კი, როცა ლომი უკვე მკვდარი იყო, ვერაგმა ტურამ ისკუპა და ბასრი კლანჭები ჩაასო თავის მსხვერპლს... 1989 წელს მისმა სიძემ აჯუბეიმ მისდა უნებლიედ აღიარა თავისი სიმამრის პოლიტიკური ინტრიგები:

**„დაამარცხა რა ბერია, ხრუშჩოვი სწრაფად გაიჭრა წინ... ხრუშჩოვი გარეგნულადაც კი შეიცვალა, უფრო თავდაჯერებული და დინამიური გახდა... უფრო თავხედურად იქცეოდა მისი დაცვაც კი...“**

ხრუშჩოვის ინიციატივის ვუალირება ბერიას განადგურების საქმეში იმ ხალხის ცხოვრებისეულ ამოცანას წარმოადგენს, რომელთაც ხელს არ აძლევს ისტორიული სურათის აღდგენა. მაგალითად, 1998 წელს ჟურნალ **„ახალი და უახლესი ისტორიის“** მეხუთე ნომერში მკითხველისათვის უკვე ნაცნობი ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სარეაბილიტაციო კომისიის პასუხისმგებელი მდივანი **ვლადიმერ ნაუმოვი** წერდა:

**„როგორც 1953 წლის ცეკას ივლისის პლენუმზე გიორგი მალენკოვმა აღიარა, საკითხი, თუ რა უნდა ეღონათ ბერიას მიმართ, დაისვა ჯერ კიდევ 12 ივნისს, მორიგ სხდომაზე მისი მოხსენებითი ბარათის განხილვის შემდეგ, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გახლდათ მომზადებული და შემდეგ სკკპ ცეკას პრეზიდიუმის დადგენილების საფუძვლად იქცა. პრეზიდიუმის წევრებთან სეპარატული მოლაპარაკებები კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა. მოლაპარაკებათა ორგანიზატორები მალენკოვი და ხრუშჩოვი იყვნენ... 26 ივნისს, ბერიას გარდა, ყველამ იცოდა მომავალი სხდომის დღის წესრიგის თაობაზე. ფაქტიურად ეს გახლდათ ცეკას პრეზიდიუმის შეთქმულება მისი ერთ-ერთი წევრის წინააღმდეგ. სახეზე იყო შეთქმულების ყველა ელემენტი: მკაცრი კონსპირაცია, ბრალდებათა ნუსხის საიდუმლოდ მომზადება, წინასწარი სცენარის შემუშავება, როლების განაწილება, მოვლენის მონაწილეთა კულისებსმიღმა მოლაპარაკებები, გენერლებისა და ოფიცრების ჯგუფის ჩამოყალიბება, რომელთაც ევალებოდათ ბერიას დაპატიმრება...“**

პროფესორ ნაუმოვს ძალიან დიდი სურვილი აქვს, რომ 1953 წლის 26 ივნისის მოვლენა კოლექტიური შეთქმულების პროდუქტად გაასაღოს, თუმცა კოლექტიური იქ გახლდათ მხოლოდ ცეკას პრეზიდიუმის წევრების მხარდაჭერა მთავარი შეთქმულის ნიკიტა ხრუშჩოვისადმი.

არ ვიცი რა **„აღიარა 1953 წლის ივლისის პლენუმზე მალენკოვმა“**, მაგრამ 1999 წელს გამოცემულ დოკუმენტთა კრებულში **„ლავრენტი ბერია. 1953“**, სადაც დაბეჭდილია მალენკოვის მოხსენება, ნაუმოვის მიერ აღწერილ ფაქტს ვერსად იპოვნით! და რაც ყველაზე უფრო თვალშისაცემია, თვით ნაუმოვი გახლავთ ამ კრებულის ერთ-ერთი შემდგენელი. კრებულის 401-ე გვერდზე კი შავით თეთრზე სწერია, რომ ფაქტების გაყალბება დაიწყო 1953 წლის ივლისის პლენუმის დამთავრებისთანავე. სხვათა შორის, პლენუმის პირველ სტენოგრამაში საერთოდ არ ფიგურირებს მალენკოვის მოხსენება – იგი მოყვანილია მხოლოდ ანგარიშის იმ ოფიციალურ სტენოგრამაში, რომელსაც ყალბად აცხადებს თავად ნაუმოვი.

მართლაც ამოუხსნელია, უფალო, შენი გზები!

ამასთან, ნაუმოვი აღნიშნულ სტატიაში ამასაც წერს: **„ცეკას პრეზიდიუმის ამ სხდომის (სადაც დააპატიმრეს ბერია – ს.კ.) თაობაზე მრავალი ვერსია არსებობს, რომელიც ეყრდნობა არა ფაქტებს, არამედ მოსაზრებებს. მაგრამ არის ორი უეჭველი მტკიცებულება...“**

რა არის ეს მტკიცებულებები?

აი, როგორი არიან ისინი: **„ერთ-ერთი მათგანი ეკუთვნის ნიკიტა ხრუშჩოვს... არის ასევე მოსკოვის სამხედრო ოლქის გენერლებისა და ოფიცერთა ჩვენებები, რომლებიც ბულგანინმა და ხრუშჩოვმა გაამწესეს ბერიას დასაპატიმრებლად...“**

ხრუშჩოვის მიერ მოწოდებული მონაცემები კი, რომელმაც ომის პირველ დღეებში სტალინი აგარაკზე გააგზავნა სალოთაოდ, სარწმუნო იქნება მათთვის, ვისაც ეს ძალიან უნდა, ან, ვისაც ხელს აძლევს.

რაღა გენერლები და ოფიცრები და მათი სიცრუე, რომელსაც ასევე ადასტურებს ისეთი ანტიბერიელი, როგორიცაა ვ. კარპოვი. უნდა აღვნიშნოთ, რომ კარპოვი და ჟუკოვი ცეკას პრეზიდიუმის სხდომის დარბაზში მივიდნენ ბერიას დაპატიმრების მომენტისათვის და, ბუნებრივია, რომ მათ სხდომამდელი მოვლენებისა და სხდომის მიმდინარეობის თაობაზე არაფერი ეცოდინებოდათ. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნაუმოვის მტკიცებულება მალენკოვის აღიარების, მის მიერ როლების განაწილებისა და სამხედრო ჯგუფების ფორმირებების თაობაზე მხოლოდ ლიტერატურული პასაჟია და სხვა არაფერი.

ერთადერთი, რაც ეჭვმიუტანელია, გახლავთ ის, რომ კოლეგების გულისწყრომა ბერიას მიმართ თანდათან ძლიერდებოდა და მთელი მათი ბოღმა გადმოინთხა ივლისის პლენუმზე.

აი, მაგალითად, ვოროშილოვის გამოსვლის სტენოგრამა:

**„ვოროშილოვი: იგი განსაკუთრებით გათავხედდა ამხანაგ სტალინის სიკვდილის შემდეგ... იგი ყველაფერში მუდამ პირველია, იგი სულ რაღაცეებს გვთავაზობს, მან ყველაფერი იცის, იგი ყველას ბრძანებებს აძლევს. განა ასე არ იყო, ამხანაგებო? (მიმართავს პრეზიდიუმის წევრებს).**

**ხმები პრეზიდიუმიდან: დიახ, ნამდვილად ასეა“.**

ან ხრუშჩოვი, რომელმაც მიქოიანის გამოსვლის დროს რეპლიკა ისროლა:

**„ხრუშჩოვი: შეიძლება შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ ჩვენ... ვისხედით და ვკანკალებდით მის წინაშე. იყო შემთხვევები, როცა კბილებშიც კარგად მიგვიცხია მისთვის და გადაწყვეტილებებსაც ვიღებდით. თორემ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენ ვისხედით და თვალებში შევციცინებდით მას...“**

აშკარაა, რომ მათ ხელს არ აძლევდა ვიღაცის უპირატესობა, თუნდაც იგი არ იყო ხაზგასმით გამოკვეთილი. სწორედ ამან შეკრა მთელი პრეზიდიუმი ბერიას წინააღმდეგ. და ძნელი დასამტკიცებელია, რომ მთელ ამ ხროვას გაუსწორდებოდა თვით სტალინიც კი – რა თქმა უნდა, ბერიას გარეშე.

პროფესორი ნაუმოვი ცდილობს ბერიას ანტისტალინიზმი მიაწეროს იმის საფუძველზე, რომ ბერიას ჩანაწერები, რომლებიც მოიცავდნენ **„ნაციონალურ“** საკითხებსაც, თითქოსდა **„ამხელდნენ სტალინს ამ სფეროში გამეფებულ განუკითხაობაში“**. რამდენიმე გვერდის შემდეგ კი ნაუმოვს ყველაფერი ეს ავიწყდება და ბერიას უწოდებს სტალინის **„ოპრიჩნიკს“** (ბრმად მხარდამჭერთა რაზმი, რომელიც მეფე ივანე მრისხანემ ჩამოაყალიბა საკუთარი ხალხის დასაშინებლად), **„რომლის რეაბილიტაციაზე საუბარიც კი არ შეიძლება“.** არა, ბერია სტალინის მოწაფე იყო, და, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, იგი ბევრ რამეში უსწრებდა თავის მასწავლებებს, რადგან მისი მოწოდება მუდმივი წინსვლა გახლდათ. ნაციონალური საკითხის გათახსირებაში კი დამნაშავეები იყვნენ არა იოსებ სტალინი, არამედ ადგილობრივი ხელმძღვანელები – ხრუშჩოვი, მალენკოვი, კირიჩენკოსთან, პონომარენკოსთან, პატოლიჩევთან, სნეჩკუსთან და გედვილასთან ერთად. თუ საქმე სტალინში იყო, მაშინ, მისი გარდაცვალების შემდეგ რატომ დააყენეს ეს საკითხი რესპუბლიკებმა და არა ბერიამ?

ვინმეს შეუძლია გააპროტესტოს ჩემი სიტყვები: **„რატომ არ გამოვიდა ბერია თავისი ინიციატივით სტალინის სიცოცხლეში, თუ სტალინი აქ არაფერ შუაში იყო?“.** საქმეც იმაშია, რომ 1952 წელს სტალინის ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობდა მისი გარემოცვა. და ამ გარემოცვას შეეძლო სერიოზული დარტყმა მიეყენებინა ნებისმიერი ინიციატორისატვის, საკუთარი ტყავის გადასარჩენად. არა ინტრიგის, არამედ კოლექტიური ოსტრაკიზმის გზით, რაც გაკეთდა კიდეც მოგვიანებით.

მეორე მხრივ კი, ვინ იცის? შეიძლება ბერიას მიერ შემოთავაზებული წინადადებები იქცა კიდეც იმ იდუმალებით მოსილი **„დიდი სამეულის“** შეშფოთების მიზეზად, რომლის **„დიდ გზაზე“** გაგზავნა ვერ მაინც მოასწრო სტალინმა.

დიახ, ბერია სტალინის გარეშეც დისკომფორტული ფიგურა გახლდათ კოლეგებისათვის. მაგრამ ლავრენტის დაპატიმრებისა და თავიდან მოშორების გეგმის შედგენა და განხორციელება არ შეეძლო თვით ძლიერ ვიაჩესლავ მოლოტოვსაც კი.

პირწავარდნილი მითია ის, რომ თითქოს მალენკოვი და ბერია დაპირისპირებულები იყვნენ და ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. რას ნიშნავს **„ეჯიბრებოდნენ“**? ეს ნიშნავს, რომ მეტოქეებმა რაღაცაში ერთმანეთს გაასწრონ. მაგრამ ბერია, როგორც სახელმწიფო მოღვაწე, მთელი თავით მაღლა იდგა მალენკოვზე და მალენკოვთან შეჯიბრება მას სულაც არ სჭირდებოდა. ასე რომ, შეჯიბრებაზე საუბარი აქ უადგილოა, თუმცა არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ მალენკოვი, ასე თუ ისე, შურის თვალით უცქერდა ბერიას. მაგრამ შური ყოველთვის არ შობს სიძულვილს – შურიდან სიძულვილამდე დიდი გზაა.

სხვათა შორის არც სუდოპლატოვის ის მტკიცებებია ჭეშმარიტი, რომ თითქოს მალენკოვი და ბერია დიდად ენდობოდნენ ერთმანეთს. ან გადაღრძუებულმა გენერალმა, ან პოლიტკორექტორებმა ვერ დააფიქსირეს ამგვარი მტკიცებულობის აბსურდულობა – ლავრენტი პავლეს ძე და გიორგი მაქსიმილიანეს ძე ერთმანეთის მიმართ ნდობით რომ ყოფილიყვნენ გამსჭვალულები, მაშინ ბერიას ვერავინ დააპატიმრებდა! გამორიცხული არ არის, რომ ისინი, სხვებთან შედარებით ახლოს იდგნენ ერთმანეთთან და სწორედ ამიტომ ასკვნიდა მალენკოვი, რომ საქმეში ბერია მასზე ბევრად ძლიერი იყო.

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# მხარს ვუჭერთ საინიციატივო ჯგუფს ჯაბა იოსელიანის პანთეონიდან გადასაფლავების შესახებ

ამას წინათ სხვადასხვა წყაროების საშუალებით გაიჟღერა ინფორმაციამ ჯაბა იოსელიანის საფლავის შეურაცხყოფის შესახებ. გულისწყრომა იყო გამოთქმული იმაზე, რომ ვიღაცას საფლავის მიწა მოეჩიჩქნა და ზედ საშინელი სურათები დაეწყო.

მიმდინარე წლის 21-22 იანვარს, გაზეთ **„ახალი თაობის"** მე-17 ნომერში, საინიციატივო ჯგუფის მიერ გამოქვეყნდა წერილი ჯაბა იოსელიანის პანთეონიდან გადასაფლავების შესახებ. 7 თებერვალს კი გაზეთ **"ილორში"** გამოქვეყნდა იგივე შინაარსის წერილი ხელმოწერებით.

ჩვენ, აფხაზეთიდან დევნილი მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები, რომლებიც 90 წელს ვართ მიღწეულნი, და ცოცხალი მოწმენი გახლავართ მხედრიონელთა ყაჩაღურ მოქმედებებზე სამეგრელოსა და აფხაზეთში, მხარს ვუჭერთ სოციალურ ქსელ **„Facebook"**-ში შექმნილ საინიციატივო ჯგუფს **„გადავასვენოთ ჯაბა იოსელიანი პანთეონიდან"**.

ჩვენი დიდი გაღიზიანება გამოიწვია არა მარტო ჯაბას დაბინავებამ საპატიო ადამიანების გვერდით, არამედ ზოგიერთი მხედრიონელისა და კერძოდ მხედრიონელთა შეფის ყოფილი დაცვის უფროსის თამაზ ფანჩულიძის ინტერვიუებმა, რომელიც სისტემატურად იბეჭდებოდა 2010 წლის სექტემბერ-დეკემბრის გაზეთ **„ახალ თაობაში"**.

აქამდე ვდუმდით და საკადრის პასუხს არ ვცემდითით, მაგრამ, რადგან არ ჩერდებიან, აუცილებლკად მიგვაჩნია მხედრიონელთა **„გმირს"** შევახსენოთ ზოგიერთი რამ საკუთარი ინტერვიუდან:

**„სამეგრელოში ჩვენ კი არა წალენჯიხელები დაგვესხნენ თავსო"**. ზუგდიდში, ანაკლიაში, დარჩელში, სენაკში, ზანაში ვინღა დაგესხათ თავს? დარჩელში ჯერ ყველაფერი დაიტაცეთ, შემდეგ კი 30 სახლკარი გადაბუგეთ. თქვენი დაქალი დოდო გუგეშაშვილი არ იყო, რომ იძლეოდა ბრძანებებს: **„დააყაჩაღეთ! დატვირთეთ! ცეცხლი წაუკიდეთ! დახოცეთ!"**

სოფელ ზანაში ავტომატით ჩაცხრილეთ 52 წლის ჯუმბერ ჯალაღონია. სოფლის გამგებელს უბრძანეთ მისი დასაფლავება, თქვენ კი ღორები და მსხვილფეხა საქონლები დახოცეთ, სასაფლაოზე ცეცხლი დაანთეთ, მწვადები შეწვით და იქეიფეთ. სახლებიდან ყველაფერი გაზიდეთ, ყანწიც კი ვიღაც ყანწიაშვილმა წაიღო. ყველაფერს იტაცებდით – ქალის საცვლებიდან დაწყებული და ბავშვების ფეხსაცმლით დამთავრებული. ერთ-ერთ სოფელში ჩეჩმა შორს მოგეჩვენათ და თქვენი **„მებრძოლები"** სასმელი წყლის ჭაში, საჭმლის ქვაბებში შარდავდნენ, საძინებელ ოთახებს ტუალეტად იყენებდნენ და ფეხებს თეთრეულით იწმენდნენ. ნუთუ ესენი ქართველები იყვნენ?!

აფხაზეთში რომ შემოხვედით, ნეტავი არ მენახა ასეთი ქართველები, რომელთა მსგავს პერსონებს მხოლოდ საშინელებათა ფილმებში თუ იხილავდით. აწეწილ-დაწეწილები, ნარკოტიკებისაგან თვალებამღვრეულები, ყველა ერთნაირნი. ბეტეერებით დადიოდით ლუდის დასალევად. შინაურ ცხოველებზე ვარჯიშობდით ავტომატიდან სროლაში.

ამბობთ, რომ ყაჩაღობის ფაქტი სულ 9 დაფიქსირდაო. ეს, ალბათ, ერთ ქუჩაზე!

ჩვენ, ხანდაზმულები, ღამე ვმორიგეობდით და თქვენისთანა ქართველებისგან ვიცავდით ჩვენს სახლ-კარს.

თქვენ გიკვირთ, ზვიად გამსახურდიამ საიდან იშოვა ამდენი იარაღიო? თქვენ, არარეგისტრირებულმა და არაფორმირებულებმა როგორ და საიდან იშოვეთ 5 მილიონის ღირებულების იარაღი? რომელიც შემდეგ მოწინააღმდეგეს უბრძოლველად ჩააბარეთ?

ფანჩულიძის თქმით სოხუმის ფუნიკულიორი ორმა ქართველმა დაგვაკარგვინა, თორემ სოხუმი არ დაეცემოდაო?

აბა ერთი დაასახელეთ რომელი შეტევა მოიგეთ?

ტამიშის შეტევა რომ წააგეთ, თქვენმა შეფმა თქვა: **„იქ იბრძოდა ზუგდიდელები, გალელები და კიდევ ვიღაც ვიღაცეები"**. ის კი არ თქვა, რომ იქ იბრძოდნენ მხედრიონელები **„სამურზაყანოს"** სახელწოდებით. ხოლო სოფ. შრომის შეტევა რომ წააგეთ, ამბობთ – მოსახლეობამ შეგვიშალა ხელიო. ფანჩულიძეც იგივეს იმეორებს, ფუნიკულიორთან დაკავშირებით. გეკითხებით, რატომ ჩააბარეთ სოხუმის სადგური, იქ ვინ შეგიშალათ ხელი? ამბობთ, ასეთი ძლიერები ვიყავით და არ გვაფასებდნენო. ქაქუცა ჩოლოყაშვილს ადარებთ თავს და გმირობის წოდებას ითხოვთ!

მოწინააღმდეგეთა შეტევებს უფრო მეტად ადგილობრივი პოლიცია და მოხალისეები იგერიებდნენ და არა თქვენ.

ფანჩულიძის თქმით – იოსელიანმა საქართველო შუაზე გახლეჩას გადაარჩინაო. თქვენ რომ გახლიჩეთ საქართველო ამაზე მეტს ვიღა გახლეჩდა? დუტუ მეგრელის ლექსიც გადააკეთეთ და ერთხმად მღეროდით **„ყველა ჩემი სამშობლოა, სამეგრელოს გარდა"**.

არამარტო თქვენ, არამედ ცნობილმა ისტორიკოსებმაც აგიბეს მხარი და წერდნენ: **„მეგრელებმა აიკიდეს გუდა-ნაბადი და აფხაზეთიდან გამოიქცნენო. თითო ქვა რომ ესროლათ აფხაზებისათვის, ომს მოიგებდნენო. იქ იბრძოდნენ გორელები, კასპელები, კახელები და თბილისელებიო"**. გეკითხებით, ამ მებრძოლებმა რატომ ვერ მოიგეს ომი 2008 წელს, ზოგი რომ უკანმოუხედავად გამორბოდა ცხინვალიდან, ზოგი კი (თუნდაც მათი **„მხედართმთავარი"** სააკაშვილი) გორში ცხვირით ხნავდა მიწას?

იცის თუ არა ფანჩულიძემ, რომ სამეგრელო იმ ავადმოსაგონარი აწიოკებისა და გაჩანაგების შემდეგ არ ამღერებულა. დღესაც გლოვობს იმ დამცირებას, რომელიც მხედრიონელებმა მიაყენეს.

ჯაბას საფლავთან შეკრებილებიდან ერთერთმა წარმოსთქვა: **„ამას ქრისტიანი გააკეთებდა"**-ო. თქვენ რა გააკეთეთ ქრისტიანული?

**„აბა, ერთი მითხარით**
**საქმე მირონცხებული,**
**მეგრელების გარდა ვინმე**
**თუ გყავთ დამარცხებული?„**

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტებიდან გამომდინარე, მხარს ვუჭერთ საინიციატივო ჯგუფს ჯაბა იოსელიანის პანთეონიდან ამოთხრის და სხვაგან გადასვენების შესახებ.

რაც შეეხება ფანჩულიძეს და სხვა მისთანა **„გმირებს"**, ჩვენი რჩევა იქნება, ნუ აღიზიანებთ გამწარებულ ხალხს, ნუ შეახსენებთ თქვენს გვარებს, რადგან შეიძლება სამუდამოდ დაგწყევლონ ფანჩულიძეები, ყანწიაშვილები, ჯამილოკიაშვილები და სხვა მაროდიორები!

ვეტერანთა სახელით,

**მირიან ჯალაღონია,**

*აფხაზეთის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე, „ფაზისის" ეროვნული აკადემიის და მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას" ნამდვილი წევრი*

# ღია წერილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, ბატონ თამაზ გამყრელიძეს

ძალიან სამძიმოა, აღმაშფოთებელი და სამწუხაროა ის გაურკვევლობა-ბუნდოვანობა, უცოდინარობა თუ შეგნებულად სიმართლის მიჩქმალვა, როგორიცაა ქართველი ერის ისტორია, ერისათვის ქართველთა წარმომავლობის საწყისების არცოდნა. სამარცხვინოა ქართველური ენების: მეგრულ-ლაზურისა და სვანურის დიალექტებად გამოცხადება. და ეს მაშინ, როცა სახეზეა უძლიერესი ქართული ისტორიული სკოლა: ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი, პავლე ინგოროყვა, სიმონ ყაუხჩიშვილი, შოთა მესხია, გრიგოლ გიორგაძე, ექვთიმე თაყაიშვილი... ამავდროულად, ბურუსით მოცული ისტორიული წყვდიადის ნათელ კვალზე ცნობებს გვაწვდიან უცხოელი ისტორიკოსებიც.

გვყავდა ძლიერი ენათმეცნიერები: ალექსანდრე ცაგარელი, იოსებ ყიფშიძე, ნიკო მარი, მიხაკო წერეთელი, რისმაგ გორდეზიანი, გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა... ნუთუ ამ გენიოსთა პატრონებმა დღერმდე ვერ უნდა გავარკვიოთ ვინა ვართ, საიდან მოვდივართ, ვისი ჯიშისა და ჯილაგისანი ვართ?

სულმნათ ივანე ჯავახიშვილისა არ იყოს, დიდი ხანია დაგვიდგა ის დრო, **"რომ საქართველოს ისტორია მითებითა და ლეგენდებით არ იწყებოდეს"**, ან არადა, მართლა **"ქართლის ცხოვრების მიხედვით"** თარგამოსის უფროსი შვილის სომეხი ჰაოსის ნაშიერები ხომ არა ვართ? თუ გნებავთ – ქართლოსის, რომლის მიხედვით ადრე სომხური ენაც გვქონია და ვიღაც მაშთოცის მიერ შედგენილი ანბანიც. და ეს მაშინ, როცა საქმე პირიქითაა: ცნობილია, რომ მითრიდატე (იოანე) ლაზმა და პეტრე იბერმა 445 წელს დაასრულეს სომხური ანბანის შექმნა და ბიბლიაც უთარგმნიათ ბერძნულიდან სომხურად (**"აი ია"** №2 (14), 2010 წელი, კლიმენტი შელია).

უფრო ადრე, ძველი წელთაღრიცხვის მე-5 საუკუნეში **"ისტორიის მამა"** ჰეროდოტე კავკასიაში კოლხების გარდა (მას ეკუთვნის სიტყვები: **"კოლხებს ოდესღაც დამწერლობა ჰქონიათ"**) სხვა ხალხებს, განსაკუთრებით კი სომხებს, ვერ ხედავდა. კოლხების პრიმატს კავკასიაში ადასტურებენ აპოლონ როდოსელი, რომაელი მხედართმთავარი, გეოგრაფი, ასევე ისტორიკოსი სტრაბონი და სხვები. ზღაპრების მიხედვით კი, ადრე თურმე სომხური ენა გვქონია, კაციჭამიებიც ვყოფილვართ. ამას ამბობს ლეონტი მროველი და იმეორებს **"ქართლის ცხოვრების"** ყველა გამოცემა. ნუთუ არ არის დრო, შევეშვათ ამ **"ზაიათებს"**, როდემდე უნდა ვისმინოთ ეს სიბინძურე?

იქნებ გავეცნოთ პოეტ ვაჟა ეგრისელის **"იქმენ ნათელის"** და **"კოლხეთის ფსალმუნების"** ხუთტომეულს? იმ ავტორის ნაწარმოებებს რომელმაც შეაბიჯა ქართული ისტორიის შორეულ ლაბირინთებში. იქნებ გავეცნოთ აკადემიკოს კლიმენტი შელიას უკვდავ ნაშრომებს, რომელმაც ხანგრძლივი კვლევით დაადგინა, რომ ეგვიპტელ ფარაონთა წინაპრები კოლხები იყვნენ და რომ **"კაცობრიობის ისტორია კოლხეთით იწყება"**. აქვე არ შეიძლება არ დავასახელოთ ვლადიმერ ალფენიძის შრომები, ნუგზარ ერისთავის **"მზის შვილები"**, ვლადიმერ ჩუბინიძის **"სასწაული"** და ვლადიმერ ვახანიას **"კოლხურ-ქართული ეპოსი"**, **"ლაზარეს აღდგინება"** და სხვა.

გადაამოწმეთ ამ შემოქმედთა მიერ მოყვანილი არგუმენტები, დაუმატეთ თქვენი კომენტარები და გააცანით ქართველ ხალხს. ნუ დავუკარგავთ საქართველოს წარღვნის იქითა და წარღვნის აქეთა ათასწლეულების ისტორიას (იოკლი-პატე). გვეყო ბავშვების, ახალგაზრდების და მხცოვანების სიცრუით გამოკვებამოშხამვა.

სამწუხაროდ, არც ენათმეცნიერებაშია უკეთესი მდგომარეობა. დასადგენია, არსებობენ თუ არა ქართველური ენები – მეგრულ-ლაზური და სვანური. სამი ქართული ენის არსებობა სრულიადაც არ ნიშნავს სამი ერის არსებობას. ამის თაობაზე თქვენ არაერთგზის მოგმართათ **"ფაზისის"** აკადემიის ნამდვილმა წევრმა **კუკური ფიფიამ,** მაგრამ დუმილით პასუხობთ. რატომ?

ასევე გაცნობილი ვართ მამანტი და ცირა ძაძამიების და ვლადიმერ ვახანიას შვიდტომეულს – **"მეგრული ენის ლექსიკა და ენათწარმომავლობა"**. ცნობილია, რომ ლექსიკურ ენათა სიმრავლით – 600 ათასი სიტყვის მარაგით ინგლისი გინესის რეკორდების წიგნშია შეტანილი. მეგრული სიტყვის ლექსიკური მარაგი კი ლამის 10 მილიონზე მეტ სიტყვას მიითვლის. რატომ უნდა დაიკარგოს სამყაროს დასაბამიდან მომდინარე ეს ენა? იგივე ეხება სვანურსაც.

ყურადღება უნდა მივაქციოთ ე.წ. **"ფესტოსის დისკოს"** გაშიფვრას, რომელზეც ას წელზე მეტია მსოფლიოს სახელოვანი მეცნიერები თავს იმტვრევდნენ, მაგრამ ვერაფერი გაუგეს. იგი მხოლოდ ახალგაზრდა პროფესორმა გია კვაშილავამ გაშიფრა მეგრული ენის მოშველიებით. იგი გახლავთ მსოფლიოში პირველი ოქროდამწერლობა მიძღვნილი ქურუმებისა და ნანასადმი (დედისადმი). მსოფლიოს წამყვანმა აკადემიებმა საუკუნის მიღწევად ცნეს ეს მიგნება, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია კი დღემდე კრინტს არ ძრავს. რატომ?

ბატონმა შოთა ხვედელიძემ გაშიფრა ესპანელი მეცნიერის მიერ მადრიდიდან გამოგზავნილი **"იბერიის ტაბულა"**, რაზედაც რუსმა მეცნიერმა აღნიშნა, რომ ქართული დამწერლობის ასაკმა 3.200 წლით მოიმატაო. ეს მოხდა 1972-1975 წლებში. რატომ არ გაახმაურა აკადემიამ ეს ფაქტი?

ბატონო პრეზიდენტო, ამ ფაქტების მიჩუმათება აღარ შეიძლება!

**ალეკო თოდუა,**

**"ფაზისის"** აკადემიის ნამდვილი წევრი,

**ზუგდიდი**

# ხევსურის ბარათი მომავალ თაობას

ეჰეიი, მამულიშვილნო!

განა მართლა მოვკვდით და დავიხოცენით ჩვენ გარდავიცვალეთ! ზეციურ საქართველოში დავიდეთ სამარადისო ბინა და, ვაგლახ, რომ აქედამ ვუყურებთ ჩვენი სამშობლოს მთა-ბარის გაპარტახებას, თანამომძმეთა ყვავ-ყორნის სადილად და ტურამგელთა გასაყვლეფად გადაქცევას!



ავაჰმე! ვხედავ თქვენს ბეჩაობას ქართველო ვაჟებო და გული მიკვდება ნუთუ ომის ხალისი დაგლევიათ და დიაცთა საპატრონოდ გაგიხდიათ წინაპართა სისხლის გუბეებით მოფენილი მამული?

ვაი შენ, ჩემო თავო, რომ არ ძალმიძს ლიქოკის მთებიდან დავძრა ხევსურთ ბიჭები და ძალლიკა ხიმიკაურის ხმლის ელვარება გიჩვენოთ მტრების თავებზედ!

ვაი, რომ პატარა კახის ხმლის ავ საუბარს ვეღარ მოისმენთ!

ძმებო! იქნებ ზეციდან ქართლის ლომის დაძახებას ელოდებით და ეს ლოდინი ჩვენი მთების მოლოდინივით უსაზღვროა?

ვაგლახ! ლომი სალაშქროდ აღარ მიგიძღვით... უჯიშოთა ხროვას კი სოდომ-გომორის გზით უსახელო დაღუპვისაკენ მიჰყავხართ!

იქნებ ცოტანიღა დავრჩით ჭრილობაშესხნილო შავჩოხიანო ვაჟკაცებო?.. გამაგრდით, თვალებში ჩახედეთ რეალობას, მტრის სიმრავლე და სივერაგე ჩვენ ხომ არასოდეს გვაშინებდა!

ზეციურ საქართველოდან გლოცავთ და გაუწყებთ: ლიხის ქედს იქიდან მოვა კაცი და სულმდაბალთა მიერ მამლუქებად გაყიდულს გამოისყიდის, ძია სემის მსახურებად გადახვეწილ ქართველ ქალებს სამშობლოს დაუბრუნებს! საქართველოს ლიბომოთხრილ სიძლიერეს, ქართულ სოფელსა და გლეხკაცობას ააღორძინებს, ხალხს ღიმილს დაუბრუნებს!

მაშ, იდექით მედგრად! დაე, დღე და ღამ ყურთ ჩაგესმოდეთ და სულს გიშფოთებდეთ ჟღრიალი ოჟა ჯურხაის ფარისა!

**თენგიზ კუბლაშვილი**

# საააკაშვილის პოლიტიკური ფიასკო

ქართული პოლიტიკიდან მიხეილ სააკაშვილი (წლევამდელი ზამთარივით) საკუთარი ნებით წასვლას,რომ არ აპირებს, ეს კიდევ ერთხელ ნათელი გახდა პარლამენტში მისი ბოლო გამოსვლისას გაკეთებული განცხადების შემდეგ: **„როგორც ნაციონალური მოძრაობის ლიდერი ყველაფერს გავაკეთებ, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ ამ არჩევნებში გაიმარჯვოს“.** ამით მან გააქარწყლა **„სამართლიან არჩევნებთან“** დაკავშირებული ყველა ის ილუზია რომელიც თუნდაც მცირე დოზით, მაგრამ მაინც, რომ არსებობდა საზოგადოებაში. დღეს უკვე აშკარაა, რომ მას უფრო მეტი ძალაუფლება სწყურია ვიდრე აქამდე მოუპოვებია და კიდევ უფრო მეტად მოსწყურდება მისი დაკარგვის საფრთხე რეალური რომ გახდება. მიუხედავად ამისა, მიშამ მშვენივრად იცის რომ ის წარმავალი პოლიტიკოსია, რომელიც ელექტოლარულ მხარდაჭერას დღითიდღე კარგავს და მალე ქართულ პოლიტიკურ რეალობაში არა მარტო საზოგადოებისთვის, არამედ საკუთარი გუნდისთვისაც ხორცმეტად იქცევა. ეს ყველა დიქტატორის ხვედრია. ამიტომაც ცდილობენ დიქტატორები ჩაიკეტონ გარემოცვის ვიწრო წრეში და საზოგადოებას ტოტალურ ტერორში ამყოფებენ. სააკაშვილიც ამ გზას ადგას. ის ყველა საშუალებას გამოიყენებს შეინარჩუნოს ძალაუფლება და არ დაკარგოს გავლენა და პატივისცემა უპირველეს ყოვლისა საკუთარ გუნდში,წინააღმდეგ შემთხვევაში მას ისე გაწირავენ, როგორც **„ტოტია მგელს“**.

სააკაშვილი ერთი ჩვეულებრივი ბობოქარი მბრძანებელია, რომელსაც ძალიან გაუტკბა ძალაუფლების სათავეში ყოფნა. ის ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან ქართულ პოლიტიკურ სცენაზე საუკეთესო მსახიობის ადგილის დაკავებას ცდილობს. თუმცა მის მიერ დადგმული **„ერთი მსახიობის თეატრი“** სადაც დეკორაცია **„დასავლური ღირებულებებია“**, ხოლო სასცენო განათება– **„დემოკრატია“**, წარუმატებელი გამოდგა და სპექტაკლი სამარცხვინოდ ჩავარდა. მიზეზი ის არის რომ მთავარი **„გმირი“** უნიჭო მსახიობია,რომელიც როლს ვერ ირგებს ან პერსონაჟისთვის შეუფერებელი ტიპაჟია. ამიტომ მაყურებლის მოწონებას არ იმსახურებს. მაგრამ ის სულაც არ ცდილობს დაასრულოს **„კარიერა“** და სცენას ჩამოშორდეს, ვინაიდან ძალაუფლების ტახტრევანი მის ხელთაა. ის მარტივი პრინციპით მოქმედებს: გინდათ იცოცხლოთ მაშინ დაემორჩილეთ და ტაში დაუკარით,თუ არადა კრიტიკოსთა და მეამბოხეთა ადგილი მის გვერდით არ არის. ამ უკანასკნელთ კი ციხეში ან საიქიოში ამწესებს.

**„ციტატა შეხსენება**

**...ქართველებს ძალუძთ ნებისმიერი უბედურების გადატანა, სირთულეების გადალახვა. ძნელი, ტრაგიკული ისტორიის გამო ამის უნარი გენეტიკურ დონეზეც კი ჩამოყალიბდა, მაგრამ ამასთანავე ქართველებს სურთ იცოდნენ, თუ რამდენ ხანს გასტანს ეს რთული პერიოდი და რას აკეთებს ხელისუფლება მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. თუ ხელისუფლება რაიმე მიღწევას, უკეთესობას ჰპირდება ხალხს, მან არ უნდა მოიტყუოს... ჩვენს ხალხს სურს იცოდეს, რომ ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა ყველაზე ვრცელდება და არა მხოლოდ რიგით მოქალაქეზე. არ შეიძლება იყოს საერთო სახალხო მოთმინება, სირთულეების გადალახვის საყოველთაო მზადყოფნა მაშინ, როცა ჩინოვნიკებისა და კრიმინალური ბიზნესმენების კასტა ხალხის გაძარცვის, მექრთამეობისა და უკანონო საფინანსო ოპერაციების მეშვეობით ეროვნული სიმდიდრის უმეტეს ნაწილს ითვისებს, საკუთარ ხალხს კი მშიერს ტოვებს...**

**ალექსანდრე ჭაჭია,**

1998 წლის სექტემბერი“

## ყოჩაღ, ჯონდი!

მსოფლიო პარლამენტარიზმის ისტორიაში, ალბათ არც მოიძებნება ისეთი ფაქტი,როგორიც 28 თებერვალს საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში მოხდა, როცა ერთი რიგითი და არც თუ ისე პოპულარული ოპოზიციონერი დეპუტატის მწვავე გამოსვლის მოსმენის დროს პარლამენტში სტუმრად მყოფ პრეზიდენტს ნერვებმა უმტყუნა და საქმე იქამდე მივიდა, ჯერ დეპუტატს ცემით დაემუქრა, ხოლო შემდეგ სხდომათა დარბაზიდან თავქუდმოგლეჯილი გაიქცა.

**„ფაქტების წინაშე ყველა უძლურია“...** დარწმუნებული ვარ ნებისმიერ ადამიანს გაუჩნდებოდა ეს აზრი, ვინც პირდაპირ ეთერში ადევნებდა თვალს ამ **„სანახაობას“**. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ჯონდი ბაღათურიამ სააკაშვილს კორუფციაში დასდო ბრალი და ცხვირწინ აუფრიალა მისი ოჯახის წევრების უკანონო ბიზნესის დამამტკიცებელი უტყუარი დოკუმენტები. **„დღეს თქვენ ხართ ერთ –ერთი უმდიდრესი ადამიანი საქართველოში. თქვენ ფლობთ და აკონტროლებთ ნავთობის და ოქროს საბადოებს, საქართველოს თითქმის ყველა წიაღისეულ სიმდიდრეებს. მთლიანად აკონტროლებთ საწვავისა და სარეკლამო ბიზნესს,ფლობთ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს,რომელიც თქვენს თანაკლასელზე გაქვთ გაფორმებული... მიმდინარეობს მონოპოლიზაცია ბიზნესის,უმაღლესი განათლების სფეროში და იქმნება ორი მონოპოლიური გაერთიანება ერთი კახა ბენდუქიძის და ერთი დედათქვენის ხელმძღვანელობით. საქართველოს ახალგაზრდობამ უნდა იცოდეს, რომ მაღალი ფასებით უმაღლეს სასწავლებლებში პირადად თქვენ მდიდრდებით. თქვენი და თქვენი ოჯახის სწრაფი გამდიდრების პირდაპირ პროპორციულად ასევე სწრაფად გაღატაკდა სახელმწიფო და ხალხი. თქვენი მამა არის საქართველოს ყველა ბალნეოლოგიური კურორტის მფლობელი, ხოლო დედა ფლობს უმსხვილეს ბიზნესებს უმაღლესი განათლების სფეროში, მათ შორის მისი საკუთრებაა: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კუთვნილი 15 827 კვ.მ ფართი, შპს „საუნივერსიტეტო ავეჯი“, მასვე ეკუთვნის საქართველოს ,პოლიტექნიკური ინსტიტუტის მე-3 კორპუსის მე-2 სართულზე განლაგებული უზარმაზარი კაფე „ხადილი“, „ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის“ 14 პროცენტიანი წილი, „შავი ზღვის უნივერსიტეტი“, რომელსაც პრეზიდენტის განკარგულებით პირდაპირი განკარგვის წესით გადაეცა სახელმწიფოს კუთვნილი 101 221 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო მიწა (განკარგულება №127; 22.03.2007წ) და სხვა“ –** საპარლამენტო ტრიბუნიდან განაცხადა **ჯონდი ბაღათურიამ.**

ეს არასასიამოვნო მოულოდნელობა იყო სააკაშვილისთვის, რომელსაც ჩაფიქრებული ჰქონდა, რომ პარლამენტში მორჩილი უმრავლესობის ტაშის გრიალის თანხლებით გამოსვლა მას ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენის შემდეგ კატასტროფულად დაცემული რეიტინგის აწევაში დაეხმარებოდა და მისი დემაგოგიური ხელოვნების წყალობით საზოგადოების თვალში კვლავ უალტერნატივო ლიდერად გამოჩნდებოდა. მაგრამ ფაქტის წინაშე უძლური აღმოჩნდა – გამარჯვებისთვის დადგმული სპექტაკლი მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკურ ფიასკოდ გადაიქცა.

მართლაც რომ შთამბეჭდავი და თამამი გამოსვლა გამოუვიდა ბაღათურიას. **„მეფე შიშველია“!..** უკვე დამთავრდა ის დრო და პოლიტიკური ფუფუნება რომელსაც წლების მანძილზე მიეჩვია სააკაშვილი, როცა ე.წ. ოპოზიციის ლიდერების გამოსვლის ტექსტის შინაარსი ხელისუფლებასთან წინასწარ იყო შეთანხმებული და რაიმე სახის არასასიამოვნო სიურპრიზი პრაქტიკულად გამორიცხული იყო. მაშინ თვითონ საუბრობდა სხვის დანაშაულებებზე, ხოლო მის მიერ ჩადენილი უკანონობის მამხილებელი დარბაზში არავინ იყო ხოლმე. ახლა კი მიხეილ სააკაშვილი მიხვდა, რომ ჯონდი ბაღათურიას ამ ბრალდებების დასაბუთებული უარყოფა გაუჭირდებოდა და შეურაცხყოფაზე და მუქარაზე გადავიდა. შეიძლება ითქვას რომ სააკაშვილმა ლამის პარლამენტშივე გასცა დეპუტატის საკანონმდებლო ორგანოდან ძალით გაყვანის და **„ცემის“** ბრძანება: **„ტალახში გორაობა არის თქვენი ბუნებრივი მდგომარეობა, მე აქედან გთხოვთ, მანდატურები წაგყვებიან, გავამზადებინებ კარგ აბაზანას, ჩაგაწვენენ ბოლომდე ტალახში, ოღონდ ნამდვილად ხარისხიანში და კარგად დაგზილავენ, როგორც საჭიროა, და გაგივლის ფანტაზია თავიდან ბოლომდე“ –** თქვა სააკაშვილმა და ნირწამხდარი კენგურუს ნახტომით გავარდა გარეთ, ხოლო მთელი ნაც-დეპუტაცია ობოლი ბავშვებივით დატოვა სხდომათა დარბაზში, რომელთა უმწეო თვალებიდან შეგეძლო ამოგეკითხა – **„დაბრუნდი მიშა“.** მაგრამ მიხეილ სააკაშვილმა **„ბრძოლის ველი“** ისევ დატოვა. მიუხედავად იმისა რომ რამდენიმე წუთში უკან მობრუნდა (როგორც **„ბოროტი ენები“** ამბობენ **„დამამშვიდებლის“** მიღების შემდეგ და იმის შიშით, რომ დარბაზში ამერიკის ელჩი ჯონ ბასი იჯდა) ეს რეალობას მაინც არ ცვლის. თანაც რბილად რომ ვთქვათ ცოტა უხერხულია **„ტალახში გორაობა არის თქვენი ბუნებრივი მდგომარეობაო“** საუბრობდეს ის ადამიანი, რომელიც 2008 წლის ავადსახსენებელი აგვისტოს ომის დროს რუსული თვითმფრინავის გადაფრენისას გორის ცენტრში შიშისაგან აკანკალებული მიწაზე რომ ფორთხავდა.

## „ბარბაროსებისთვის“ გახსნილი კარები

ბოლო დღეების განმავლობაში სააკაშვილის მიერ რუსეთის მიმართულებით გაკეთებული რევერანსები ბევრ კითხვის ნიშანს ტოვებს და ბუნებრივად ჩნდება მოსაზრება, რომ სააკაშვილმა პოლიტიკურმა ორიენტაცია **„დასავლეთიდან“ „ჩრდილოეთისკენ“** შეცვალა, რითაც საქართველოს კვლავ რუსული ორბიტაზე დაბრუნებას ცდილობს. ამ მოსაზრებას ამყარებს მისი მოულოდნელი გადაწყვეტილება რუსეთთან, როგორც ოკუპანტ სახელმწიფოსთან სავიზო რეჟიმის ყოველგვარი ანალიზისა და საზოგადოებრივი განსჯის გარეშე, ცალმხრივად გააუქმების შესახებ. მისი თქმით: **„ჩვენ, იმის გამო, რომ დარწმუნებული ვართ, რომ ვაკონტროლებთ ჩვენს ტერიტორიას და გვაქვს უსაფრთხოების კარგი სისტემა, იმის გამო, რომ ვიცით, რომ ჩვენი პოლიცია არ არის კორუმპირებული და ჩვენი კონტრდაზვერვა არის ეფექტური, ამის გამო არ გვეშინია იმ რუსი ტურისტების ნაკადის შემოსვლის. ამავე დროს, ჩვენ ვიცით, რომ ტურისტი თავისთავად საშიში არ არის“.** მის ამ გადაწყვეტილებას მაშინათვე გამოეხმაურა რუსეთის საგარეო უწყების წარმომადგენელი ლუკაშევიჩი: **„ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ჩვენ ვიყავით და კვლავაც ვართ დაინტერესებული რუს და ქართველ ხალხებს შორის ურთიერთობების განმტკიცებით. მზად ვართ გავაუქმოთ სავიზო რეჟიმი საქართველოს მოქალაქეებისთვის. ამისთვის აუცილებელია, რომ ქართულმა მხარემ უზრუნველყოს მყარი სამართლებრივი პირობები, რომელიც უზრუნველყოფდა რუსეთის იმ მოქალაქეების უსაფრთხოებას, რომლებიც საქართველოს ეწვევიან“.** ხელის შემშლელ ფაქტორად რუსული მხარე **„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“** კანონს ასახელებს, რომლის თანახმადაც, რუსეთის მოქალაქეების გარკვეული ნაწილი საქართველოში ჩასვლისთანავე სისხლისსამართლებრივ დევნას დაექვემდებარება. ეს ეხება რუსეთის იმ მოქალაქეებს ვინც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ სტუმრობდა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ რეგიონებს. აღნიშნული კანონის თანახმად კი ეს ადამიანები დამნაშავედ ითვლებიან და 2-დან 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ან ჯარიმის გადახდა ემუქრებათ. სინამდვილეში ეს კანონი ერთგვარი იმუნიტეტის როლს ასრულებს და არაღიარების პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. შესაძლოა სააკაშვილი წავიდეს დათმობაზე სახელმწიფო ინტერესების ხარჯზე და რუსეთის ხელისუფლებისგან რაიმე სახის პოლიტიკური გარანტიების ან მხარდაჭერის მიღების სანაცვლოდ ეს კანონი გააუქმოს. ეს კი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს.

საინტერესოა ანტირუსული პოლიტიკის **„მამამთავარი“** ვის უხსნის ჩვენი ქვეყნის კარებს და ვის ეპატიჟება საქართველოში... შემთხვევით ეს მის მიერ შერისხული ის რუსები ხომ არ არიან რომელთა დასამცირებლად ჯერ კიდევ შარშან ქსენოფობიურ განცხადებებსაც არ ერიდებოდა და ბარბაროსებად მოიხსენიებდა: **„იქით არიან ბარბაროსები, აქეთ კი ცივილიზაციაა; იქით არის მონღოლოიდური გადმონაშთები და იდეოლოგია, ხოლო აქ – ნამდვილი, უძველესი კოლხური ევროპა, უძველესი ცივილიზაცია“.** მაგრამ ის ხომ ორმაგი სტანდარტების პოლიტიკის **„საუკეთესო სპეციალისტია“.** ამიტომ მისი მხრიდან კრემლის კარზე კუდის ქიცინი მოულოდნელი სულაც არ არის.

ასევე, შემაშფოთებელი და დამაფიქრებელია სააკაშვილის მიერ გასულ კვირას ბაქოში ოფიციალური ვიზიტის დროს რუსეთის მისამართით ნათქვამი სიტყვები: **„რუსეთთან საერთო წარსული და ერთად ასაშენებელი მომავალი გვაკავშირებს... მე არ მსურს სუსტი რუსეთი და მე ძალიან შორს ვარ რუსეთის ნაციონალური ინტერსების მტრობისგან. სინამდვილეში, ვოცნებობ რუსეთის ფედერაციაზე, რომელიც იქნება ამაყი და სტაბილური, დარწმუნებული საკუთარ ძალაში და იმაში, რომ სწორი გზით მიდის.“**

რას ნიშნავს **„საერთო მომავალი“**?... ნუთუ ეს ის რუსეთი არ არის, რომელსაც ნაციონალთა ენით რომ ვთქვათ, **„ოკუპირებული“** აქვს საქართველოს ორი რეგიონი? ან იქნებ რუს ხალხს ახლა არ აურჩევია რუსეთის პრეზიდენტად ის ადამიანი, რომელმაც **„საქართველოს ოკუპაცია“** მოაწყო, ხოლო თავად სააკაშვილს **„ერთი ადგილით“** ჩამოკიდებით ემუქრებოდა? ან იქნებ ახლა გახდა სააკაშვილისთვის რუსეთი დემოკრატიული და განვითარების გზაზე მდგომი სახელმწიფო?

მაგრამ სააკაშვილის და მისი რეჟიმის საგარეო პრიორიტეტების რუსული ვექტორისკენ გადახრა გამოწვეულია შემდეგი გარემოებით: სააკაშვილი კარგად ხვდება, რომ დასავლეთისთვის ის უკვე მიუღებელი ლიდერია, რომელმაც თავისი არასტაბილური ფსიქიკით, დემოკრატიული ღირებულებების ფეხქვეშ გათელვით და ავტორიტარული მმართველობის დამკვიდრებით საზოგადოებაში ანტიამერიკული განწყობის გაღვივებას შეუწყო ხელი, რაც ამერიკის გეოპოლიტიკურ ინტერესებში არ შედის. მისი მხრიდან კი საგარეო კურსის ასეთი ცვლილება მერკანტილური და პრაგმატული მიდგომის შედეგია, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ძალაუფლების შენარჩუნებას ემსახურება და არა სახელმწიფო ინტერესების დაცვას.

უკვე ყველასთვის ცხადი გახდა, რომ სააკაშვილი **„პროდასავლური“** ლიდერი მაშინ იყო, როცა ამერიკის მხარდაჭერით საზრდოობდა და ძალაუფლებას ინარჩუნებდა. მაგრამ ახლა, როცა ქართულ პოლიტიკაში ახალი პროდასავლური ძალა გაჩნდა ივანიშვილის კოალიციის სახით, სავარაუდოდ, ამერიკის მხარდაჭერა სააკაშვილს შეუწყდება. შესაბამისად მიშა ძალაუფლებაზე კონტროლს დაკარგავს. ამიტომ **„ნაციონალების“** ძალაუფლებისმოყვარე ბელადი ახალ მფარველს ჩრდილოეთში ეძებს.

**ზურაბ ჯამბურია**



# ვინ ვართ ქართ-იბერები და რას გვეუბნება იბერიულ-ქართული ენა?

სახელი **დალი** ნაწარმოები უნდა იყოს მარტივი წინადადებისაგან დ, რე (დო არის): დ,რ,——დარე—-დალე —-დალი. იბერიულ ენაზე **დარე** ნიშნავს დაბალი ხარისხობრივი მაჩვენებლების მქონეს. თანამედროვე იბერიულში გვაქვს სიტყვა შე-დარება, რაც დღევანდელი გაგებინების დონეზე ნიშნავს: მსგავსი რეალობათათვის ხარისხობრივი მაჩვენებლის მიხედვით თითოეულისათვის შესაბამისი ღირებულების მიკუთვნებას.

რატომ მიიღო იბერიულმა სიტყვამ დარე (——დ,რ,) დაბალი ხარისხობრივი მნიშვნელობა?

დ,რ, ‖ დო არის, ანუ დებენ არაცოცხალ, უსულო, ანუ სულიერ სამყაროში დაბალი დონის რეალობას (მაგ., ქვას, მოჭრილ ხის ნაჭერს და სხვა უძრავ საგანს), ხოლო სვამენ უფრო მაღალი დონის რეალობებს (მაგ., ცხოველებს, ადამიანს).

სულიერ სამყაროში არაცოცხალ, უსულო რეალობებს მიაკუთვნებენ სუსტი აზროვნების ადამიანებსაც.

**დალი** შეუდარებელი სილამაზის, ფიზიკურად მაღალგანვითარებული და სრულყოფილი ქმნილებაა, შეიძლება, სულიერადაც მაღალი დონისაა, მაგრამ თავისი სულიერმატერიალური სიმდიდრით კმაყოფილი, კიდევ უფრო ამაღლებისა და განვითარების სურვილის არმქონე, ერთ დონეზე კონსერვირებული, ამდენად მთლად სრულყოფილი არა, სულიერ რეალობაში ხშირად მძინარე. სწორედ, ამიტომ მას მძინარეს ეპარება დაუფლებისა და ამით ნეტარების მიღების სურვილით აღტყინებული მონადირე, ართმევს მას თავდაცვის უნარს და ეუფლება საწადელს. ამდენად, მონადირე ის კი არაა, რომელმაც ერთხელ მოინადირა რაღაც ცხოველი, არამედ მუდამ მონადირების სურვილის მქონე სულია. ამდენად, მონადირე უფრო ძლიერია, ვიდრე ქალღმერთი – დალი.

**დარეჯანი** – ეს სახელი ორი ნაწილისაგან შედგება: დარე განვიხილეთ. ჯანი კი ჯ,ნ, -დან უნდა იყოს ნაწარმოები. ჯ,‖ჯ,ნც‖ჯან(ც)‖ წევს. ნ, კიდევ ნიშნავს სიცოცხლის წყაროს – ღმერთს. ე.ი. ჯანი (—-ჯ,ნ,) ნიშნავს: მწოლარე (შეიძლება, მძინარე), ანუ პოტენციური ღმერთი. ე.ი. დარეჯანი ნიშნავს: არასრულყოფილი დონის პოტენციური ღმერთი.

**დარე**, როგორც აღვნიშნეთ, დაბალი დონის რეალობის გამომხატველია. უნდა არსებობდეს მისი საპირისპირო მაღალი დონის რეალობის გამომხატველი სიტყვა.

ბიბლიიდან და კაბალიდან ცნობილია, რომ ადამიანებში ყველაზე მაღალი დონისაა განვითარებული სულის ადამიანი. ე.ი. სულიც ექვემდებარება წრთვნას, განვითარებას და ამაღლებას. **სული** იბერიულ ენაში გამოიხატება სიტყვით **შური**, რომელიც ნაწარმოებია არქაული ფორმის სიტყვისაგან შ,რ, (ახსოვს არის, ანუ ხსოვნა არის): შ,რ,—-შ,რე—-შურე შური.

ცხადია, აქედანაა ნაწარმოები ქართული სიტყვა **სული**, რადგან **შ**-ს გადაქცევა **ს**-თი (მაგ., შხვა – სხვა, შხუ – სხუ +ილი – სხვილი – მსხვილი და ა.შ.). იბერიულ-ქართულში ჩვეულებრივი ფონეტიკური მოვლენაა, ხოლო **რ**-ს რელაქსაცია (დარბილება) **ლ**-დ საყოველთაოდაა გავრცელებული.

ინფორმაციათა დაგროვებით, რაც დამოკიდებულია მახსოვრობის განვითარების უნარზე, იზრდება ცოდნის დონე და ბრძენდება ადამიანი, თანდათანობით ივსება ღვთიური ნათელით და უახლოვდება ღმერთს თვისებებით. ე.ი. სიტყვა **შური = სული** წარმოადგენს ღვთიური ძალის ბგერითი, ანუ ფიზიკურ-ბიოლოგიურ გამოვლინებას.

ჩვენ ვიცით კალმახი, მთის ბობოქარ მდინარეში, წყალში, იგივე, სიცოცხლის წყაროში მონავარდე თევზია. წყალი კი წყაროა სიცოცხლისა და უზენაესი შემოქმედის მეტაფორული სახელწოდებაა.

მაშასადამე, სულკალმახი, განვითარებული მახსოვრობის, ანუ ღვთიური ნათელით ამაღლებული (რადგან ღვთის ნების გარეშე არაფერი ხდება), მარად მოძრავ და მოუსვენარ სიცოცხლის წყაროსთან – ღმერთთან თავისუფალი კავშირის მქონე პიროვნებაა. ამიტომ შეურჩია ავტორმა ეს ლამაზი სახელი ძლევამოსილ და ღმერთთან შერკინების მსურველ ამირანის აღმზრდელს.

**ამირანი** არქაულ ხანაში უნდა ჩასახლებულიყო ფორმით „,მ,რ,ნ,,რომელშიც ირაციონალური , ბგერის გახმოვანებისა და მხოლოდ იბერიულისათვის დამახასიათებელი „ ბგერის მოკვეცის შემდეგ მივიღებდით თანამედროვე ფორმას **(„,მ,რ,ნ,—-„ამირანი —- ამირანი)**, როგორც ეს ბიბლიურ დაბადებაში მოხდა **„ადამის, „ევას „ენოშისა** და ა.შ. სახელების მიმართ (იხ. ჩვენი „რა ენაზე მეტყველებდნენ იბერები?“).

აქედან გამომდინარე მითის შექმნის ხანაში ზეკაცის სახელი **ამირანი** მოგონილი იქნა შემდეგი მნიშვნელობით:

**ღმერთისგან ქმნილი ადამიანი სიცოცხლისათვის.**

აქ შეიძლება პარალელი გავავლოთ ბიბლიურ **ადამსა** და **ამირანს** შორის: „აჰა, გახდა ადამი, როგორც ერთერთი ჩვენთაგანი, შემცნობელი კეთილისა და ბოროტისა“ (დაბ.5-22). ესაა მთავარი. ადამიანებმა რომ ვიცოდეთ სრულყოფილად რაა სიკეთე და რაა ბოროტება, ჩვენც ამირანივით მთლიანად მოვსპობდით ბოროტებას და სამოთხე დაივანებდა დედამიწაზე.

ამირანმა მოსპო ბოროტება მთლიანად და მშვიდი, სამოთხის სადარი ცხოვრება იყო დამყარებული, ამიტომაც ღმერთის ტოლად გრძნობდა თავს, მაგრამ ეტყობა, ვერ აცნობიერებდა, რომ ღვთის ნების გარეშე, ღვთის ნებით მიცემული ღვთიური ცოდნისა და ნათელის ფლობის გარეშე ბოროტებასთან ბრძოლა და გამარჯვება შეუძლებელი იყო. ე.ი. ამირანი ცნობიერებით პირველქმნილი ადამის დონეზე იმყოფებოდა. ამიტომ გაკადნიერდა ღვთის წინაშე, მაგრამ ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლე ღმერთმა იგი მიაჯაჭვა კავკასიის ქედზე, თუმცა, მისცა შანსი განთავისუფლებისა. დაუდეგარი და მორჩილებას შეურიგებელი ამირანიც (ადამურ-იაფეტურ-იბერიული მოდგმა) ერკინება პალოს და ესესაა უნდა ამოაძროს იგი, მოფრინდება ჩიტი – ბოლოქანქარა (ღვთისგან მოვლენილი განსაცდელი ამ მოდგმის ამაღლება-განვითარებისათვის), დააჯდება პალოს და დაიწყებს კუდის ქანქარს, თითქოსდა, სურს ისევ ჩაასოს ღრმად. ამ დროს ამირანი, ნაცვლად იმისა, რომ მშვიდად შეაფასოს მოვლენა და გონივრულად განსაჯოს განსაცდელი, ბრაზდება, უმარტივესი აზროვნების უნარსაც კარგავს და თვითონ მიიჯაჭვავს თავს სატანჯველზე უფრო მაგრად, როგორც ეს ქართველი ერის ცხოვრების სინამდვილეში ხდებოდა და ხდება დღესაც.

დღეს ქართველი ერის სიცოცხლის უნარიანი ნაწილის უმრავლესობა გადახვეწილია საზღვარგარეთ თვითგადარჩენის მიზნით, დარჩენილი ნაწილიც გათითოკაცებულია და დაუნდობლობა, გაუტანლობა, შური და ღვარძლია გამეფებული ქვეყანაში, რითაც ქართველი ერის დამბმელი პალო უფრო და უფრო ღრმად ესობა.

სამწუხაროდ, საზოგადოების უმნიშვნელო ნაწილის გარდა, ვერ აცნობიერებს თავის სულიერ დაცემას – უღმერთობას, მისგან განდგომილობას, ამით გამოწვეულ ბოროტებას და, სწორედ, ნათელწართმეული ამირანის მდგომარეობაში იმყოფება დღეს ქართველი ერი.

მართლაც, ღმერთს ამირანი – იბერიული მოდგმა არ მოუკლავს, რადგან სიცოცხლისათვის იყო შექმნილი, მხოლოდ მიაჯაჭვა ხანგრძლივ სატანჯველს, გონს მოგების მიზნით, რომლის შემდეგ დიდი შანსი აქვს ისევ დაუბრუნდეს ღვთის წიაღს.

იბერიული ენა, რომ კაცობრიობის ფუძე ენაა, მამაშვილის – ძაძამიებისა და ჩვენს მიერ ადრე წარმოდგენილი არგუმენტების გარდა, იმითაც მტკიცდება, რომ მრავალი სხვადასხვა ენის ლექსიკის ეტიმოლოგიას ხსნის ეს ენა. მაგ., კაბალა ებრაულად ნიშნავს **ღვთიური ნათელის მიღებას,** მაგრამ, საეჭვოა, რომ პირველადი ენის 13-ჯერ ნაცვალმა ენამ ახსნას მისი ეტიმოლოგია, ხოლო ადამურ-იაფეტურ-იბერიული ენის მიხედვით ის ნაწარმოები უნდა იყოს არქაული ხანის ფორმიდან **კ,ბ,რ, —- კ,ბ,რე - კაბარე —- კაბალე – კაბალა.**

**კ**, ნიშნავს კვერვას, ჭედვას, **ბ**, - ბმას, კავშირს, **რ**,-რეს, არის –ს, ყოფიერია-ს. აქ მიღებული მნიშვნელობების ერთმანეთთან დაკავშირებითა და თანამედროვე დონეზე გრამატიკულად გამართვით მივიღებთ: **[უზენაესთან] კავშირის ჭედვისათვის ყოფიერი (ქმნილი)**.

იბერიულ-ქართულად ადამიანის მუდმივ საცხოვრებლად მომზადებულ გარემოს, საყუდარს **ბინა** ჰქვია, ხოლო ებრაულად **ბინა** ნიშნავს უზენაესი მმართველობის აპარატს, რომელიც ხელმძღვანელობს ყველა სულს გამოსწორების გზების მოწესრიგებაში. ვერც ამ სიტყვის ეტიმოლოგიას დაადგენს ებრაული და ვერცერთი სხვა ენა დედამიწაზე, გარდა იბერიულისა.

**ბინა** ( — ბ,ნ,) იბერიულად ნიშნავს: **კავშირი უზენაესთან**. სინამდვილეშიც უზენაესთან კავშირის, მის საუფლოში შეღწევის, იქ საცხოვრებელი პირობების მოპოვების გარეშე, ვერ მოწესრიგდება სულის გამოსწორების გზები და ვერ გავხდებით უზენაესის თანაშემოქმედი და თანამსახური.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ **იბერის** ეტიმოლოგიის დადგენისას ადრე შესრულებული ნაშრომებში შეცდომა გვაქვს დაშვებული. ჩვენ დავადგინეთ, რომ **დაბადებაში** იბერი ( — თიბერი‖თუბარი – თუბალი) არქაული ფორმით **თ,ბ,რ,** უნდა ყოფილიყო დაწერილი და ვივარაუდეთ, რომ ამ ფორმის თანამედროვე არსი ასე შეიძლებოდა წარმოგვედგინა: 1. **ნათელ მემკვიდრედ (ბმად) ყოფიერი**, ან 2. **თავმემკვიდრედ ყოფიერი**, ხოლო ვერ გავითვალისწინეთ მთავარი: ბიბლიაში მატერიალურზე არ არის საუბარი. ვიმეორებთ, **თ**, თავსაც ნიშნავს და ნათელსაც, **ბ**, - ბმას, კავშირს. მაშინ ბიბლიური არსის გათვალისწინებით თუბალი ‖ თუბარი იგივე იბერი —-თიბერი—-თ,ბ,რ, ქართულად ნიშნავს: **ნათელთან კავშირი არის** უფრო სწორად, **[უზენაეს] ნათელთან კავშირის მქონე**-ს. სწორედ, უზენაეს ნათელთან კავშირმა მოგვიყვანა დღემდე, შეგვინარჩუნა კაცობრიობის ფუძე ენა და ამით მოგვცა გადარჩენის შანსი. მაგრამ გულხელდაკრეფვითა და ეგოისტურ ნეტარებაში ყოფნით ეს ვერ მოხერხდება. ჩვენი გადარჩენა შესაძლებელია არა ბოლოქანაქარა ჩიტის, ანუ განსაცდელის მოსპობის სურვილით, არამედ ამ ჩიტის დაჭერით, ანუ განსაცდელის არსის შეცნობით, უფრო სწორედ, უზენაესის გულის მოგებით, ე.ი. ღვთიურ გზაზე შედგომით.

ცნობილია, რომ აკაკი წერეთელი ამირანს საქართველოსთან აიგივებდა. ამირანმა (იბერიულმა ცივილიზაციამ) მთლიანად მოსპო ბოროტი ძალები და ქვეყანაში სიმშვიდე და ბედნიერება დამკვიდრდა. ეს უნდა იყოს ის ხანა, როცა **„იბერიული ცივილიზაცია პირინეიდან ინდოეთამდე ვრცელდებოდა“** (ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი). **„მოსპო ბოროტი ძალები და ქვეყანაში სიმშვიდე და ბედნიერება დამკვიდრდა.“** უნდა ნიშნავდეს, რომ ამირანმა თავის თავში აღმოფხვრა ბოროტება, სძლია საკუთარ თავში არსებულ ეგოიზმს, ანუ ჩვენმა უძველესმა წანაპრებმა თავის გავლენის სფეროში (პირინეიდან ინდოეთანმდე) აღმოფხვრეს ბოროტება და დაამყარეს სრული წესრიგი, სიყვარული, ურთიერთ პატივისცემა და, ნიკო მარის სიტყვებით რომ ვთქვათ, **„ჰქონდათ აყვავებული კულტურა“**.

რა მოხდა შემდეგ?

მით-ზღაპარი გვეუბნება რომ, როცა სრულად მოისპო ბოროტება და ამირანს მოწინააღმდეგე არ ჰყავდა, ღმერთის ტოლად ჩათვალა თავი, ანუ მან სძლია თავისთავში, იგივე თავის ქვეყანაში არსებული ყველა სახის ეგოიზმს, მაგრამ ვერ სძლია უფრო დიდი ეგოიზმი – სიამაყე და ამპარტავნება, რომელიც აბსოლუტურად მიუღებელია შემოქმედისათვის და ქვეყანა მიეცა კმაყოფილებას, რომლის შემდეგ შეუმჩნევლად შეეპარა სენი მოდუნებისა, რომელიც თანდათანობით ღრღნის ქვეყნის ერთიან ორგანიზმს.

ამირანი (იბერთა მოდგმა) ცდილობს ამოაძროს პალო, ე.ი. განთავისუფლდეს მასში არსებული ეგოიზმისაგან – ამპარტავნობისაგან, რადგან, თითქოსდა, აცნობიერებს, რომ ეს ძალზე მავნებელია მისი სულიერი ამაღლებისა და წინსვლისთვის, მაგრამ ბოლო მომენტში, როცა ესაა უნდა ამოაძროს პალო (ამპარტავნება) მიწიდან, ანუ თავის საარსებო არსიდან (ადამიანის სხეული ხომ მიწისაგანაა, არ არსებობს ნივთიერება, რომელსაც ადამიანის სხეული შეიცავს და მიწაში არ არსებობდეს), მოფრინდება ბოლოქანქარა (აზრები სიამაყისა) და იმის მაგივრად, რომ დაიჭიროს და დაატყვევოს იგი (ანუ ამაღლდეს მასზე), მოკვლას დაუპირებს (სიამაყის, ანუ ეგოიზმის მოსპობა ნიშნავს ამბიციის ჩაკვლას საკუთარ მეში, რაც განვითარებას ამუხრუჭებს, მიღწეულით კმაყოფილებას ამკვიდრებს და შემდგომ ადამიანის და მთლიანად საზოგადოების დეკადანსს იწვევს), როცა საჭიროა არა მისი მოსპობა, არამედ მასზე ამაღლება და ისევ ჩაასობს პალოს ანუ ისევ მიეჯაჭვება თავის ეგოიზმს. ე.ი. იმის მაგივრად, რომ ირონიულად შეხედოს თავის ეგოიზმს და ამაღლდეს მასზე, ამირანი (იბერთა მოდგმა) ვერ აცნობიერებს, რომ ყველა მოვლენა, ყოველი სურვილი ღვთის ნებით მოდის და აქ ადამიანის დამსახურება არაფერია. ადამიანს არაფერი აქვს საამაყო და საამპარტავნო, რადგან თვით ადამიანიც სურვილია უზენაესისა. ამას უნდა მიხვდეს ამირანი – იბერთა მოდგმა და ისიც განთავისუფლდება ტანჯვისაგან.

ამდენად ქართველებს გვაქვს შანსი პირველებმა აღვასრულოთ ღვთის ნება და, როგორც იოანე ზოსიმე წინასწარმეტყველებდა, ე.წ. ქართულ ენაზე დაველაპარაკოთ მსოფლიოს სულის გამოსწორების პრობლემებზე. მართალია, მრავალი სხვადასხვა აზრი არსებობს, მაგრამ, ჩვენი აზრით, ესაა საქართველოს სულიერი მისია.

**ჰუკური ფიფია,**
**"ფაზისის" აკადემიის წევრი**

# რა თანხა დაუჯდა „ნაცმოძრაობას“ ახალი ოფისი

შარშან თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, ლითონის ვეებერთელა რკალები გაჩნდა და ბევრი ვარაუდობდა, მალე ახალ გიგანტურ მონუმენტს ან **„დეკორატიულ გვირაბს“** ვიხილავთო. შემდეგ ეს გვირაბი მინით შეიმოსა და საკმაოდ უცნაური ფორმის შენობად წარმოგვიდგა. მერე იმაზე იმტვრევდა საზოგადოება თავს, რა დანიშნულება ექნებოდა ამ უცნაურ შენობას. 2011 წლის დეკემბერში კი შენობაზე დიდი ოქროსფერი ასოებით გამოყვანილმა წარწერამ – **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.** ინტერნეტში ნაცმოძრაობის ვებგვერდზე ამ ნაგებობის შესახებ ასეთი ინფორმაციაა:

**„მიმდინარე წლის 18 დეკემბრიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ცენტრალური ოფისი ახალ მისამართზე განთავსდება. მთაწმინდაზე, ლესია უკრაინკას №1-ში განთავსებული პარტიის სათავო ოფისის რეალიზაციის სანაცვლოდ შეძენილ იქნა შენობა კახეთის გზატკეცილზე – №45ა“.**

ამ საკითხთან დაკავშირებით ჟურნალისტებიპარლამენტარ ვახტანგ ბალავაძეს დაუკავშირდნენ.

**– ბატონო ვახტანგ, ვინ არის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ახალი სათავო ოფისის არქიტექტორი?**

– ნამდვილად არ ვიცი, ვინ არის არქიტექტორი. ამის შესახებ ჰკითხეთ გენერალურ მდივანს მელიქიშვილს. როგორც ვიცი, არქიტექტორი ქართველია.

**– რა დაჯდა ამ შენობის აგება?**

– არც ეს ვიცი.

ამის შემდეგ ბატონ ზურაბ მელიქიშვილს მივმართეთ:

– **„ნაციონალური მოძრაობის“** ახალი ოფისის არქიტექტორი ვინ არის, არ ვიცი.

– რა თანხა დაჯდა შენობის აგება?

– გავყიდეთ ჩვენი ძველი ოფისი, რომელიც ლესია უკრაინკას ქუჩაზე მდებარეობდა, დავამატეთ თანხა და ასე ვიყიდეთ ეს ოფისი.

– მაინც რა დაჯდა?

– წლიური დეკლარაცია ჩაბარებული გვაქვს, ასე რომ, შეგიძლიათ, ეს ყველაფერი დეკლარაციაში იხილოთ.

კონტროლის პალატის ვებგვერდზე **„ნაცმოძრაობის“** მიერ წარდგენილ დეკლარაციაში წერია:

**„ორგანიზაციის შემოსავლებმა 2011 წელს შეადგინეს 5.995.188,18 ლარი, რომელიც შედგება შემდეგი მუხლებისაგან:**

**ა) შემოწირულობები 1.765.778 ლარი, მათ შორის, ფიზიკური პირებისგან მიღებული შემოწირულობები - 95.848 ლარი, რომელიც შემოწირულია 5 პიროვნების მიერ და იურიდიული პირებისაგან მიღებული შემოწირულობები 1.669.930 ლარი, რომელიც შემოწირულია 23 იურიდიული პირის მიერ. ყველა შემოწირულობა განხორციელებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით... ორგანიზაციას 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბალანსზე ერიცხება 6 საოფისე ფართი, ქალაქებში: თბილისი, ბათუმი, ხაშური, თელავი, საგარეჯო, რუსთავი. რომელთა საერთო ფართი შეადგენს 3688,19 კვმ-ს, ხოლო საბალანსო ნარჩენი ღირებულება – 3.296.034 ლარს“.**

რაც შეეხება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ახალ ცენტრალურ ოფისს თბილისში, დეკლარაციაში მითითებული არ არის, რა თანხად გაიყიდა ძველი ოფისი და რა თანხა დაუჯდა ნაცმოძრაობას ახალი ოფისის აშენება, თუმცა, მითითებულია, რომ ახალი ოფისის ფართობი 2406,19 კვ. მეტრია, ხოლო საბალანსო ღირებულება – 2.855.836 ლარი.



# ლევან გოთუა 107 წლის გახდებოდა



1905 წლის 10 მარტს დაიბადა დიდი ქართველი მწერალი ლევან გოთუა.

დღეს, ლევან გოთუას შემოქმედების თაყვანისმცემლები იკრიბებიან მცხეთაში, სამთავროს ეკლესიის ეზოში, სადაც დაკრძალულია დიდი მწერალი.

ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ გავიხსენოთ მისი მოთხრობა **„ქვის დედაენა“**. მანამდე კი დიდი მწერლის ბიოგრაფია მოკლედ.

მომავალი მწერალი დაიბადა თბილისში, ცნობილი პუბლიცისტის, მწერლის, პედაგოგის, საზოგადო მოღვაწის, პართენ გოთუასა და სოფიო კემულარიას ოჯახში. 1925 წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიკური ფაკულტეტი.

საქართველოს ანექსიის შემდეგ ბოლშევიკებმა მათ ოჯახს სახლის დიდი ნაწილი და ქონება ჩამოართვეს და მეთვალყურეები მიუჩინეს.

1921 წელს ლევან გოთუა ძმასთან და თანამოაზრეებთან ერთად ჩაება ანტისაბჭოთა საქმიანობაში. თუმცა აჯანყება დამარცხდა. პართენ და ლევან გოთუები დააპატიმრეს. 7 თვე მოუწიათ ციხეში ყოფნა. 1925 წელს ლევან გოთუა ისევ დააპატიმრეს და 3 წლით პატიმრობა მიუსაჯეს სოლოვეცკის ბანაკში. 1926 წელს გაათავისუფლეს ბანაკიდან და გადასახლებაში გაუშვეს ვლადიკავკაზში. ვლადიკავკაზის ქართულ სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. მალე გადასახლების ვადაც გაუგრძელეს.

მეგობრებთან ერთად გადაწყვიტა გაქცეოდა აუტანელ რეჟიმს. ვლაზე იოლ საქმედ თურქეთში გადასვლა მიიჩნია, მაგრამ მდინარე ჭოროხის გადაცურვისას მესაზღვრეებმა დააკავეს, აწამეს და სამი წლით საკონცენტრაციო ბანაკში გააგზავნეს. არც უცდიათ მისი დამუშავება და **“დავერბოვკება”**, იცოდნენ მრწამსით და საქმით ეროვნულ-დემოკრატი იყო.

გადასახლებიდან დაბრუნებულს თბილისში ცხოვრება აუკრძალეს და წალკაში დაიწყო მუშაობა ეკონომისტად. მალე ბოლნისში გადაიყვანეს სამუშაოდ, რაც დიდად სასიხარულო იყო იმდენად, რმდენადაც დედაქალაქს რამდენიმე კილომეტრით დაუახლოვდა. წალკაში ყოფნისას კი მან დაწერა თავისი პირველი პიესა **“ჩაძირული სოფელი”**.

იმ პერიოდში დაიწერა მისი პიესა **“მეფე ერეკლე”**. პიესამ საკავშირო კონკურსში მეორე პრემია მიიღო (პირველი პრემია არ გაცემულა). **“მეფე ერეკლე”** დაიდგა მარჯანიშვილის თეატრში. მწერალს მისცეს უფლება თბილისში ცხოვრებისა, თუმცა მუდმივად უთვალთვალებდნენ. შემდეგ ლევან გოთუამ დაწერა **“დავით აღმაშენებელი”, “უძლეველნი”** და სხვა.

ხელისუფლებას, როგორც ჩანს, მაინც ეშინოდა მეამბოხე სულის მქონე შემოქმედის – 1946 წელს ისევ დააპატიმრეს და 10 წლით ვორკუტის შრომა-გასწორებით ბანაკში გააგზავნეს. იქ დაიწერა **„გმირთა ვარამის“** პირველი ნაწილი.

1960 წელს გადასახლებიდან გაათავისუფლეს. დიდი მწერალი სამშობლოში დაბრუნდა და არმაზში დასახლდა ცოლშვილთან ერთად.

ამრიგად, ლევან გოთუამ თითქმის 20 წელი გაატარა გადასახლებაში: **“სად არ მათრიეს, სად არ გადამაგდეს, სად არ მაწვალეს. ყველაფერს რომ ჩავყევი და გავიხსენე, თვითონ განვცვიფრდი, ნუთუ ყოველი მე მხვდა წილად... ჩემს თავზე მძიმე ზღაპარმა გადაიარა. ერთი ადამიანისთვის ეს ბევრზე ბევრია გადასატანად და დაუჯერებელიც!”**

დიდი მწერალი ლევან გოთუა გარდაიცვალა 1973 წლის 30 იანვარს. დაკრძალეს არმაზში, თავის ეზოში (სამწუხაროდ ის ეზო მისი ოჯახის საკუთრება აღარაა). 2005 წელს მისი ნეშტი დიდი პატივით გადაასვენეს მცხეთის სამთავროს მონასტრის ეზოში.

# ანა კალანდაძის გარდაცვალების დღისადმი

2008 წლის 11 მარტს გარდაიცვალა დიდი ქართველი პოეტი ანა კალანდაძე. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის, გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიისა და პუბლიცისტიკის დარგში სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, **“საპატიო ნიშნის”** ორი და ღირსების ორდენის კავალერი, ქართულ ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის პრემია **„საბას“** მფლობელი... ეს ჩამონათვალი ცოტაა და ვერ გადმოსცემს მისი ტალანტის ძალას...

ანა კალანდაძე დაიბადა 1924 წლის 15 დეკემბერს გურიაში, სოფელ ხიდისთავში. საშუალო სკოლა ქუთაისში დაამთავრა 1941 წელს. 1946 წელს დაასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, კავკასიური ენების სპეციალობით.

ლექსების წერა 11 წლის ასაკში დაიწყო. ეს ფიფქივით გოგონა ქარიშხალივით შემოიჭრა ქართულ პოეტურ სამყაროში და პირველი ლექსის გაჟღერებისთანავე დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი შემოქმედთა შორის.

მისი პირველი ლექსები გამოქვეყნდა 1946 წელს გაზეთ **“ლიტერატურასა და ხელოვნებაში”** და ჟურნალ **„მნათობში”** რომელთაც წამსვე მიიქციეს მკითხველის ყურადღება.

ანა კალანდაძის ლექსების პირველი კრებული გამოვიდა 1953 წელს. კრებულმა პოპულარობა მოუტანა. შემდგომ წლებშიც ნაყოფიერად მუშაობდა და გამოსცემდა ლექსების კრებულებს, სხვადასხვა გამოცემებში ბეჭდავდა თავის ნაწარმოებებს. მისი ლექსები ნათარგმნია ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ, პოლონურ და სხვა ენებზე.

თვითონ ანა კალანაძე თარგმნიდა დიდი პოეტების, ალექსანდრე პუშკინის, სტეფან მალარმესა და სხვათა ნაწარმოებებს. აქვეყნებდა ესეებს, წერილებს. წერდა მოგონებებს.

მის ნაწარმოებებზე არაერთმა კომპოზიტორმა დაწერა სიმღერა. კომპოზიტორმა ნოდარ მამისაშვილმა ანა კალანდაძის ლექსის ტექსტზე შექმნა თავისი მეოთხე სიმფონია, განკუთვნილი სოპრანოს,



ტენორისა და ფორტეპიანოსათვის.

გაგვიჭირდა ამ წერილისათვის ანა კალანდაძის რომელიმე ლექსის შერჩევა, რადგან მისი ზღვა ნამუშევარი ერთი ერთმანეთზე შთამბეჭდავია.

ვისაც ანა კალანდაძის ერთი ლექსი მაინც წაუკითხავს, არა შეიძლებოდა არ შეეგრძნო პოეტის გულის ფეთქვა, მისი ზეადამიანური სითბო, სიყვარული სამშობლოსა და მშობელი ხალხისადმი, ამ ქვეყნიდან გადასულებზე გაუნელებელი სევდა.

სწორედ ეს გამოსჭვივის პოეტის ერთ-ერთ ლექსში:

**სასაფლაოზე ქარი დაძრწის სავსე კაეშნით...**
**დუმს სასაფლაო ქვის ძეგლებით,**
**ვით ძველი ქალდუ...**
**სასაფლაოზე ქარი დაძრწის და აკლდამებში**
**დაეძებს სადგურს...**
**ყვავნი სამრეკლოს გარს უვლიან**
**და თვალთა კრთომით**
**დაეძებენ მყუდრო სავანეს...**
**და ტირის თოვლი**
**ობოლთ სამარეს...**
**დუმს სასაფლაო სევდიანი, ვით ძველი ქალდუ,**
**გულში ინახავს კაეშანს ფარულს...**
**კითხულობს მთვარე**
**ქვის ძეგლებით უძველეს ქართულს –**
**ნუსხურს და მთავრულს...**
**სასაფლაოზე ქარი დაძრწის და აკლდამებში**
**დაეძებს სადგურს...**

# რამდენი პოლიციელია საქართველოში

პრეზიდენტი სააკაშვილი ამბობს, რომ **„საქართველოში ჩატარებული პოლიციის რეფორმით მსოფლიოს არაერთი ქვეყანაა დაინტერესებული“**, ხოლო შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილის აზრით, **„ჩვენს პოლიციაზე მთელ აღმოსავლეთ ევროპაში ლეგენდებს ჰყვებიან“**. თუმცა, **„ვარდების რევოლუციის“** შემდეგ პოლიცია, მისი მაღალჩინოსნები არაერთ სკანდალში გაეხვივნენ, სანდრო გირგვლიანის სასტიკი მკვლელობიდან დაწყებული, ახლახან სოსო ქიმერიძის, შსს-ს მტკიცებით, **„პოლიციის შენობის კიბიდან გადმოვარდნით“** დამთავრებულიყო. საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის, **„ფრიდომ ჰაუსის“** მიერ ჩატარებული კვლევით, საქართველო კვლავ ნახევრად თავისუფალი ქვეყნების სიაშია, სადაც ხშირად ირღვევა ადამიანის უფლებები, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან. არის თუ არა საქართველო პოლიციური ქვეყანა? რამდენი პოლიციელია ქვეყანაში? არის ძალოვანი სტრუქტურები დეპოლიტიზებული? – ამ კითხვებით მივმართეთ ლევან იზორიას, **„თავისუფალი დემოკრატების“** გამგეობის წევრს, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ყოფილ რექტორს:

– ოფიციალური ინფორმაცია, რამდენი პოლიციელია საქართველოში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე არ არის გამოქვეყნებული. თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში იმდენი დეპარტამენტია, თანამშრომლების რიცხვი, ცხადია, დიდი იქნება. შს სამინისტროში გაერთიანებულია უშიშროების არაერთი სამსახური, რაც ასევე ანომალიაა. არათუ დემოკრატიულ, დიქტატორულ ქვეყნებშიც კი არ არის ერთ სამინისტროში კონცენტრირებული პოლიციისა და უშიშროების უწყებები. ამგვარი რამ საბჭოთა კავშირშიც კი არ ხდებოდა!

**– არის თუ არა პოლიცია დეპოლიტიზებული, როგორიც უნდა იყოს ქვეყნის კონსტიტუციით?**

– არ არის. 2004 წელს პრეზიდენტ სააკაშვილის ბრძანებულებით მიღებულ შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულებაში პირდაპირ არის განსაზღვრული მინისტრის ფუნქცია, საიდანაც ჩანს, რომ ქვეყნის 1 პოლიციელი პოლიტიკური ფიგურაა. ანუ, საპოლიციო და პოლიტიკური ფუნქციები გამიჯნული არ არის. გარდა ამისა, სამინისტროს, სამოქალაქო სტრუქტურას წმინდა საპოლიციო ამოცანების განხორციელება ევალება. დღეს კვლავ მოქმედებს ძველი კანონი **„პოლიციის შესახებ“**, რომელიც 1993 წელს არის მიღებული.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში 16 დეპარტამენტია, რაც ანომალიაა ამგვარი პატარა ქვეყნისთვის. მაშინ, როცა 4-5 დეპარტამენტი სრულიად საკმარისი იქნებოდა, ასევე ხდება სხვადასხვა დეპარტამენტის მიერ ფუნქციების დუბლირება.

**P.S. რამდენი პოლიციელია საქართველოში?** – ამ კითხვით მივმართეთ შინაგან საქმეთა პრესსამსახურის უფროს ზურაბ გვენეტაძეს, რომელმაც გვითხრა, რომ საქართველოში პოლიციელთა რაოდენობა 26-27 ათასამდეა.

**ცნობისათვის**

რუსეთში 1000 კაცზე 9,7 პოლიციელი მოდის, უკრაინაში – 8,4, ისრაელში-3,5, აშშ-ში – 2,7, დიდ ბრიტანეთში – 2,3, საფრანგეთში – 2, იაპონიაში – 1,9. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს მოსახლეობის რიცხვი ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით 4,3 მილიონია (არაოფიციალური მონაცემით – 3,2 მლნ), მაშინ ჩვენს ქვეყანაში 1000 კაცზე დაახლოებით 6,2 პოლიციელი მოდის (არაოფიციალური მონაცემით – 8,4).

**ნ. კვიტაშვილი**

# ქეთა თოფურია: „მე მიყვარს ჩემი ხალხი და ქვეყანა“

რუსეთში მოღვაწე მომღერალი ქეთა თოფურია მის მიერ გავრცელებულ განცხადებაში აცხადებს: **„მე მიყვარს ჩემი ხალხი და ქვეყანა, პირადად პრეზიდენტს – მიხეილ სააკაშვილს, ჩემთვის კარგის მეტი არაფერი გაუკეთებია, პოლიტიკაში კი არასოდეს ჩავრეულვარ და არც ოდესმე ჩავერევი“.**

განცხადების თანახმად, ქეთა თოფურია უკმაყოფილოა ჟურნალისტების არასწორი და არაპროფესიონალური დამოკიდებულებით მისი ინტერვიუების მიმართ.

**„მესმის, რომ უნდათ, გააკეთონ სკანდალური სიუჟეტები, მყვირალა სათაურებით გაყიდონ ჟურნალ-გაზეთები, მაგრამ ამისათვის ჩემი ნათქვამის დამახინჯება, გადაკეთება, დაჭრა, კონტექსტიდან ამოღება და ისე მიწოდება მკითხველისთვის არ შეიძლება. მირეკავენ და მისვამენ პროვოკაციულ კითხვებს. შემდეგ ისე დაჭრიან ჩემს ნათქვამს, რომ მე თვითონაც ვერ გამომაქვს შინაარსი. აღარაფერს ვამბობ მკითხველზე. ამის გამო მთელი ჩემი ინტერვიუს ტექსტის აზრი იკარგება და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მე არ მაღელვებს ჩემი ქვეყანა, ჩემი საქართველო, ჩემი ხალხის და თანამემამულეების ბედი, რაც სრული აბსურდია. ამაში დამერწმუნება ყველა, ვინც კარგად მიცნობს და იცის ჩემი დამოკიდებულება ჩემი სამშობლოს მიმართ, სადაც დავიბადე, გავიზარდე, ჩამოვყალიბდი პიროვნებად, ადამიანად, დავეუფლე ჩემს პროფესიას; სადაც ცხოვრობენ ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანები, ჩემი მეგობრები, კოლეგები, ნათესავები, სადაც ყოველთვის მომიხარია, ყოველ მეორე თვეს... უმორჩილესად გთხოვთ, მინდა, ყველას მოგაწვდინოთ ჩემი ხმა და გულწრფელად გთხოვოთ: არ მინდა, გავხდე ამ პოლიტიკური დაპირისპირების მსხვერპლი, ნუ ჩამრევთ პოლიტიკაში, რადგან ეს არასოდეს ყოფილა ჩემი საქმე და არც არასოდეს იქნება. მე ვარ მომღერალი, რომელმაც ძალიან ბევრი იშრომა პროფესიული წარმატების მისაღწევად, მსმენელის კეთილგანწყობისა და სიყვარულის მოსაპოვებლად, მომღერალი, რომელიც მღერის ხალხისთვის და არა – პოლიტიკისთვის“,**– განაცხადა ქეთა თოფურიამ.

მისი თქმით, 23 თებერვალს მისი ჯგუფი ლუჟნიკების სტადიონზე ადგილობრივ სადღესასწაულო კონცერტზე მიიწვიეს მონაწილეობის მისაღებად.

**„ჩვენ არ ვართ არანაირ პოლიტიკურ თუ, მითუმეტეს, წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართულები. კიდევ ერთხელ მინდა, მივმართო ჩემს ძვირფას ქართველ ხალხს – მე ვარ ქართველი, მე მიყვარს ჩემი ქვეყანა, ჩემი საქართველო, რომელთანაც მთელი ჩემი ცხოვრება მაკავშირებს,. დღეს კი მე რუსეთში ვმუშაობ, სადაც მყავს პროდიუსერები, რომლებიც თვითონ წყვეტენ ჩვენი საკონცერტო გამოსვლების განრიგს – თუ სად, როდის და რომელ ღონისძიებაზე უნდა ვიმღერო... გულწრფელად გეტყვით, უდიდესი სიამოვნებით დავბრუნდებოდი ჩემს თბილისში, თუ მექნებოდა ასეთივე სამუშაო პირობები და ანაზღაურება, მაგრამ ამ ეტაპზე, სამწუხაროდ, ვიცი, ეს შეუძლებელია... ამიტომ არავინ თქვას, რომ ჩემს ადგილას ჩემოდნებს ჩაალაგებდა, შვიდწლიან დაუღალავ შრომას, უძილობას დაივიწყებდა და დაუფიქრებლად იტყოდა უარს ყველაფერზე... ვერავინ დამაჯერებს ამას... რაც შეეხება რუსეთში ჩემს ყოფნას, დღეს მე ეს ქვეყანა მარჩენს და ვალდებული ვარ ჩემი ხელოვნებით მის ინტერესებს ვემსახურო. პოლიტიკა და პოლიტიკური შეხედულებები კი სულ სხვა თემაა, რომელშიც მე არასოდეს ჩავრეულვარ და არც ოდესმე ჩავერევი“,** – აღნიშნულია ქეთა თოფურიას განცხადებაში.

**საქინფორმი**

# ალექსანდრე ჭაჭია: როგორია საქართველო ივანიშვილის «ოცნებაში»? როგორია ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების მისეული სტრატეგია? ეს ჯერჯერობით გაუგებარია...

(გაგრძელება 1 გვერდიდან)

მობილური ჯგუფების აქტიური მუშაობა დიდ ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში, სოფლებში, რეგიონული ინტელექტუალებისა და სოციალურად აქტიური მოქალაქეების გადმობირება, მუშაობა ქართველ ემიგრანტებთან რუსეთში, უკრაინაში, ევროპაში, იქ მხარდამჭერთა ჯგუფების შექმნა, ინტერნეტ სივრცის ათვისება, ბეჭდური პროპაგანდისტული პროდუქციის მასობრივი გამოშვება – აი, რა არის დღეს საკეთებელი. ყველა ქალაქელს, ყველა გლეხს დეტალურად უნდა აუხსნან, რით განსხვავდება ივანიშვილი და მისი გუნდი სააკაშვილისგან და მისი გუნდისგან და რას გაუკეთებს ივანიშვილი ამ გლეხს ისეთს, რასაც სააკაშვილი ვერ გასწვდება. ამისთვის მოკლედ უნდა ჩამოყალიბდეს 10-15 ძირითადი დებულება, რომლებიც ჩვენს მოქალაქეებს დაარწმუნებს, რომ მათ ხმა უნდა მისცენ პოლიტიკურ ძალას, რომელიც ღრმად ეროვნულია, ძალუძს აღადგინოს და ააღორძინოს საქართველო, არ დაუშვას ერის გახრწნა, განავითაროს ტრადიციული კულტურა და ქვეყნის ისტორიული თვითმყოფადობა. მთავარია: ხალხი უნდა დარწმუნდეს, რომ ახალი ძალა სხვაა – ალტერნატიულია, და იგი ქვეყანას სხვა გზით წაიყვანს.

რა თქმა უნდა, თუ ივანიშვილი დაწერს ამ პროგრამაში იმას, რომ განაგრძობს ლიბერალური კაპიტალიზმის მშენებლობას, ავღანეთში ბრძოლას, მზადაა, ებრძოლოს ირანს, შევა ნატოში, დიპლომატიურ ურთიერთობებსაც კი არ აღადგენს რუსეთთან, მაშინ კოალიციის წარმატება არჩევნებზე არც ისე ბევრით ასცდება მის ახლანდელ 20-პროცენტიან რეიტინგს. **«მიშა 2»** ან **«ოდნავ უკეთესი»** არავის სჭირდება. ასეთი პერსპექტივისთვის ადამიანები არ გარისკავენ, ადგილობრივ ხელისუფლებასთან კონფლიქტზე არ წავლენ, გაყალბებას არ შეებრძოლებიან.

**– ბევრს საქართველოში არ ესმის ბიძინა ივანიშვილისთვის ქუჩის აქციების მიუღებლობა. რით შეიძლება ეს აიხსნას?**

– ამერიკელებს არ სურთ, დაუშვან, რომ მათ მიერ დანიშნული ხელისუფლება ხალხის აჯანყების გზით გადავარდეს. ეს მათი იმიჯისთვის მძიმე დარტყმა იქნება. მათ ის წარუმატებლობაც ეყოფათ, რომ იუშჩენკო უკრაინელმა ხალხმა გააძევა და **«ოდნავ უკეთესი»** ტიმოშენკო ხელისუფლებაში არ მიუშვა. თუ ამერიკელები ივანიშვილს ისევე აკონტროლებენ, როგორც მის პარტნიორებს კოალიციაში, მაშინ იგი არასოდეს მოუწოდებს ხალხს ქუჩაში გამოსვლისკენ. ეს გამორიცხულია.

**– ახლახან სოროსის ფონდის მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 48 პროცენტი რუსეთთან ურთიერთობის აღდგენას ემხრობა, თუნდაც აშშ-თან პარტნიორობის გაწყვეტის ფასად. ივანიშვილს არ შეუძლია ეს არ გაითვალისწინოს, თუმცა მაინც განაგრძობს აშკარად პროამერიკულ პოზიციაზე დგომას. რატომ? იქნებ ეს ერთგვარი შენიღბვაა, ამერიკული მხარდაჭერის მოპოვების სურვილი? მით უმეტეს, რომ, როგორც ამბობენ, ივანიშვილს აქვს კავშირები რუსეთის ხელმძღვანელობასთან. ხელისუფლება იმასაც ამტკიცებს, რომ იგი «პუტინის პროექტია».**

– ეს სისულელეა. რამდენადაც მე ვიცი, არც პუტინი და არც მედვედევი ივანიშვილს არ იცნობენ და რუსეთის სახელმწიფო სტრუქტურებს არაფერი აქვთ საერთო მის საქმიანობასთან. საერთოდაც, პოლიტიკური თვალსაზრისით, რუსეთი საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში არანაირად არ მონაწილეობს. საქართველოში რაღაც პოლიტიკურ პროცესებს რუსეთი მხოლოდ ქართველი პოლიტიკოსების ავადმყოფურ წარმოსახვაში ხელმძღვანელობს. რეალურად ეს ასე არაა, რაც, სხვათა შორის, ცუდია საქართველოსთვის. აშშ-ის მხრიდან მონოპოლიურმა პატრონატმა ჩვეულებრივ კოლონიად გადაგვაქცია. მოუსმინეთ ქართველ პოლიტიკოსებს, საზოგადო მოღვაწეებს: ყველა კამათობს იმაზე, თუ ვის მხარეს იქნება აშშ; ყველა ცდილობს, მოიპოვოს ამერიკის ელჩის კეთილგანწყობა, რამენაირად თავი მოაწონოს ვინმეს სახელმწიფო დეპარტამენტში, სხვადასხვა მხრიდან წონიან ობამას ყოველ სიტყვას, წერენ უზარმაზარ სტატიებს, რომლებშიც მისი სიტყვების ინტერპრეტაციას ახდენენ თავის სასარგებლოდ. ეს სასაცილო და ამაზრზენია.

აშშ-ის მონოპოლიური გავლენა საქართველოზე, მის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე სრულ ბატონობად იქცა, რაც გვართმევს დიდი სახელმწიფოების ინტერესების გადაკვეთაზე ბალანსირების საშუალებას, მათი წინააღმდეგობების ჩვენი ქვეყნისინტერესებისთვის გამოყენების შესაძლებლობას. მსოფლიოში ცოტაა აბსოლუტურად დამოუკიდებელი სახელმწიფოები: აშშ, ჩინეთი, რუსეთი, ირანი, სამხრეთ კორეა, კუბა... ქვეყანათა უმრავლესობა, განსაკუთრებით პატარები, დამოკიდებულნი არიან დიდ სახელმწიფოებზე. მაგრამ საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის განსაკუთრებულობა ისაა, რომ აქ გადაიკვეთება ოთხი გიგანტის ინტერესები – აშშ-ის, რუსეთის, თურქეთის, ირანის. ჩვენ გვქონდა შანსი, ამ ინტერესების ბალანსზე სწორი პოლიტიკა აგვეგო. ეს იქნებოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ქართველი ერის გადარჩენის გარანტია, მაგრამ ჩვენმა ხელისუფლებამ ეს შანსი ხელიდან გაუშვა და, უკვე 20 წელია, ერთი ძალის ხელში მარიონეტის როლს ასრულებს. სწორედ ამ როლის შედეგია ტერიტორიების დაკარგვა, ხალხის გაღატაკება და საზოგადოების ზნეობრივი დეგრადაცია.

**– ამიტომ ბევრი თვლის, რომ არჩევნების შედეგი საქართველოში დამოკიდებულია აშშ-ის პოზიციაზე, იმაზე, თუ რომელ პოლიტიკურ ძალას დაუჭერენ მხარს ამერიკელები...**

– ეს ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილის, უპირველეს ყოვლისა კი, მისი უმაღლესი ეშელონების კოლონიალურ ცნობიერებაზე მეტყველებს, მათთვის აუცილებელია გარეშე უფროსის ყოლა. თვით არჩევნებისთვის ამ ფაქტორს არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. პირიქით, ქართველი ერის უდიდესი ნაწილი ძალიან მტკივნეულად რეაგირებს გარედან ჩარევაზე.

ამასთან დაკავშირებით შემიძლია შეგახსენოთ 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, როდესაც შევარდნაძის კონკურენტი ჯუმბერ პატიაშვილი იყო. მაშინ შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, სახელმწიფო მდივანმა, თავდაცვის მინისტრმა, რუსეთის ხელმძღვანელობამ პრეზიდენტ ელცინის, პრემიერ ჩერნომირდინის, საგარეო საქმეთა მინისტრ კოზირევის, თავდაცვის მინისტრ გრაჩოვის სახით, უპრეცენდენტოდ თავხედური და უცერემონიო მხარდაჭერა გაუწიეს შევარდნაძეს – პირდაპირ მოუწოდეს საქართველოს მოსახლეობას, ხმა მიეცათ მისთვის. საბოლოო ჯამში, როგორც მოგეხსენებათ, თითქმის ყველა რეგიონში პატიაშვილმა ხმათა 60-70 პროცენტი მიიღო, ხოლო შევარდნაძემ – 20-25 პროცენტი, მაგრამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ, პოლიციასა და უშიშროებასთან ერთად, თავხედურად ამოატრიალა ციფრები, ცესკომ აკადემიკოს ი. კიღურაძის ხელმძღვანელობით კი შევარდნაძე ხმების 70%-ით გამარჯვებულად გამოაცხადა. მე მაშინ პატიაშვილის შტაბს ვხელმძღვანელობდი და კარგად მახსოვს ხალხის აღშფოთება, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ არ გვქონდა არც გამოცდილება, არც ფინანსური სახსრები იმისთვის, რომ ადგილებზე ხმათა დაცვის უზრუნველყოფა მოგვეხდინა, შევწინააღმდეგებოდით ფალსიფიკაციის ტექნოლოგიებს, რომლებიც მაშინ ზურაბ ჟვანიას გუნდმა გამოცადა და შემდეგ წარმატებით იყენებდა ყველა მომავალ არჩევნებზე. მეტიც, ჩვენ არც ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ არ დაგვიჭირა მხარი, ყველას ვაშინგტონიდან და მოსკოვიდან მოსული მითითებების დარღვევის ეშინოდა. მაშინ მივხვდი, რომ ჩვენთან დამოუკიდებელი, ეროვნულად ორიენტირებული პარტიები არ არსებობს.

ივანიშვილს თვისობრივად განსხვავებული მდგომარეობა აქვს. მას გააჩნია ფინანსური შესაძლებლობები არჩევნების პროცესზე როგორც ტექნიკური, ასევე ფიზიკური კონტროლისთვის. გარდა ამისა, ე.წ. მსოფლიო თანამეგობრობა უკვე აღარ კონტროლდება მხოლოდ შეერთებული შტატების მიერ. რუსეთს, წამყვან ევროპულ ქვეყნებს და თურქეთსაც კი აქვს თავისი, განსაკუთრებული ხედვა საქართველოს მიმართ. ამიტომ, მასობრივი გაყალბებები იარაღის ჟღარუნით, როგორც ამას ჟვანია და კვირაია აკეთებდნენ, დღეს შეუძლებელია, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ ივანიშვილის კოალიციას ექნება ამომრჩეველთა უდიდესი ნაწილის რეალური მხარდაჭერა. ეს კი ჯერჯერობით არ ჩანს.

ესაუბრა ირაკლი თოდუა

(გაგრძელება იქნება)

# გაიგოს ხელისუფლებამ, რომ კარის მეზობელს პატივისცემა სჭირდება

ოპოზიციის გააქტიურებასთან ერთად იწყებოდა ლაპარაკი იმაზე, თუ როგორ ამოუვიდა სააკაშვილი დასავლეთს ყელში, ამერიკა კი უკმაყოფილოა სააკაშვილის ყველა რეფორმით, რომელიც დიდი ზარ-ზეიმით პიარდებოდა ნაციონალების მიერ. ამ ჭორ-მართლის გარჩევაში უკვე რვა წელიწადი გავიდა, სააკაშვილის გადაგდების ვერსიების შეთხზვაც თავიდან დაიწყო. პოლიტოლოგი **ჰამლეტ ჭიპაშვილი** შეეცდება გასცეს პასუხი კითხვას, მართლაც დათვლილია თუ არა სააკაშვილის დღეები და რას უნდა ველოდოთ მომავალში.

– ივანიშვილის გამოღვიძებასთან ერთად გახშირდა ლაპარაკი იმაზე, რომ სააკაშვილის დღეები დათვლილია – პროცესი დაწყებულია და მას ვერაფერი შეაჩერებს. რომ იტყვიან, თქვენს პირს შაქარი, ვინაიდან სააკაშვილმა და ნაცებმა არა თუ მოაბეზრეს ხალხს თავი, არამედ სადისტურ-ცინიკური მმართველობით მიაღწიეს საკუთ არი თავის მიმართ საზოგადოების ისეთ ზიზღის და შურისძიების გრძნობის ჩათესვას, რომ უკეთესს ვერ ინატრებდა **"მტერი"** რუსეთი.

იოლად განხორციელებულმა **"ვარდების რევოლუციამ"** ქვეყნის მართვის ასევე იოლი შეგრძნობის განცდა გაუჩინა რევოლუციონერებს. არადა არავითარ მსგავსს არ ექნებოდა ადგილი 2003 წელს საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალთა 18-პროცენტიანი წარმატებისათვის ჯეროვანი ყურადღება რომ გამოეჩინათ მმართველ **"მოქალაქეთა კავშირს"** და **"აღორძინებას"**. ამ პარტიების ხელმძღვანელებმა უარი თქვეს ნაცთა წინაშე გარკვეულ დათმობაზე, რითაც საბედისწერო ნაბიჯი გადადგეს, მძიმე ვითარებაში ჩააყენეს რა ქვეყანა და საკუთარი თავი. რევოლუციურმა ეიფორიამ უმალ ჩაიარა. დაიწყო მონოტონური ყოველდღიურობა, რომ,ლის დროს კვლავ თავი იჩინა ძველმა პრობლემებმა, მას ახალიც დაემატა, რასაც ხელი შეუწყო ახალი ხელისუფლების არაპროფესიონალიზმმა, ასაკიდან გამომდინარე ქარაფშუტობამ, ძველი, გამოცდილი კადრების **"ჩარეცხვამ"** და სხვა, – აცხადებს ჭიპაშვილი და სვამს შეკითხვას:

– მაინც რა არის ნაცთა რვაწლიანი პერიოდი, რა მოუტანა მან ქვეყანას, საზოგადოებას?

– კითხვები მოითხოვს დასაბუთებულ პასუხებს, რასაც ნაცთა ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ არაერთხელ ექნება ადგილი. ამჯერად კი მოკლედ შევეცდები გავამახვილო იმ ზოგიერთ მომენტზე ყურადღება, რამაც ნაცთა რვაწლედი აუტანელი გახადა. ზოგი აცხადებს, რომ ნაციონალური მოძრაობა ნეოლიბერალიზმზე დაფუძნებული მოძრაობაა, თავისი გადახრებით და მანკიერებებით. სინამდვილეში ნაციონალურმა მოძრაობამ ფეხქვეშ გათელა დასავლური ლიბერალური ფასეულობები. სურვილი იმისა, რომ სააკაშვილი და მისი ნაცები მჭიდროდ დაუკავშირონ რაღაც იდეალებს, რაღაც ფილოსოფიას, თუნდაც ლიბერალურს, ამაო მცდელობაა, ვინაიდან მათ არავითარი კავშირი არა აქვთ არც ნეოლიბერალიზმთან და არც რაიმე სხვა მოძღვრებასთან, ფილოსოფიასთან, ფასეულობებთან, ინტელექტთან, წიგნთან.

პრიმიტივიზმზე დაფუძნებული ნაცთა მმართველობის მთავარი ხაზი ვერტიკალურ, ცენტრალიზებულ, ერთი პირის მმართველობაზე და ამ მმართველობის ადმინისტრაციულ-სადამსჯელო ორგანოების გამაგრებაზე, საზოგადოებაში შიშის ჩანერგვაზე, ხელისუფლებასთან შეზრდილი ბიზნესის შექმნაზე, დასავლეთის თვალში საკუთარი თავის უმანკო, დემოკრატიულ კრავად წარმოჩინებაზე, არარსებული წარმატებების – წარმატებულად მოჩვენებაზე გადის. სააკაშვილისა და ნაცების მიერ ჩამოყალიბებულმა პროპაგანდისტულმა მანქანამ – ნაციონალური მედიის სახით, ძირფესვიანად განამტკიცა ნაცთა მმართველობა. მაგრამ, არავითარ მსგავსს არ ექნებოდა ადგილი, რომ არა დასავლური შორსმიმავალი გეგმები, ჯერაც არსებული დასავლეთ-აღმოსავლეთის დაპირისპირება, დიდ ქვეყნებს შორის შენიღბული, ყოველდღიური კულუარული ომი პირველობისათვის და ამ ომში სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების გამოყენება, – ამბობს ჭიპაშვილი.

– რევოლუცია ყოველთვის იქ ხდება, სადაც სისუსტეა. სწორედ ასეთად შეფასდა აშშ-ს მიერ პოსტსაბჭოთა სივრცის ზოგიერთი ქვეყანა, მათ შორის, საქართველო და უკრაინა. ამუშავდა აშშ-ს მიერ შემუშავებული დემოკრატიის ექსპორტის გეგმა, ისეთი, რომელიც მანამდე მოქმედებდა იუგოსლავიაში, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და რაც ამჯერად მოქმედებს არაბულ სამყაროში. აშშ ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც აქვს მატერიალური, ტექნიკური, ინტელექტუალური, ფინანსური რესურსი, ნოუჰაუ მასშტაბური ოპერაციის განსახორციელებლად.

სწორი იყო სააკაშვილი, როდესაც ამბობდა, რომ არაბული რევოლუციები დასაბამს ფერად-ყვავილოვანი რევოლუციებიდან იღებს, ვინაიდან ამ რევოლუციების სულისჩამდგმელი ამერიკის შეერთებული შტატებია, ირიბი თუ პირდაპირი ჩარევით, მისი თუ მასზე დამოკიდებული ბიზნესის ფულით.

ამას წინათ ლონდონში მცხოვრებმა ოლიგარქმა ბერეზოვსკიმ ყოველგვარი მორიდების გარეშე განაცხადა, თუ როგორ ეხმარებოდა უკრაინის ნარინჯისფერ რევოლუციას, როგორ გადასცა 50 მილიონი დოლარი ამ საქმისათვის უკრაინელ ბიზნესმენ ჟვანიას.

უნდა ვიმედოვნოთ, დადგება დრო და გამოაშკარავდება იმ დონორთა ვინაობა, ვინც დააფინანსა **"ვარდების რევოლუცია"**, ამერიკელთა გარდა, ვინ იდგა **"ვარდების რევოლუციის"** სათავეში. თვით აშშ-ს ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა პირდაპირ განაცხადა იმ ფართომასშტაბიანი მხარდაჭერის და დახმარების შესახებ, რასაც აშშ აკეთებდა სააკაშვილის და რევოლუციის მიმართ.

პოსტსაბჭოთა სივრცის რევოლუციებში ჩადებული ენერგია და ფინანსები ყოველთვის არ იყო ეფექტიანი. ბერეზოვსკის მილიონებთან ერთად **"ნარინჯისფერი"** რევოლუციაც ისტორიას ჩაბარდა. მისი ერთ-ერთი გმირი კორუფციისა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის შვიდწლიან პატიმრობას იხდის.

არ გამართლდა არც ბელორუსული და არც ყირგიზული ვარიანტები, მაგრამ გამართლდა ქართული. ამიტომაცაა სააკაშვილის მიმართ ვაშინგტონის რევერანსული დამოკიდებულება თვალში საცემი. შეელევა სააკაშვილსა და მის პარტიას აშშ? და თუ შეელევა, ვისით ჩაანაცვლებს მას? ის, რომ აშშ-მა სარეზერვოდ, რომ იტყვიან, შავი დღისათვის, ალასანია, თარგამაძე და სხვები გამოჩეკა, გასაკვირი არ არის. არც ის არის გასაკვირი, რომ ძველ გამოჩეკოილებს ახალიც დაუმატა – **"ქართული ოცნების"** სახით.

მაგრამ საინტერესოა – რას მოუხერხებს სააკაშვილს? გაწირავს თუ არა მას? იქნებ სულაც არ აპირებს გაწირვას? იქნებ სხვა გეგმებს ქსოვს, ისეთს, რაც ამას წინათ გაგვანდო **"საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვით"**, რომლის მიხედვით მხოლოდ **"ნაცები"**, **"ოცნება"** და **"ქრისტიან-დემოკრატები"** იქნებიან ახალ პარლამენტში. ამ კითხვებს პასუხი მალე გაეცემა, მაგრამ იმას, რასაც პასუხი უკვე გაეცა, ნაციონალური მმართველობის რვაწლიანი პერიოდია – საამური ფასადით და მის მიღმა დამყაყებული არსებობით.

აშშ-მა მოახერხა ის, რასაც საუკუნეების განმავლობაში ცეცხლითა და მახვილით ვერცერთი მომხდური ვერ აკეთებდა. ამერიკამ შეძლო შეუძლებელი – ჭრელ-ჭრელი სათამაშოებით, საღეჭი რეზინით, სააკაშვილ-ნაცებისთვის მხარის დაჭერით.

იშვიათად მოიძებნება ხელისუფლება, რომელსაც ესოდენ დიდი ზარალი მიეყენებინოს საკუთარი ქვეყნისათვის. ნაცებმა ზედმიწევნით კარგად შეასრულეს სტრატეგიული პარტნიორის დავალება და რატომ უნდა გაიწირონ ისინი? ასეთებს, პირიქით, ხელს უწყობენ, ეხმარებიან.

**"ვარდების რევოლუცია"** რაღაცით ჩამოჰგავს ჩინეთის კულტურულ რევოლუციას, მხოლოდ **"რაღაცით"**. იმ რევოლუციას იდეოლოგიური საფუძველი ჰქონდა – მატერიალური სიხარბისაკენ გადახრის საწინააღმდეგო ბრძოლა.

ამას, საფუძვლად უდევს საკუთარი ქვეყნის და ხალხის ძარცვა, საკუთარი ჯიბის გასქელება. ჯამში, ქვეყნისათვის ორივე დამანგრეველი გამოდგა. მილიარდიანმა ჩინეთმა მძიმედ, მაგრამ მაინც გადაიტანა კულტურული რევოლუცია. მაგრამ საკითხავია, გადაიტანს თუ არა სამმილიონიანი საქართველო **"ვარდების რევოლუციას"**?

დასავლურმა ორიენტაციამ, ნატო-ნატოს ძახილმა ნეგატიური დაღი დაასვა ქვეყანას. დაიკარგა ტერიტორიები, გაღატაკდა ხალხი, დაეცა ქვეყნის განათლების დონე, უკიდურესად გაუარესდა დემოგრაფიული ვითარება, გაცამტვერდა ეროვნული თვითშეგნება და ა.შ. და ეს ხდება ქვეყანაში, რომელიც მრავალი პარამეტრით მოწინავე იყო საბჭოთა კავშირში.

ვითარების შესაცვლელად მთელი რიგი ღონისძიებებია გასატარებელი, მათ შორის, უპირველესად, საგარეო-პოლიტიკური კურსის შეცვლა, ცალმხრივი ორიენტაციის მრავალმხრივი ჩანაცვლება და, რაც მთავარია, სხვისი მოიმედეობის ნაცვლად, საკუთარ თავზე დაყრდნობა.

ეს არ ნიშნავს შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის გაუარესებას, მაგრამ ეს ნიშნავს დისტანცირებას, რაც მთავარია, ამერიკელთა მიერ ქვეყნისათვის დაკისრებული დამამცირებელი როლის შესრულებაზე უარის თქმას. საქართველოს ყოფა არ უნდა ეფუძნებოდეს მეზობელი რუსეთის პერმანენტულ გაღიზიანებას, მის წინააღმდეგ გამოხდომებს, ფერადი რევოლუციების ხელის შეწყობას. ქართულმა პოლიტიკამ უნდა შეიგნოს ხალხური სიბრძნე – კარის მეზობელი ახლო ნათესავს სჯობს.

ქართულმა პოლიტიკამ უნდა შეიგნოს, რომ ე.წ. **"დემოკრატიული"** რევოლუციებით აღარ მოიპოვება მსოფლიო პოპულარობა, როგორც ობამამ დამოძღვრა სააკაშვილი, არამედ მუყაითი შრომით, მეზობლის პატივისცემით, პროფესიონალიზმით, საკუთარი ხალხის კეთილდღეობის ამაღლებით.

ქვეყანას გულიდან წამოსული პატრიოტული შეძახილი ესაჭიროება, ნაცების დროს ესოდენ შელახული, გაქილიკებული. ქვეყანას არ სჭირდება ისეთივე ორიენტირების დასახვა, რასაც, ქვეყნის სავალალოდ, ნაცებიც კარგად ახერხებენ და რასაც ძველ-ახალი ძალა გვთავაზობს. ქვეყანას სხვა რამ ესაჭიროება – საკუთარი ხელით, საკუთარი თავის მოვლა, – ამბობს ჭიპაშვილი.

# რატომ ვერ გადაიჭრა საქართველოში უმუშევრობის პრობლემა

***რუსულ-ქართულმა საექსპერტო ორგანიზაცია "კავკასიურმა თანამშრომლობამ", რომელსაც ხელმძღვანელობენ რუსული მხრიდან ნიკოლაი სილაევი, ხოლო ქართული მხრიდან – ნანა დევდარიანი და გულბაათ რცხილაძე, სასტუმრო "ვერე პალასში" მორიგი სემინარი ჩაატარა. სემინარზე განხილულ იქნა სამოქალაქო მოძრაობის თემა, რომელთაც ადგილი აქვთ საქართველოში. სემინარზე მომხსენებლებად წარდგნენ სამოქალაქო ინიციატივების წარმომადგენლები: თამარ იოვაშვილი, ნათია ქევხიშვილი, მარიამ ვარდოსანიძე, როინ პაპავა და სხვები, აგრეთვე პოლიტიკოსები, ექსპერტები, ჟურნალისტები და სტუდენტები.***

როგორც სემინარზე აღინიშნა, საზოგადოებრივი ორგანიზაციები საქართველოში ჯერ კიდევ ჩანასახის მდგომარეობაშია, ხოლო ის სამოქალაქო ინიციატივები, რომლებიც აქამდე წარმოიშვა და ცდილობდა დასახული მიზნების რეალიზებას, მთლიანობაში არშემდგარად შეიძლება იქნეს მიჩნეული. ასე მაგალითად, არავითარი შედეგი არ მოჰყოლია ე.წ. გარემოვაჭრეთა მიერ საკუთარი უფლებების დასაცავად მოწყობილ ქუჩის აქციებს, როგორც მათ მიერ სამოქალაქო არაპოლიტიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბებამდე პერიოდში, ისე ამ ორგანიზაციების შექმნის შემდეგ. ხელისუფლება არანაირ დათმობაზე არ წავიდა, უამრავი ადამიანი, რომელიც თავის ლუკმაპურს სწორედ გარევაჭრობით შოულობდა, მან საარსებო წყაროს გარეშე დატოვა. ბევრი მათგანი იძულებული გახდა საქართველო დაეტოვებინა. მათი ნაწილი საზღვარგარეთ უკეთეს შემოსავალს შოულობს, ვიდრე საქართველოში, ქუჩის ვაჭრობის პირობებში შოულობდა, მაგრამ მთლიანობაში სურათი მძიმეა და ემიგრაცია იძულებით ნაბიჯს წარმოადგენს.

წარუმატებელი აღმოჩნდა სხვა ინიციატივებიც, მაგრამ მაინც შემორჩა რამდენიმე ორგანიზაცია, რომელიც აგრძელებს თავისი მიზნებისაკენ სწრაფვას. ასე მაგალითად, ახლახან ცნობილი გახდა დასავლეთ საქართველოში **"სიმინდის წარმოების ხელშეწყობის პროგრამით დაზარალებულთა კავშირის"** შექმნის შესახებ, სადაც ის ფერმერები გაერთიანდნენ, რომელთაც ზარალი მიადგათ საქართველოს ხელისუფლების მიერ ნეოხრუშჩოვული გეგმის განხორციელების შედეგად, რაც, როგორც ცნობილია, მიზნად ისახავდა ამერიკული ჰიბრიდული სიმინდის დანერგვას საქართველოში. უფრო ადრე გაჩნდა პირველი ნიშნები სახელმწიფოსგან (და მთლიანად პოლიტიკისგან) დამოუკიდებელი სტუდენტური მოძრაობის შექმნისა, როდესაც **თსუ**-ს სტუდენტებმა ჩამოაყალიბეს ე.წ. **"ლაბორატორია 1918"**. ამ ორგანიზაციამ თამამად გამოხატა პროტესტი სხვადასხვა პრობლემებთან დაკავშირებით, როგორც უნივერსიტეტის რექტორის, ისე განათლების მინისტრის მიმართ.

სამოქალაქო ინიციატივების რიცხვს შეიძლება მიეკუთვნოს კიდევ თითო-ოროლა ორგანიზაცია და ამით სია ამოიწურება კიდეც. ამასთან, აუცილებელია აღინიშნოს, რომ საქართველოში, როგორც ცნობილია, ფუნქციონირებს მრავალი ეგრეთწოდებული არასამთავრობო ორგანიზაცია. ეს სექტორი საქართველოში ფრიად განვითარებულია, შესაძლოა ისე, როგორც არცერთ სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში. მაგრამ არასამთავრობოთა ფუნქციონირების პრინციპი საკმაოდ მკაფიოდ განსხვავდება სამოქალაქო ინიციატივების პრინციპისაგან (მიუხედავად მათი იურიდიული სტატუსის შესაძლო თანხვედრისა). არასამთავრობო ორგანიზაციები არსებობენ სპონსორთა ფულად შემოწირულობების (გრანტების) ხარჯზე (ამასთან სპონსორებად ქართულ რეალობაში თითქმის ყველა შემთხვევაში გვევლინებიან უცხოური დაწესებულებები, ძირითადად – სახელმწიფო; საქართველოში ასევე შეინიშნება პარადოქსი, როდესაც უცხოური გრანტები არასამთავრობოებს შორის მთავრობის მიერ ნაწილდება) და ისინი სულაც ამ გრანტების მიღების მიზნით იქმნებიან, ხოლო სამოქალაქო ინიციატივები მომდინარეობენ მოქალაქეებისაგან, რომლებიც არ არიან დაინტერესებულნი მუდმივი დაფინანსებით, რადგან მათ მიზნებს კონკრეტული ხასიათი აქვთ, რომელიც რაღაც ვადაში უნდა განხორციელდეს, ანუ მათი მოღვაწეობა შეზღუდულია დროში. სამოქალაქო ინიციატივებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების სტრუქტურებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან, შეიძლება სხვა განსხვავებების გამოყოფაც. საბოლოო ჯამში, გვაქვს სურათი, რომლის მიხედვით საქართველოში ძალზე დიდია უცხოეთიდან დაფინანსებული **"კლასიკური"** არასამთავრობოების რიცხვი, საზოგადოებაში შესაბამისი გავლენით, ხოლო ამის საპირისპიროდ ძალზე ცოტაა სამოქალაქო ინიციატივები, მათი მოღვაწეობის ეფექტიანობაც ასევე ფრიად მოკრძალებულია. კიდევ სხვა თემაა შესაძლებლობები, რომლებიც სამოქალაქო ინიციატივებს აქვთ ხელთ თავიანთი მიზნების მისაღწევად. კერძოდ, საჭიროა თუ არა, რომ მათ ითანამშრომლონ სხვა პოლიტიკურ პარტიებთან, განსაკუთრებით, ოპოზიციურთან? რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ამას? ხომ არ მოხდება სამოქალაქო ინიციატივების აღრევა და სულაც შერწყმა პოლიტიკურ პარტიებთან? ეს კითხვები ისმოდა **"კავკასიური თანამშრომლობის"** მიერ გამართულ სემინარზე.

საზოგადოებრივი მოძრაობის **"უმუშევართა კავშირი დასაქმებისათვის"** ლიდერმა თამარ იოვაშვილმა ისაუბრა ამ საინიციატივო ორგანიზაციის მოღვაწეობის შესახებ, რომელიც, მისი თქმით, მთლიანად ენთუზიასტებისაგან შედგება.

– **"უმუშევართა კავშირი"** თავის მოწოდებას არ ხედავს იმაში, რომ მხოლოდ და მხოლოდ აკრიტიკოს მთავრობა, გამართოს საპროტესტო აქციები და ასე შემდეგ, თუმცა ამის გარეშეც შეუძლებელი იქნება მუშაობა. **"უმუშევართა კავშირმა"** მიმართა პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტის თავმჯდომარეს წინადადებით, მომხდარიყო უმძიმესი სოციალური ვითარებიდან გამოსავლის ძიება, მაგრამ ორივე ამ მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირთა მხრიდან დაახლოებით ერთნაირად ფორმალური პასუხი მოვიდა: უმუშევართა რაოდენობა საქართველოში ბოლო პერიოდში შემცირდა. ამაზე თურმე სტატისტიკა მეტყველებს, ხოლო მთავრობა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ დარჩენილი სოციალური პრობლემები მოაგვაროს... აღნიშნული ინიციატივისადმი დაინტერესება არ გამოხატა აგრეთვე მოძრაობა **"ქართულმა ოცნებამ"**, რომლის უკან მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი დგას. მიუხედავად ამისა, **"უმუშევართა კავშირი"** აგრძელებს უმუშევართა უფლებებისათვის ბრძოლას. კავშირის აქტივი უკვე ითვლის რამდენიმე ასეულ ადამიანს, იმართება საპროტესტო აქციები, პიკეტები და ა.შ. ასევე სარეფერენდუმოდ გამოდის საკითხი, რომ დაწესდეს აუცილებელი სახელმწიფო შემწეობა უმუშევრობისათვის. სამოქალაქო ინიციატივა **"უმუშევართა კავშირი დასაქმებისათვის"** საორგანიზაციო და მორალური თვალსაზრისით მხარდაჭერას პარტია **"თავისუფალი საქართველოს"** მხრიდან იღებს, – განაცხადა თამარ იოვაშვილმა. მისივე თქმით **"უმუშევართა კავშირის"** მსგავს ორგანიზაციებს საკუთარ თავზე პროფკავშირების ფუნქციების აღება უწევთ. **"უმუშევართა კავშირი"** აქცენტს სწორედ უმუშევრებზე აკეთებს, პერსპექტივაში განიხილება სხვადასხვა სფეროში მომუშავეთა მხარდაჭერის საკითხიც.

**გულბაათ რცხილაძე**: ეს არის მორიგი ღონისძიება, რომელიც **"კავკასიური თანამშრომლობის"** ეგიდით ჩატარდა. ჩვენი საექსპერტო ორგანიზაცია ცდილობს შეკრიბოს ინფორმაცია საქართველოში არსებულ სხვადასხვა პრობლემაზე და ეს ინფორმაციები შემდგომ ანალიტიკურად გადაამუშაოს, რაც ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის, პირველ რიგში – პოლიტიკური და ეკონომიკური ექსპერტებისათვის. დღეს ჩვენ გვქონდა სემინარი სამოქალაქო ინიციატივების შესახებ, რომლებიც ორიენტირებული არ არის რაიმე გრანტზე და ორიენტირებულია მხოლოდ საკუთარი ძალებზე. სამწუხაროდ, ასეთი მაგალითები საქართველოში ძალიან მცირეა. დღეს გამოჩნდა ხალხი, რომლებიც დაინტერესდნენ ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემებით, როგორიც არის დასაქმება. ხელისუფლებამ არ შეასრულა თავისი არაერთგზის დანაპირები, მაშინ როდესაც მათი პრიორიტეტი უნდა ყოფილიყო დასაქმება. სამწუხაროდ, დღემდე ამ კუთხით არაფერი შეცვლილა, სოციალური ვითარება თანდათან კიდევ უფრო მძიმდება. ამიტომაც მოქალაქეებმა აიღეს ეს ინიციატივა. ისინი თანამშრომლობენ პარტიებთანაც და, როგორც მათ განაცხადეს, მათი თვითმიზანი არ არის მხოლოდ ოპოზიციურ პარტიებთან თანამშრომლობა. მათ ასევე მიმართეს პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი მხრიდან არანაირი რეაგირება არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, ეს ადამიანები გაჩერებას არ აპირებენ და განაგრძობენ მოღვაწეობას. ჩვენ მათთან გვქონდა საუბარი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, როგორ აპირებენ თავიანთი დასახული მიზნების განხორციელებას, რა პერსპექტივები აქვთ. მათი საქმიანობისა და მიზნების შესახებ საკმაოდ საინტერესო ინფორმაცია მივიღეთ.

**ნანა დევდარიანი**: უმუშევრობა ჩვენთვის საკმაოდ სერიოზული პრობლემაა. ადამიანის პირველი საჭიროება, რომ იცოცხლოს, არ არის მოგვარებული. ამის შემდეგ რა პოლიტიკურ უფლებებსა და არჩევანის თავისუფლებაზე შეიძლება ლაპარაკი. ეს ყველაფერი არის უფუნდამენტო, სილაზე რომ კოშკი ააშენო, ისეთი რამაა. ჩვენი სახელმწიფო კი რევოლუციამდეც ასე იყო, უარი ჰქონდათ ნათქვამი თავიანთ ვალდებულებებზე. ჩვენ ვაშენებთ ისეთ კაპიტალიზმს, არსად რომ არა არის მსოფლიოში, სადაც ადამიანებს პერსპექტივა არა აქვთ. ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ ასეთი სამოქალაქო ინიციატივები ყველაზე უფრო ფასეულია. ეს მოგონილი ფასეულობების დასაცავად კი არ არის, არამედ, რაც ყველას გვაწუხებს, იმის დასაცავად არის მოგონილი.

**ა. ბეგიშვილი**

# ტობავარჩხილი — სამოთხე დედამიწაზე

საქართველოს ერთ, პატარა, თითქმის ყველასგან მივიწყებულ ნაწილში, რომელსაც ჩხოროწყუ ჰქვია, მდინარე ხობისწყალი ჩამოდის. ერთი შეხედვით დიდად არაფრითაა საინტერესო. ეგაა – აქ ცხელ ზაფხულში გახურებული სხეულის გაგრილება შეიძლება. ჩახვალ, იბანავებ, გაგრილდები და მორჩა: კითხვაც კი არ გაგიჩნდება,– ნეტავ საიდან მოდის ეს პატარა წყალიო. მაგრამ თუ იკითხე, გზა პასუხისკენ ულამაზეს ადგილას მიგიყვანს, სადაც თუ ერთხელ დადგი ფეხი, მეორედ წასვლა უთუოდ მოგესურვება.

**ხობისწყლის ხეობა**

მდინარე ხობისწყლის ხეობა, ტობავარჩხილისაკენ მიმავალი გზის პირველი ეტაპია. ეს ხეობა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ აღმოსავლეთ ევროპაში უნიკალურია იმით, რომ ერთი მდინარის გაყოლებაზე შეეყრებით მღვიმეებს, ხავსიან მასივებს, მინერალურ წყალს, ალპურ ტბებს, ჩანჩქერებს, მწვერვალებსა და მყინვარს. სიმაღლის მატებასთან ერთად გარემო უფრო და უფრო მწვანდება – ყოველი მეტრის გავლის შემდეგ სულ ახლოს გრძნობ ველურ ბუნებას.

თუმცა ნამდვილი შეგრძნებები მაშინ იწყება, როდესაც საავტომობილო გზა მიილევა. საბოლოო დანიშნულების წერტილამდე კი ბილიკებით კიდევ რამდენიმე კილომეტრი უნდა იარო ტყეში, ველური მცენარეებით მოფენილ მინდვრებზე. გზა თითქოს არ მთავრდება და გამოუცდელ ტურისტს შეიძლება უკან დაბრუნებაც კი მოუნდეს, მაგრამ დაქანცული მგზავრებისთვის აქ ყოველთვის ღიაა კარეს კარები. კარეს მეგრულად მწყემსების ხის ქოხებს ეძახიან. კარეში, შუაცეცხლის გარშემო მუდამ არის ადგილი შემცივნებული სტუმრებისთვის.

მათთვის მწყემსებს არასოდეს ენანებათ უგემრიელესი ელარჯი, თხის ხორცი და მთის მაწონი. ამ ქოხებში შორეული წარსულია გაცოცხლებული და შუაცეცხლთან ისეთი შეგრძნება გეუფლება, თითქოს საუკუნეებით უკან იხევ და მოცისფრო კვამლით აცრემლებული თვალებით შეიგრძნობ საქართველოს.

გზა მაღლა-მაღლა მიიწევს ირგვლივ მხოლოდ მთებია – მთები, უფსკრულები და ჩანჩქერები. აქაური წყალი ყველაზე გემრიელია და ცივი. სულ ცოტაღა დარჩა გასავლელი:

აღმართი, შემდეგ ტაფობი, შემდეგ ისევ აღმართი და უკვე მთის ძირში ვართ. ეს ცაშკიბულია – სამეგრელოს ყველაზე მაღალი და დიდებული მწვერვალი. ულღობი მყინვარი მწვერვალზე ასვლას ართულებს, მაგრამ ასვლა ამად ღირს. ცაშკიბული უნიკალური მწვერვალია იმ მხრივაც, რომ იგი მისაწვდომია როგორც გამოცდილი მთამსვლელებისთვის, ისე უბრალო, თავგადასავლების მაძიებელი ტურისტებისთვისაც.

ერთ მხარეს პიტალო კლდეა – ალპინისტებისთვის სასურველი საკბილო. მეტიც, ქართველი ევერესტელების აზრით, **„მწვერვალის ამ მხარეს შეიძლება თავისუფლად მიენიჭოს სირთულის მეხუთე კატეგორია, რაც ურთულეს, მეექვსე კატეგორიაზე ერთი საფეხურით დაბალია"**. მეორე მხარეს კი შედარებით იოლი გზაა მწვერვალისაკენ, თუმცა არც ამ გზაზე განიცდის მოყვარული ექსტრემალი ადრენალინის ნაკლებობას. მაგრამ როცა მწვერვალზე ადიხარ და ზღვის დონიდან 3016 მეტრის სიმაღლიდან გადმოიხედავ, ისეთი შეგრძნება გეუფლება, რომ სამყარო შენს ხელთაა და შეგიძლია იმბრძანებლო ღრუბლებზე, შენ ფეხქვეშ რომ დაცურავენ.

აქ დროის შეგრძნება თითქოს იკარგება და სანამ მწვერვალზე დგახარ, გარე სამყაროსგან სრულიად მოწყვეტილი, ფიქრობ მხოლოდ იმაზე, რამდენი რამ დაგიკარგავს აქ ამოუსვლელს.

მაგრამ ნამდვილი სამოთხე ჯერ კიდევ უნახავია: ის ადგილი, რომლის თვალშესავლებად ამხელა გზა გამოვიარეთ. ეს ტობავარჩხილია, ვერცხლის ტბა. ჩამქრალი ვულკანის კრატერში ჩაბუდებული, ლურჯ-ვერცხლისფრად მოლივლივე და საოცრად მშვიდი.

უძველესი ლეგენდა ამბობს, ვინც ტბის მყუდროებას დაარღვევს და მის წყალში იბანავებს, შავი ღრუბლების რისხვა დაატყდება თავს და კოკისპირულ წვიმასა და შემზარავ ჭექა-ქუხილს ვერ გადაურჩებაო.

ორკილომეტრიანი მყინვარის გადალახვის შემდეგ წინ თვალწარმტაცი სანახაობა იშლება: ლურჯად ელვარებს მწვანეში ჩამჯდარი ტბა. ჩრდილოეთით დიდებული **ჩე გვალა** (თეთრი მთა) მოსჩანს, ეს ერთადერთი მხარეა, საიდანაც ტობავარჩხილს მთები არ ეკვრის და ისიც, თითქოს დრო იხელთაო, ჩანჩქერად ეშვება უფსკრულში. სხვა ყველგან სალი კლდეები აღმართულან. ამ საოცრებას ცაშკიბული აგვირგვინებს. მისი ანარეკლიც კი ტბაში იმდენად დიდებულია, რომ ყველას მოახრევინებს ქედს.

ამ ერთი ხელის დადება ადგილას ყველაფერია თავმოყრილი: მთები, კლდეები, მდელო, ალპური ყვავილები, ჩანჩქერი, მყინვარი, ტბა...

დრო კარგა ხანია გაჩერდა. თვალს ხარბად ავლებ ბუნებას და თანდათან უფრო მძლავრად აღიქვამ მის მშვენიერებას. გგონია, სანუკვარი ოცნება აისრულე, რომელიც აქამდე არც კი იცოდი, თუ გქონდა. აღარ გინდა დაბრუნება ხმაურიან ბარში, სადაც მანქანების გამონაბოლქვის გარდა, თითქოს არაფერია. შენი სულის ნაწილი მთაში რჩება და სამარადისოდ იძირება ტბის უსასრულო სიღრმეში. ტობავარჩხილი სამუდამოდ ხდება შენი სახლი, რომელიც თვალის მოწყვეტის წუთიდან სიცოცხლის ბოლომდე გენატრება.

**ფოტოგრაფი რომან თოლორდავა**



## საპარლამენტო უმრავლესობამ ივანოვთან შეხვედრის ფაქტი დაადასტურა

საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი კანდელაკი მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციის ფარგლებში არაოფიციალურ ფორმატში შეხვდა რუს ექსპერტებს, მათ შორის, რუსეთის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრ იგორ ივანოვს. შეხვედრაში მონაწილეობდა, აგრეთვე, თავდაცვის ყოფილი მინისტრი და საქართველოს ყოფილი ელჩი აშშ-ში დავით სიხარულიძე. ეს ინფორმაცია ჟურნალისტებს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი მინაშვილმა დაუდასტურა.

**„ეს იყო რუს ექსპერტებთან არაფორმალური შეხვედრა, მისი ძირითადი თემები იყო ის ინტერესები, რომლებიც საქართველოს აქვს, უპირველეს ყოვლისა – დეოკუპაცია და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ რუსულ მხარესთან დიალოგის წინააღმდეგი და ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმაც არა ერთხელ განაცხადა. მაგრამ ეს უნდა იყოს დიალოგი ყოველგვარი პირობების გარეშე, რომელიც სრულიად კონკრეტულ პრინციპებს დაემყარება, და ამ მხრივ ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ დავთმობთ“**, – განაცხადა მინაშვილმა.

მისი თქმით, რუს ექსპერტებთან შეხვედრა დაგეგმილი იყო და მოლაპარაკების თემები წინასწარ იყო ცნობილი. **„ჩვენსა და იმ ადამიანებს შორის, რომლებმაც ბიძინა ივანიშვილის გარშემო მოიყარეს თავი (მათ შორის – თედო ჯაფარიძე), ის განსხვავებაა, რომ ჩვენი ამოსავალი წერტილი ძალზე მკაფიოა და ემყარება ფუნდამენტურ პრინციპებს – ქვეყნის დამოუკიდებლობას, მათ შორის – საგარეო პოლიტიკური კურსის დამოუკიდებლობას, და ტერიტორიულ მთლიანობას. 2008 და 2010 წლებში გამოქვეყნდა თედო ჯაფარიძის საავტორო სტატიები, სადაც ის აკრიტიკებდა ევროპას იმის გამო, რომ მან საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესია აღიარა, აგრეთვე, სვამდა კითხვას – აქვს თუ არა რუსეთს დეოკუპაციის ჩატარების უფლებამოსილება. ეს აბსოლუტურად გაუგებარია, რამეთუ მსოფლიოში ყველამ იცის, რომ სწორედ რუსეთია ოკუპანტი და ეთნიკური წმენდა მან ჩაატარა. კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც ჯაფარიძე ლაპარაკობს, არის ის, რომ ახალი რეალიების გათვალისწინებით საქართველო უსაფრთხოების იმ ახალ სისტემებსა და იდეებთან უნდა იყოს დაკავშირებული, რომლებსაც რუსეთი გვთავაზობს. პუტინისა და მედვედევის ეს იდეები სფეროების გადანაწილებას ითვალისწინებს, და კიდევ იმას, რომ რუსეთის მეზობლად მდებარე არცერთ სახელმწიფოს არ ჰქონდეს დამოუკიდებლად განვითარების შესაძლებლობა. ეს არის ის ამოსავალი წერტილი, საიდანაც ეს ადამიანები ლაპარაკს იწყებენ“**, – განაცხადა აკაკი მინაშვილმა.

მინაშვილს ავიწყდება, რომ პირველები სწორედ ქართული სამხედრო დანაყოფები შევიდნენ ცხინვალში, რაც იმას ნიშნავს, რომ აგრესიული ქმედებები (და არა ომი) პირველად ქართულმა მხარემ დაიწყო და რუსული აგრესია ჩვენი მხარის გაუაზრებელი ქმედებების ლოგიკური გაგრძელება გახლდათ. რუსებს არავინ ამართლებს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ რუსეთის კეთილი ნების გარეშე საქართველოს ტერიტორიულ გამთლიანებაზე საუბარი სისულელეა. საქართველოს მოსახლეობიდან მალულად რუსეთის პოლიტიკის არც თუ მთავარ პირებთან **“ნაცების”** შეხვედრა კი ამ პრობლემას ნამდვილად ვერ გადაწყვეტს, რაც ნაციონალებმაც კარგად იციან და სწორედ იმიტომ აწყობენ ამგვარ **“საიდუმლო სეირობებს”**, რომ თავიანთი უბადრუკი ყოფა როგორმე გაიხანგრძლივონ ხელისუფლებაში.

**საქინფორმი**

# მუხთლობის ბილიკზე შემდგართა ღვარძლი

ჰიტლერმა ტრიბუნიდან ისე თვალდაუხამხამებლად განაცხადა, მთელი ჩემი სიცოცხლე მშვიდობისათვის ვიბრძოდიო, თითქოს ომის დემონი კი არა, ცით მოვლენილი კეთილი ანგელოზი ყოფილიყო. პოლონეთში გერმანიის ზარბაზნები რომ გრიალებდნენ, ის რაიხსტაგის ტრიბუნაზე იდგა და თავის მშვიდობისმოყვარე პოლიტიკაზე ქადაგებდა.

ყველაზე გახრწნილ მეძავს დაუსრულებლად შეუძლია იყბედოს თავის შეუბღალავ, სპეტაკ პატიოსნებაზე, ისე, რომ სინდისის ძარღვის შეშფოთება არ იგრძნოს, რამეთუ მისი სინდისი უსინდისობის სამსახურშია.

როგორი უსირცხვილო, უტიფარი, გახრწნილი დემაგოგი უნდა იყოს ადამიანად წოდებული არსება უკუღმართს წაღმართად რომ აპიარებს და წყლის აღმა სვლაზე ლაქლაქის დორბლით აბითურებს გაროზოტებულ მსმენელს, ვისაც დაბეჩავების ბანგი ადამიანურ და მამულიშვილურ სიამაყეს ვერ გაუხუნებს, ყველა ამქვეყნიურ ცოდვას წამოჰკიდებს, თვითონ უცხო ქვეყნის დაქირავებული ყაჩაღი, სხვა ქვეყნის აგენტობას დააბრალებს და მეკობრეთა დაუნდობლობით გაუსწორდება. სუსტი ადამიანები კი დაუნდობელი მოძალადის შიშით ენას პროტესტის სათქმელად ვერ იმორჩილებენ, სანამ ამათ თემიდას მსახვრალი ხელი სანაგვეში არ მოისვრის.

განა როდისმე იფიქრებდა ფაშიზმზე გამარჯვებული ქართველი მებრძოლი, რომელმაც კაცობრიობის საზარელი ჭირის ამოსაძირკვავად ბრძოლებით გაიარა კავკასიიდან ბერლინამდე სისხლით მორწყული გზა, რომ მის ნაფერებ სამშობლოს სანაგვეზე აღმოცენებულ შხამიან სარეველასავით მოედებოდა ფაშიზმის ღვარძლი და ბოროტება.

დღეს ნაციონალთა მიერ დაყაჩაღებული პატარკაციშვილის ტელევიზიის მიერ მოწამლული ეთერი სიცრუის და გარყვნილების ბურუსში ახვევს ისედაც გაუსაძლისი გაჭირვების ბრჭყალებში მყოფ ქართველობას.

ესპანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას მხარს უჭერდა პროგრესულად მოაზროვნე მსოფლიო, ფრანკომ ჰიტლერის და მუსოლინის დახმარებით რომ მოახრჩო, როგორც პითონმა შვლის ნუკრი. ამათ კიდევ გამოჩხრიკეს ვიღაც ქართველი, ფრანკოს მხარეს რომ იბრძოდა, და ლამის გმირად მოახვიონ თავზე მათგანვე დაბეჩავებულ საქართველოს, თან იმათი სახელის აღმოფხვრას ცდილობენ, ვინც თავდაუზოგავად იბრძოდა ფაშიზმის წინააღმდეგ.

სასტიკად ნაწამებ მამაც ქართველ გოგონას – ზოია რუხაძის სახელს რომ გადაარქმევ ქუჩას, ამაზე საპატიო რა უნდა დაარქვა?! ვთქვათ, კომუნისტების სახელი სულს გიშფოთებს ფაშისტურ დურდოში მატლივით მოფუთფუთე პარაზიტს, რა დაგიშავა ნესტორ კალანდარიშვილმა? ის ხომ ანარქისტი იყო და მთელ ციმბირში ქართველი კაცის მამაცობის სიმბოლოდ იქცა.

ყბაბინძურმა ტელევიზიებმა პირზე დორბლი ამოიდინეს, რუსეთში სამამულო ომში მონაწილე ქართველები არ მოიხსენიესო. შენ რატომ ებრძვი იმათ წმიდათაწმიდა ხსოვნას და რატომ ანგრევ მათი დიდების მემორიალებს?! სიცრუეზე მომართული ცნობილ ტელევიზიებს სხვა წვრილფეხობაც მიაბეს თავიანთი დემაგოგიური სიცრუით სიმართლეს რომ ებლანდებიან ფეხებში, რუსეთის სიძულვილით გმირ ქართველ მამულიშვილთა ღვაწლს უზნეოთა ღვარძლს აყრიან.

სტალინის მიერ მუხლებზე დაგდებული და ცხვირით მიწის მჩიჩქნელ ფაშისტ მხეცს ამერიკელ-ინგლისელები ზურგიდან რომ მიესივნენ, რა დაინახეს, რომ ხერხემალში მალე გადატეხავდნენ, ეგენი მაგარი ბიჭები არიან და ჩვენი გმირი მამულიშვილები არა?! ცოდვილი ნაციონალები სტალინის ხსოვნას ისე ებრძვიან, როგორც ღამურები მზის ჩაუქრობელ კაშკაშს. მსოფლიოს ხალხთა შორის პატარა მარგალიტმა – ქართველმა ერმა კაცობრიობას მისცა ისეთი გენიალური შვილი, რომელსაც ყველა დიდი და ბევრი ერი ინატრებდა. ისე წავიდა უკვდავებაში, ერთი საყელოდაკემსილი ფარაჯა დარჩა მხოლოდ. ვის ხსოვნას რქენთ თქვე ფაშიზმის გაუმაძღარო ფეხჩლიქიანებო?! რაც ქართველი ხალხი ძარცვეთ და მოიხვეჭეთ, როგორ ფიქრობთ, საფლავში წაიღებთ, იმქვეყნად უზნეო ღრეობების და ორგიების გასაგრძელებლად, ან ქართველი ხალხი შეგარჩენთ უამრავ უბედურებას, რაც მას თავს დაატეხეთ?!

გერინგიც აგროვებდა ზღაპრული სიმდიდრის მამულ – კარინგჰოლში მთელ ევროპაში ნაძარცვ ქონებას და ეგონა, ნაყაჩაღარზე ნებივრობა შერჩებოდა. ბოლოს კალიუმციანიდის ამპულის შოვნა სანატრელი გაუხდა, რომ საპატიმროში ჩამოსახრჩობად შეგდებულს დევნილ ვირთხასავით გაეჭიმა ფეხები. გაფრთხილდით, განკითხვის დღე ყველა ცოდვიან მოღალატეს ფეხდაფეხ დასდევს!

სულ ცალ კარში რომ თამაშობთ, თქვე გაუმაძღარო ბიუჯეტის ვირთხებო, რატომ გგონიათ, რომ ორ კარში თამაში არ მოგიწევთ?! რვა, ათი და თხუთმეტი ათასი ხელფასები რომ დაინიშნეთ, ამაზე მეტს პრემიებს რომ ითვისებთ, გართობებს, აგარაკებს და სხვა უამრავ ნებივრობას იფინანსებთ ბიუჯეტიდან, და მაინც ვერ გამძღარხართ, პენსიონერებისათვის კიდევ ასი ლარი გებევრებათ, რას ფიქრობთ, შეგრჩებათ?! ლტოლვილებს მაინც დაანებეთ თავი! თქვენი ავანტურისტული ამბიციების მსხვერპლთ რატომ ერეკებით იმ შენობებიდან, თქვენს მიერ აბუჩად აგდებულმა უფროსმა თაობამ რომ ააშენა და ასე უსირცხვილოდ იტაცებთ, რათა ის თანხა ღრეობებში და პიაკამპანიებში **“ჩააკუტუნოთ”**.

თურმე რუსეთის სპეცსამსახურებმა ააფეთქეს გაზსადენი, რათა საქართველოში სიცივით გაყინულიყვნენ. ეს ვიღაცა კერძო პირმა რომ თქვას, მისთვისაც სამარცხვინოა. ესენი კი სამთავრობო ტელევიზიებიდან გაჰყვირიან ისე, როგორც სოფლის სალაყბოზე ჯინჯილშეხსნილი დედაკაცი. დამტკიცება საჭირო არ არის, მთავარია ხომ თქვეს, რაც ყვარყვარეს ნაცრის ქექვისას დაადგინეს ისე, როგორც პრეზიდენტის მიერ გაბუქებული მის თვითმფრინავზე რუსეთის საზენიტო არტილერიის დამიზნება.

აგვისტოს ომი საკუთარი ხალხის ამოწყვეტით რომ დაიწყეს და ათასობით ქართველი ლტოლვილად იქცა, სიმართლე არ უნდა თქვა, თორემ რუსეთის აგენტობა მიგეკერება. სამაგიეროდ ომის დროს ამერიკის ფლოტის შემოსვლა შავ ზღვაში და ამერიკელთა ავიაციის მიერ რუსეთის დაშინების შესახებ ყვარყვარეს მოლანდება ამერიკის სამხედრო კოლეჯში სიმართლედ რომ მოყვა, რომელიმე სასახლის ტაკიმასხარა კი არა, საქართველოს პრეზიდენტი იყო.

ისტერიკა დაიმართეს, პუტინმა რატომ თქვა, რომ რუსი ხალხი ქართველი ხალხის მეგობარია და მოლაპარაკების პირველ ეტაპზე 8 აგვისტოსმდელ დონეზე მივალთო. ტელევიზიით ისეთი ჭკუამეჩხერი ადამიანებიც გამოიყვანეს, რომლებიც ამტკიცებენ, ერებს შორის მეგობრობა შეუძლებელიაო. რას იზამ, მუხთლობის ბილიკზე შემდგარი არსება ყველაფრის მკადრებელია.

ესენი ხელისუფლებას ისე ეჭიდებიან, როგორც წყალში გადაგდებული ადამიანი ნავის კიდეს, რადგან იცის, რომ ხელის გაშვებისთანავე ჩაიძირება. ამათ მიერ დემოკრატიული არჩევნების ჩატარებაზე ლაქლაქი ისეთივეა, როგორც მგლის მიერ ცხვრის ხორცის ჭამის აკრძალვაზე ფიცის დადება.

უტიფართა უსირცხვილობა, სიცრუის სიმართლედ გასაღება და კანონის ხალხის სასიკეთოდ მებრძოლთა დასაქამანდებლად შეთითხვნა ის იარაღია, სახელისუფლებო ბანდა ხელისუფლების შესანარჩუნებლად ამ ეტაპზე რომ იყენებს. როცა მისი დაკარგვის აშკარა საფრთხის წინაშე დადგებიან, ყოველგვარ სიბინძურეს იკადრებენ კაცობრიობაში რაც დღემდე დაგროვილა. მათთან ცივილიზებული მეთოდებით პაექრობა ისეთივეა, მგელს რომ სახარება უკითხო მისი უფლისმიერი სიკეთით ზიარების იმედით.

მთელი ქართველი ხალხი გაოგნებულია ბიძინა ივანიშვილისათვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევით. მან რაც დღემდე გააკეთა, ყველაზე საამაყო ქართველ მამულიშვილთა შორის დაიმკვიდრა ადგილი. ამჟამად კი ქართველი ერის ხსნის იმ სახიფათო, ეკლიან გზაზე შედგა, რომელზეც წმინდანად შერაცხულმა, თავდადებულმა წინაპრებმა გაიარეს. მასზე ითქმის:

**საამო ხმაზე მომართე**
**საქართველოს ხსნის ფანდური,**
**შფოთავს და საკბენად იწევს,**
**სეთურია თუ ყანდური;**
**უძღებს ვერ გაურკვევია**
**სად კუჭი აქვს და სად გული;**
**შენ კი სამშობლოს ნერგი ხარ,**
**მის მკერდზე ფესვებგადგმული.**

ამგვარი მამულიშვილისათვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევას თვით თემურ ლენგიც მოერიდებოდა. განა გულუბრყვილობა არ არის ბიძინა ივანიშვილისათვის საქართველოს მოქალაქეობის აღდგენაზე ხალხის ხელმოწერებით იმათთვის თხოვნა, ვინც საქართველოს მოქალაქეობის ღირსი არ არის და მათი ყოველდღიურობა ქართველი ერის დაბეჩავება-დაკნინებას, ბოლოს კი მოსპობას ითვალისწინებს.

ამათი აღსასრული მოახლოვდა, მაგრამ ქართველმა ხალხმა თუ მკაცრად არ აიმაღლა ხმა, ავღანეთში მყოფ კიდევ ბევრი ახალგაზრდის დედას ჩააცმევენ შავს. მივმართავ ამ ლექსით ჩემ ერს:

**ქართლის დედის მოთქმა**
**რა ცოდვა გვქონდა ასეთი,**
**სულ გლოვას რატომ ვუნდებით,**
**რა ჭირმა შემოგვისია**
**მუხთლად შობილთა გუნდები?!**
**შვილებო, თქვენი აკვნები**
**სამშობლოსათვის დავარწეთ;**
**ვინც მაღალ პოსტში გაგცვალათ,**
**განკითხვის წყევლას დავაწევთ!**
**სიცოცხლის ჰიმნად გაზრდილნო**
**კუბოთი რად გვიბრუნდებით?!**
**თქვენი სისხლით ვინც ვაჭრობენ,**
**ხალხს აქ დაადეს ხუნდები.**
**თავისუფლების ცხელი მზე**
**ძაძით შემოსეს, აგრილდა;**
**ქართველი ცრემლით იხრჩობა,**
**შენ ავღანეთში რა გინდა?!**
**მომხვდურნი შვილებს გვტაცებდნენ,**
**მამლუქად ჰყიდდნენ ადრიდან,**
**დედაენა გთხოვს შველას და**
**შენ ავღანეთში რა გინდა?!**
**აქ სიცრუე გყავს მეუფედ,**
**გვიტევს ღალატი ნაგვიდან;**
**დედა-სამშობლოს გპარავენ,**
**შენ ავღანეთში რა გინდა?!**

გივი სომხიშვილი,
მწერალი, სიღნაღი.

## სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# რუმინეთი – საქართველო 13:19

მიმდინარე წლის 10 მარტს ქართველი რეგბისტები რუმინეთს ესტუმრნენ, სადაც შეხვედრა გამართეს ერთა თასზე. საქართველოს რეგბის ნაკრებისათვის მატჩი არცთუ კარგად დაიწყო. მასპინძლები თითქმის თამაშის დაწყებისთანავე დაწინაურდნენ, ლელო დადეს და რეალიზაციაც ზუსტად შეასრულეს. საქართველოს ნაკრებმა მეტოქეს კვირიკაშვილის ზუსტი საჯარიმოთი უპასუხა, თუმცა მასპინძლებმა 7 ქულიანი უპირატესობა მალევე აღადგინეს.

პირველი ტაიმის დასკვნითი ხუთი წუთი საქართველოს ნაკრების შეტევებში წარიმართა. კვირიკაშვილმა ჯარიმით სხვაობა 4 ქულამდე შეამცირა, რასაც რუმინელთა დაჯარიმება და სინბინი მოჰყვა, მაგრამ ტაიმი ასევე დასრულდა 10:6.

აღსანიშნავია, რომ მე-14-ე წუთზე სინბინით ირაკლი მაჩხანელიც დაისაჯა.

მეორე ტაიმში ქართველებმა მატჩის შემობრუნება მოახერხეს, კაჭარავამ ლელოც გაიტანა და 19:13 იმარჯვეს.

მეორე ტაიმის ბოლო ათი წუთი ბორჯღალოსნები კაცნაკლულნი თამაშობდნენ, მაგრამ შეტევაზე გადასულ რუმინელებს ლელოს დადების საშუალება არ მისცეს.

**რუმინეთი – საქართველო 13:19 (10:6)**

**რუმინეთი**: 15. იულიან დუმიტრაში, 14. მედელინ ლემნარუ, 13. ჩობა გალი, 12. კრისტიან დინიში, 11. ადრიან აპოსტოლი, 10. ფლორინ ვლაიკუ, 9. ვალენტინ კალაფეტეანუ; 1. მიჰაიტა ლაზარი, 2. მარიუს ტინკუ, 3. პაულიცა იონი, 4. ვალენტინ ურსაჩე, 5. კრისტიან პეტრე, 6. მიჰაი მაკოვეი, 7. ვიორელ ლუკასი, 8. დანიელ კარპო.

სათადარიგოები: 16. ანდრეი რადოი, 17. ანდრეი ურსაჩე, 18. ალინ კოსტა, 19. ანდრეი გორჩიოაია; 20. ფლორინ სურუგუ, 21. კონსტანტინ გეარა, 22. დორინ მანოლე.

მწვრთნელი: ჰარი დუმიტრაში

1 ლელო: კარპო

1 გარდასახვა: ვლაიკუ

2 ჯარიმა: კალაფეტეანუ

2 სინბინი: ლუკასი, ურსაჩე

**საქართველო**: 15. გიორგი შკინინი, 14. ირაკლი მაჩხანელი, 13. დავით კაჭარავა, 12. მერაბ შარიქაძე, 11. ალექსანდრე თოდუა, 10. მერაბ კვირიკაშვილი, 9. ირაკლი აბუსერიძე; 1. ვასილ კაკოვინი, 2. ირაკლი ნატრიაშვილი, 3. დავით ქუბრიაშვილი, 4. გიორგი ჩხაიძე, 5. გიორგი ნემსაძე, 6. შალვა სუთიაშვილი, 7. ვიტო კოლელიშვილი, 8. მამუკა გორგოძე.

სათადარიგოები: 16. რეზო ბელქანია, 17. მიხეილ ნარიაშვილი, 18. დიმიტრი ბასილაია, 19. გივი ბერიშვილი, 20. გიორგი ბეგაძე, 21. თედო ზიბზიბაძე, 22. ლაშა მალაღურაძე.

მწვრთნელი: მილტონ ჰეიგი (ახალი ზელანდია)

ასისტენტები: კრის გიბსი (ახალი ზელანდია), ილია მაისურაძე, ილია ზედგინიძე

1 ლელო: კაჭარავა

1 გარდასახვა: კვირიკაშვილი

4 ჯარიმა: კვირიკაშვილი

1 სინბინი: მაჩხანელი

1 გაძევება: კოლელიშვილი

**რეფერი**: ჯონ-პოლ დოილი (ინგლისი)

**ასისტენტები**: ენდრიუ სმოლი, პოლ დიქსი (ორივე ინგლისი)

**კომისარი**: გჟეგოჟ ბორკოვსკი (პოლონეთი)



## გიორგი ლორია: კარგი კლუბები მიწვევდნენ, მაგრამ თბილისის „დინამოში“ დავრჩი

ბოლო ერთი წელიწადია, საქართველოს ჩემპიონატში დაიწყო პროცესი, რომელიც თითქოს უხილავი ჯადოსნური ჯოხით იმართება: ქართულმა გუნდებმა ჯერ მიზერული დაფინანსება შეინარჩუნეს, ამ სტაბილურობას კი შემდეგ გაზრდილი ბიუჯეტები და უცხოეთიდან ცნობილი ქართველი მოთამაშეების ჩამოყვანა დაემატა.

უფრო ამბიციური ხდება თბილისის **„დინამო“** და გულშემატკივრისთვისთვის სასურველ **„კონტურებს“** ოდნავ მაინც უახლოვდება.

**„დინამოში“** უცხოეთიდან ჩამოიყვანეს გოგიტა გოგუა და გიორგი მერებაშვილი. ასეთი მაღალი კლასის ფეხბურთელების დამატება გუნდისთვისაც წინგადადგმული ნაბიჯია და მთლიანად, ეროვნული ჩემპიონატისთვისაც.

**„დინამოს“** წინსვლას ხალხიც ხედავს, პირველი სამი მატჩი მოვიგეთ. **„დინამოს“** კლასი სულ ჰქონდა, მაგრამ გოგუამ და მერებაშვილმა გუნდი უფრო გაზარდეს.

**„დინამოსთან“** აუტსაიდერებიც გაათმაგებული მონდომებით თამაშობენ, ყოველთვის მაქსიმუმს ავლენენ და ვერც ერთ მეტოქესთან ვერ მოვდუნდებით. აქედან გამომდინარე ჩვენთვის ყველა გუნდთან თამაში ფინალივით არის, ფინალის თამაში კი ყოველთვის ძნელია.

**“წელს ეს წინააღმდეგობა უფრო გაიზარდა. სწორედ ამიტომ მიმაჩნია, რომ ქართული გუნდების საერთო დონე გაიზარდა“,** – ამბობს თბილისის **„დინამოს“** კაპიტანი გიორგი ლორია.

**„დინამოს“** კაპიტნის სანაკრებო თამაშების შემდეგ ყველა ელოდა, რომ ლორია კარიერას უცხოეთში გააგრძელებდა. შევიტყვეთ, რომ 25 წლის ქართველით ვარშავის **„ლეგია“**, ლვოვის **„კარაპატი“** და ჩვენთვის უცნობი ერთ-ერთი იტალიური კლუბიც დაინტერესდა. თუმცა გიორგიმ **„დინამოსთან“** კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივა და ამ ლაპარაკს წერტილი დაუსვა:

**„გუნდის პრეზიდენტთან შევთანხმდი, რომ გუნდში კიდევ ერთი წელი ვითამაშებ. მერე კი შევხედავ სიტუაციას. მაგრამ ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის დროს, შესაძლოა, უფრო მაღალი დონის ჩემპიონატში გადავიდე.**

**მართლა კარგი კლუბებიდან მქონდა მიწვევები, მაგრამ დაკონკრეტება არ მინდა. ყველაფერი ზაფხულში გაირკვევა“.**



## იუმორი

* * *

**– რატომ ეჩხუბე იმ კლიენტს? – ეკითხება რესტორნის დირექტორი მიმტანს, – ხომ იცი, კლიენტი ყოველთვის მართალია?**

**– თქვენზე მითხრა, რქიანიაო და თავი ვერ შევიკავე!**

* * *

**– რა არასასიამოვნო ხმაა! ვინ მღერის?**

**– ჩემი ქალიშვილი.**

**– მაპატიეთ, იცით, საქმე მარტო ხმა კი არ არის, სიმღერასაც გააჩნია. საშინელი სიმღერაა. საინტერესოა, ვინ დაწერა?**

**– მე!**

* * *

**კაცი უყვება მეგობარს: – მივლინებიდან ვადაზე ადრე ვბრუნდები, კარადის კარს ვაღებ და იქ ცოლის საყვარელი მხვდება.**

**– მერე?**

**– რა მერე. მერამდენედ ვუმეორებ, იდიოტო, გავშორდი ცოლს და დიდი ხანია სხვაგან ცხოვრობს-მეთქი.**

* * *

**ბიბლიოთეკაში ქალს შეურაცხყოფა მიაყენეთ!**

**– ვაღიარებ! აბა, კაცო, რაა ეს სიმთვრალე! ფხიზელს ბიბლიოთეკაში რა შემიყვანდა?**

* * *

**– სად მქონდა თავი, შენ რომ ცოლად მოგყვებოდი?**

**– სად გქონდა და ჩემს თავთან, ბალიშზე.**

* * *

**სამშობიარო სახლთან ავტომობილი დამუხრუჭდა და აქოშინებული კაცი გადმოხტა:**

**– ჩქარა, ჩქარა!**

**– თქვენ უნდა იმშობიაროთ? – გაუკვირდა მედდას.**

**– აუ, ამ სიჩქარეში ცოლი ქე დამრჩენია სახლში.**

## საქართველო აზიზიეს მეჩეთის აშენების ხელშეკრულებას ხელს მოაწერს

საქართველო თურქეთთან აზიზიეს მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებას ხელს მოაწერს. ეს განცხადება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ მთავრობის სხდომის შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას გააკეთა. მისი თქმით, ეს საკითხი ოშკის ფიზიკურად გადარჩენაზეა მიბმული. მისი განმარტებით, აზიზიეს მეჩეთი აშენდება იქ, სადაც ადგილობრივი ხელისუფლება გადაწყვეტს.

**„ოშკი ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია და მისი დანგრევის პასუხისმგებლობას, ბუნებრივია, ვერ გავექცევით. ის გადასარჩენია. ამის სანაცვლოდ თურქული მხარე საქართველოს ტერიტორიაზე ძალიან მცირე მეჩეთის აშენების უფლებას ითხოვს იქ, სადაც მას ადგილობრივი ხელისუფლება მიუთითებს. ვფიქრობ, ეს ნაბიჯი გადასადგმელია და ჩვენ ამ ხელშეკრულებას ხელს მოვაწერთ“,** – განაცხადა ნიკოლოზ რურუამ.



## საია: საიდუმლო ინფორმაციის კლასიფიკაცია ფართოვდება




საიდუმლო ინფორმაციის კლასიფიკაცია ფართოვდება. როგორც ჟურნალისტებს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) წარმომადგენელმა თათული თოდუამ განუმარტა, **„ინფორმაციული უსაფრთხოების“** შესახებ კანონპროექტით შემოდის ინფორმაციის ახალი კლასიფიკაცია, რომელმაც მოქალაქეებისთვის შესაძლოა, სახელმწიფო უწყებებში საჯარო ინფორმაცია კიდევ უფრო ხელმიუწვდომელი გახადოს.

მისი თქმით, დღეისთვის კონსტიტუციითა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ინფორმაციის სამი სახე – პირადი, კომერციული და სახელმწიფო ინფორმაცია, ისედაც საიდუმლოა, შესაბამისად, ახალი კლასიფიცირების შემოღება საჭირო არ არის.

**„ეს ეხება სახელმწიფო უწყებებს, რაც შეეხება კერძო სექტორს, მათ საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულება კანონით ისედაც არ აქვთ“,** – განაცხადა თოდუამ და დასძინა, რომ აღნიშნული ნორმა კანონპროექტიდან ამოღებულ უნდა იქნეს.

შეგახსენებთ, რომ **„ინფორმაციული უსაფრთხოების“** შესახებ კანონპროექტში ინფორმაციის სახეებად განისაზღვრა კონფიდენციალური ინფორმაციაც. ესაა საჯარო ინფორმაცია, რომლის კონფიდენციალურობის, მთლიანობის ან ხელმისაწვდომობის ხელყოფას, სავარაუდოდ, მოჰყვება მნიშვნელოვანი ზიანი კრიტიკული ინფრასტრუქტურის სუბიექტის ფუნქციებისთვის; შეზღუდული ინფორმაცია – საჯარო ინფორმაცია, რომლის კონფიდენციალურობის, მთლიანობის ან ხელმისაწვდომობის ხელყოფა, სავარაუდოდ, გამოიწვევს კრიტიკული ინფრასტრუქტურის სუბიექტის მიერ მისი ფუნქციების განხორციელების მნიშვნელოვან შეფერხებას, ან ზიანს მიაყენებს სახელმწიფო ინტერესს ან კერძო პირის საქმიან რეპუტაციას.

ასევე, არაკლასიფიცირებული ინფორმაცია – საჯარო ინფორმაცია, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ კრიტიკული ინფრასტრუქტურის სუბიექტის თანამშრომლების ან/და მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი პირისათვის, და რომლის კონფიდენციალურობის, მთლიანობის ან ხელმისაწვდომობის ხელყოფას შესაძლებელია, მოჰყვეს უმნიშვნელო ზიანი ინფრასტრუქტურის სუბიექტის ან/და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს უსაფრთხოების, სახელმწიფო ინტერესების ან კერძო სუბიექტის საქმიანი რეპუტაციისთვის; ღია ინფორმაცია – ყველა სხვა საჯარო ინფორმაცია, გარდა კონფიდენციალური, შეზღუდული ან არაკლასიფიცირებული ინფორმაციისა.

## კონტროლის პალატა პარტიებს ფინანსური ანგარიშის წარდგენისკენ მოუწოდებს

კონტროლის პალატის მონიტორინგის სამსახური მიმართავს პოლიტიკურ სუბიექტებს, კანონის შესაბამისად წარმოადგინონ ინფორმაცია 2012 წლის მიმდინარე ფინანსური საქმიანობის შესახებ. ამის თაობაზე კონტროლის პალატის მონიტორინგის სამსახურის ხელმძღვანელმა ნათია მოგელაძემ ბრიფინგზე განაცხადა.

მისივე თქმით, ამ მოთხოვნის მიზანია, პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობა და კანონის მოთხოვნების დაცვა. ამასთან, მოგელაძემ კიდევ ერთხელ მიმართა საქართველოს მოქალაქეებს, რომ შესაძლოა, მოხდეს მათი გამოყენება პოლიტიკური მიზნებისთვის. მისივე თქმით, არის მოქალაქეების კორუფციული სქემებისთვის გამოყენების ცალკეული მცდელობა. ამიტომ მან თხოვნით მიმართა მოქალაქეებს, მაქსიმალურად აიცილონ თავიდან უკანონო გარიგებებში მონაწილეობა.

კანონის თანახმად, პოლიტიკურმა სუბიექტებმა მიმდინარე ფინანსური საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მონიტორინგის სამსახურს მოთხოვნიდან 3 დღეში უნდა წარუდგინოს.

ISSN 1987-8966 ილორი

9771987896009

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული

სარეგ. №01018002930

234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია

სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, თემურ ქორიძე, თენგიზ ქუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ანზორ შონია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი

გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე WWW.saqinform.ge